


1-5841 +

1933 ა ვ 0 1 6 0



ჩემი

(ხელთნაწერის  
მაგიერ)



ფასი 4 ა. 5.

გამოცემა ტფ-უნივერსი-  
ტეტის სტუდენტთა რაზა  
შირის გამგეობითა.



ტფილისი.  
სტამბა „სახალხო საქმე“  
ბარონის ქ. № 14.

116  
42

# ენათმეცნიერების შესავალი

## ლექცია მემკვეთ \*

საჭაპარაკო თრგანოები. „ენა“ ბგერის სამი მომენტი. ბაგეთა არტიკულაცია. სასა და მისი ფუნქციები. ნაზალიზაცია. ენა: წინა-შუა-და უპანა-ენა. ხშვა და დრიჭვანობა. რთულნი ანუ აფრიკატები. გარდა-მავალი ბგერები. ენის სამგვარი ფორმა. ქვედა უბა. ხმოვანთა კლასი-ფიკაცია. სასუნთქი და ურთნტი: მათი შემადგენლობა და დანიშნულება. სიმები: მათი დანიშნულება. სუნთქვა; ჟღერა; ფალცეტი, ჩურჩუ-ლი. მუსიკალი და ხმაურა ბგერები. სიმაღლე, სიძლიერე და ტემ-ბრი. ბგერათა ხანგრძლივობა. ფიტერატურა.

რა ორგანოების კუთები განიცდის ინერვაციას, ე. ი. რა ორგანოების წყალობით სრულდება ლაპარაკის გარეთი, ფიზიო-ლოგიური აქტი, რომელიც წარმოადგენს შიგნითი ენის ცხად-უფას მსმენელისათვის, შიგნიდან „განკარგულების“ ასრულებას? ეს ორგანოებია: **ბაგეები, ქვედა უბა, ენა, სასა** (მაგა-რი წინ და რბილი უკან) ურონტი და **სასუნთქი.** უველაზე რთული და მოძრავია ენა, რომელიც ამიტომ მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე სხვა უველა. ამით აიხსნება, რომ სიტყვა „ენა“ იხმარება ლაპარაკის პროცესის მნიშვნელობით; ჩვენ ვამბობთ: „ქართული ენა“ და წარმოვიდგენთ არა ფიზიოლო-გიურ ორგანოს, არამედ ქართულ ლაპარაკს.

\*) ამ ლექციის რიგიანად შესწავლისთვის აუცილებლად საჭი-როა კითხვის დროს მუდამ ხელთ გქონდესთ ცხრილები და სურა-თები, რომელიც გაჩვენეთ და მსმენელებს გადავეცი. სამწუხაროდ, ამ წიგნში დაბეჭდვა ვერ მოხერხდა სხვა და სხვა მიზეზების გამო, აგრამ ცხრილები და სურათები იმდენად მარტივია, რომ უველას შეუძლია გადაიწეროს და თან იქონიოს.

ამგვარადვე ალინიშნება ლაპარაკიც და ორგანოც ერთი და იმავე სიტყვით ბევრ სხვა ენაზე: Языкъ, ლათ. lingua, ფრანგ. langue, გერმ. Zunge (იხმარება ხშირად Sprache-ს მაგივრად), ბერძნ. (glôssa) და სხვა.

მართალია, ვისაც ენა არა აქვს, მას ლაპარაკიც არ შეუძლია, მაგრამ ამავე უფლებით ჩვენ შეგვეძლო ლაპარაკისთვის გვეწოდებია ყრონტი ან სუნთქვა, რადგან უამათოდ ლაპარაკი წარმოუდგენელია უფრო მეტად, ვიღრე უენოდ; ენის დაუხმარებლიად ჩვენ ვამბობთ მაგ. სიტყვა მამა-ს, მაგრამ უყრონტოდ და უსუნთქვად ამ სიტყვასაც ვერ ვიტყვით. ენამ მიიჭირა განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ იმიტომ, რომ მისი იშვიათი მოქნილობა გარედან სჩანს. ლოუებიც კი მონაწილეობას რებს ლაპარაკში: მათი დაზიანება ავნებს ზოგიერთ ბერძნს, მაგ. ფრანგ. ვიწრო უ-ს.

ვიღრე ხსენებულ ორგანოებს აღვწერდეთ, საჭიროდ ვრაცხ გავითვალისწინოთ არტიკულაციათა \*) შემდეგი მომენტები: ინდიფერენტული, როცა ორგანოები განიცდიან ერთნაირ საბერო აღძვრას\*\*); ეკსკურსია, როცა ორგანოები მუშაობას შეუდგება; შუა მომენტი ანუ დაყოვნების ხანა, როცა ორგანოები ცოტას შეჩერდება; რეკურსია, როცა ორგანოები ინდიფერენტულ მდგომარეობას უბრუნდება. თვით ბერძნის თქმა მხოლოდ სამ მომენტს შეიცავს: ეკსკურსიას, შუა მომენტს და რეკურსიას; მათ შორის აკუსტიურად ე. ი. მსმენელისთვის ყველაზე მკაფიო შუა მომენტია...

დავიმახსოვროთ, რომ ამოსუნთქული ჰაერი აუცილებელი საჭირო მასალია ყოველი ბერძნისათვის, და განვიხილოთ ორგანოები. დავიწყოთ გარედან.

### 1. ბაგეთა არტიკულაცია ორგვარია: ა) წყვილ ბაგეთ-

\*) არტიკულაცია ეწოდება ორგანოთა ბერძნისთვის მოწყობას, დალაგებას (ლათ. articulatio).

\*\*) აქ მე არ ვეხები აბსოლუტურ ინდიფერენტულ მომენტს როცა მხოლოდ ვსუნთქვათ და ლაპარაკი აზრად არ მოგვდის.

**ბითი**, როცა იწარმოება 3, 8, მ, ო, უ; თანხმოვანები 3 8 3 შეიცავს ორ მთავარ მომენტს: ბაგეები იხურება სრულიად (**ხშგა\***) და უცბად იღება (**სკლომა\*\***; ხმოვანები ო და უ გამოითქმის იმავე წყვილ ბაგით, მაგრამ ბაგეები იხურება მხოლოდ კუთხეში, შუაზე კი რჩება მრგვალი ჭუჭრუტანა წინ წამოწეულ ბაგეთა შუა: თ-სთვის უფრო ფართო, უ-სთვის ვიწრო. ბ) კბილ-ბაგეთითა, როცა მხოლოდ ქვედა ბაგე ზედა კბილების დახმარებით აწარმოებს ვ-ს და ტ-ს.

ბაგეთ-მიერი ხმოვანებისათვის ბაგეთა მოწყობას ეწოდება **ლაბიალიზაცია** (ლათ labium=ბაგე); ასეთი ხმოვანებია: ო, უ, იუ (über, lune), ტ (peu, schön) და ამათი რამდენიმე ნიუანსი (ვიწრო ან ფართო, გრძელი ან მოკლე).

2. **სასა** განიყოფება ორ ნაწილად: ა) წინა მაგარი ნაწილი ანუ ცა (palatum), რომელიც სიმაგრის გამო უმორავოა (გაშინჯეთ სუფთა თითოთ), და ბ) უკანა რბილი ნაწილი ანუ საკუთრივ სასა (velum), რომელიც მოძრავია (გაშინჯეთ და დაინახეთ სარკეში). ეს რბილი სასა ჩამოკიდულია ორ ფოსოს (ПОЛОСТЬ) შუა: აქეთ პირის ფოსო, იქეთ ხახის ფოსო (სჩანს სარკეში); ხახის ფოსოს გაგრძელებაა გზა ცხვირის ფოსოსკენ (chirrhæ). ფოსოები ერთგვარ რეზონატორს წარმოადგენს. სარკეში სჩანს აგრედვე ორი თაღი სასის ბოლოში და თაღებს შუა ე. წ. ენისკლიტე (uvula; რბილი სასა მოძრაობს ერთიანად; მაგ. გვინდა ვთქვათ ა: სარკეში სჩანს, როგორ მიიწევა სასა უკანა კედლისაკენ (ა-ს თქმის დროს); ამ-გვარი მოძრაობით სასა წინ უდგება ა-სთვის ამოსუნთქულ ჰაერს და ცხვირის გზით არ უშვებს, არამედ პირის ფოსოში გამოამგზავრებს. თუ ა-ს თქმის დროს სასა არ დაინძრა, მაშინ ჰაერი ცხვირით გამოდის და ა უკვე აღარ არის წმიდა, არამედ ცხვირის მიერი ა (სკადეთ სთქვათ ფრანგ. montant; მიაქციეთ ყურადღება მარცვალ - tant, გაიმეორეთ

\*: ჰაერს დახვდა დაბრკოლება დაბშული ბაგეების სახით.

\*\*, ჰაერმა სძლია დაბრკოლება და ბაგეები გახეთქა.

სარკეში და ნახავთ, რომ სასა ა-ს თქმის დროს არ მიიწევა კედლისაკენ: ამიტომ ეს ა ცხვირის-მიერია; ამავე სიტყვის პირველ მარცვალში 0 ცხვირის-მიერია, ე. ი. მისთვის ჰაერი ცხვირში გამოდის). ცხვირის მიერი ხმოვანები ახასიათებს ფრანგულ გამოთქმას, აგრედვე პოლონურსაც. არის აგრედვე ცხვირის მიერი თანხმოვანები: მ და ნ: მ არის იგივე ბ, მხოლოდ მ-სათვის ჰაერის ნაწილი ცხვირში გამოდის, ბ-სათვის კი მხოლოდ პირში; მა მასადამე, მ-ს და ბ შორის განსხვავება სასის მდგომარეობაზეა დამოკიდებული: ბ-სთვის სასა კედელს მიეკვრის და ჰაერს ცხვირში არ უშვებს, მ-სთვის სასა არ გაინძრევა და ჰაერი (ცხვირისკენ გაეპარება.

ნ არის იგივე დ (რაღაც ორივე ერთ ადგილას კეთდება წინაენის კბილებზე მიბჯენით) იმ განსხვავებით, რომ ნ-სთვის ჰაერის ნაწილი ცხვირში გამოდის (სასის უმოქმედობის გამო) და მ-სათვის მხოლოდ პირში (სასის კედელზე მიბჯენის გამო). ხმოვანთა ცხვირის მიერობას ეწოდება ნაზალიზაცია, რომელიც აღინიშნება ამგვარად: (ცხვ.— მიერი ა, ი, ე).

როცა ჩვენ პირმოკუმული თავისუფლად ვსუნთქავთ, რბილი სასა მოდუნებული კიდია და ჰაერი ცხვირში გამოდის და შედის. როცა მაგ. ქართულად ვლაპარაკობთ, უმეტეს ნაწილად სასა კედელზეა მიბჯენილი, მხოლოდ მ-სა და ნ-სათვის თუ მოდუნდება და ჩამოეშვება (ამიტომ ქართულში არარის ნაზალური ხმოვანები); ფრანგული და პოლონური ლაპარაკის დროს კი უფრო ხშირადაა სასა უმოქმედოთ მოდუნებული და ჩამოკიდული: როგორც ვთქვით, იქ ნაზალური ხმოვანებია\*). რით-ლა აიხსნება, როცა ქართველი „ცხვირში ლაპარაკობს“?— სასის ავადმყოფობით, როცა ის ველარ ებჯინება მტკიცედ კედელს, ან უნებური დაუდევრობით, სასის „სიზარ-მაცით“. შევნიშნავ აქვე, რომ თაღებ შუა ჩამოკიდული (ნახე

\*) უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი ბერებისათვის მეტად მტკიცე მიბჯენა საჭირო კედელზე, ზოგისთვის სუსტი.

სარკეში) ენის კლიტის (uvula) ვიბრაციით წარმოსდგება ფრანგული r (მოქცეული, კარტავის r); ამიტომ ამ r-ს უწოდებენ კლიტის მიერ, უვულურ r-ს.

3. ენა წარმოადგენს კუთების ძალიან რთულ კომპლექსს; წინ მიბმულია ქვედა ყბაზე და უკან ენის ქვეშ ძვალზე (os hyoideum), რომელიც ყელის წინა ნაწილშია ყრონტის თავზე. ენის წვერი განსაკუთრებით მოქნილია და მოძრავი, უკანა ნაწილი კი ნაკლებად. მაგრამ მოიგონეთ, რომ ენის მოძრავი ნაწილის (წვერი) თავზე იმყოფება უძრავი ცა (palatum) და ენის ნაკლებ მოძრავი ნაწილის თავზე—რბილი მოძრავი სასა (velum); ამიტომ სასის (და ცის) მიმართ ენის მოძრაობა ერთნაირად შესაძლებელია, როგორც წინა ნაწილით, ისე უკანათი.

გავყოთ ენა სამ ნაწილად: წინა ენა, შუა ენა და უკანა ენა. ა) თუ წინა ენა მიებჯინება ზედა კბილთა ძირებს (იხმარიებს კბილებს) და მოახდენს ხშვას (ერთი მომენტით ბრკოლდება ჰაერის დენა) და სკდომას (დაბრკოლების ძლევას), გვესმის ტ, თ, წ, ც, ძ; თუ ამავე ადგილს ამავე ორგანოებს ვიხმართ, მხოლოდ სრულ ხშვას არ მოვახდენთ, არამედ დავტოვებთ განსაზღვრულ ჭუჭრუტანას (ლრიჭეს) ისე, რომ ჰაერი მომდინარეობდეს, მაგრამ ჭუჭრუტანის გვერდებზე „ეხეხებოდეს“, მაშინ ჩვენ ვიტყვით: ს, ჸ, th (მუღერს), th (ყრუს). ამიტომ ტ, თ\*), დ, წ ც, ძ\*) არის წინა ენის მიერი ხშულ მსკდომი ბგერები; ს, ჸ და th (ორგვარი) ლრიჭოვანი (სპირანტული, ფრიკატული) ბგერები.

თუ იგივე წინა ენა მიებჯინება ცოტა ზევით (გაშინჯეთ თითოთ კბილებს ზევით წინა ცის ცოტათი გამობერილი ნა-

\*) თ არის ისეთივე მარტივი ბგერა, როგორც ტ, დ, მაგრამ განსხვავდება ფშვინვით, ე. ი. ტ-ს მეორე მომენტში (ეკსკურსია, შუამომენტი და რეკურსია) შეუერთდება სუსტი ფშვინვა (ჸ, ასპირაცია) და მის ბუნებას შეუსისხლხორცდება.

წილი) და ხშვასკლომას მოახდენს, გავიგონებთ: ჩ, ჭ, ჰ\*); თუ ამავე ოდგილს მოვახდენთ არა სრულ ხშვას, არამედ ღრიჭოვანობას (იხ. ზემო), მივიღებთ შ, უ და რ-ს (ჩვეულებრივი რ).

ბ) შუა ენა. თუ ჩვენ მოვინდომებთ ხსენებული ბგერები (ტ დ და სხვა) შუა ენით ვთქვათ, მაშინ შუა ენა მოხვდება შუა ცას (palatum) და აკუსტიური შთაბეჭდილება გვექნება უფრო ნაზი, „რბილი“ ბგერის, ვიდრე წინა ენის ტ დ და სხვა (სინაზეს იღვნიშნავთ ამგვარად: ტ' დ'...). ასეთი ნაზი ბგერები გვესმის ბავშვის ენაში. რუსულში უფროსთა ენაშიც ჩვეულებრივი მოვლენაა განსაზღვრულ პირობებში, (მაგ. თ ე-ს წინ: თ'ენЯ). გაშასაღამე, რადგან „სინაზე, სირბილე“ ბგერის შუა ენის მიერობაშია, ყოველი თანხმოვანი შეგვიძლია გავარბილოთ (მაგ. კ' გ' ხ' ნ'). ამას გარდა შუაენას აქვს თავისი საკუთარი ბგერები: ე ი, და ჟ (j); ე-სთვის შუაენა ოდნავ აიწევა ცისაკენ, ი-სათვის კიდევ უფრო მეტად, მაგრამ ჰაერი მაინც თავისუფლად გამოდის (ვერც კი ვგრძნობთ მის გამოსვლას: ამგვარია ყველა ხმოვანების ბუნება), ე-სათვისკი შუაენა უფრო მეტად აიწევა ცისაკენ, ღრიჭე ვიწროვდება და ჰაერი ველარ გამოდის თავისუფლად, „ეხეხება“ ღრიჭეს გვერდებს (ცას და ენას) და ამიტომ აკუსტიური თვალთახედვით მას ვუწოდებთ შუაენის მიერ ღრიჭოვანს\*\*) (ასეთი ჟ გვესმის

\*) ძ წ ჭ ჰ უკვე რთული (აფრიკატული) ბგერებია: ძ=დ+ჩ, წ=ტ+ს, ჭ=ლ+ჟ, ჰ=ტ+შ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ექვს მომენტს (როგორც თეორიულად შეგვეძლო გვეფიქრა), არამედ მხოლოდ სამს. ეს იმიტომ, რომ მაგ. ძ-ში გვესმის ღ-ს ეკსკურსია და ზ-ს შუა მომენტი და რეკურსია. დანარჩენი მომენტები დაიკარგა. ასეთივე წ, ჭ და ჰ. აფრიკატას (რთულ ბგერას) წარმოადგენს აგრედვე ჩ და ც, მაგრამ ამათ ეწოდება მფშვი ნავი აფრიკატა, რადგან პირველი შემაღენელი (თ) მფშვინავია: ჩ=თ+შ, ც=თ+ს. (დეტალებს ეკსპერიმენტალ ფონეტიკის კურსში გამოვარკვევთ).

\*\*) შუაენის მიერობას ეწოდოთ ჰალატატაცია (palatum).

მეგრულ ძალაში, გერმ. jeder-ში პირველ ე-ს წინ და რუს. ელ-ში ე-ს წინ).

გ) უკანაენა. თუ ჩვენ ენის უკანა ნაწილს ოდნავ ავსწევთ რბილი სასისაკენ (და ბაგეებს შესაფერად მოვაწყობთ იხ. ბაგეები), ვიტუვით ჴ-ს და მეტის აწევით უ-ს; თუ კიდევ უფრო დავავიწროვებთ ღრიჭეს უკანაენას და სასას შუა, მივიღებთ ხ-ს და ღ-ს (ღრიჭოვანებია); ხოლო როცა სრულიად დავხშავთ უკანაენის აქეთურ ნაწილს და ცას და უცბად გავალებთ (სკდომა), გავიგონებთ ძ-ს ან ჸ-ს.

მაშასაღამე, თ და უ უკანა ენის მიერი ხმოვანებია; ხ და ღ უკანაენ. ღრიჭოვანი და კ და გ უკანაენ. ხმულმსკდომი თანხმოვანი.

უნდა ითქვას აქვე, რომ ამ მთავარ ბგერებს გარდა არსებობს მრავალი გარდამავალი, რადგან ხსენებულ მდგომარეობას გარდა ორგანოებს შეუძლია მრავალგვარად მოეწყოს.

ვიცოდეთ აგრედვე, რომ მაგ. ჩვეულებრივ უკანაენის-მიერი კ შეგვიძლია „გავანაზოთ“ ესე იგი თითქმის შუაგნის-მიერობა მივანიჭოთ მას (სკადეთ!). მ ნ, რ ლ-ს აქვს ერთი განსაკუთრებული თვისება: მათი წარმოების ღროს (განსაკუთრებით რ'ლ) ჰაერის თავისუფალი დენა მოვაგონებს ხმოვანთათვის ჰაერის დენას: მ ნ-სთვის ცხვირში — ამიტომ მათ ცხვირის მიერ უწოდებენ, რ ლ-სთვის პირში (ლ-სთვის მომდინარეობს ჰაერი ჩაკეტილი ენის გვერდებიდან) — ამიტომ ამ ორს (რ, ლ) ვუწოდებთ მდინარს. ხმოვანებთან მსგავსების გამო მათ ყველას (მ, ნ, რ, ლ) უწოდებენ ხმიერს.

მათი ამ თვისებით აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალ ოდგილს შეგვიძლია ვაწარმოვოთ ნ რ და ლ; მაგ. ნ სხვა და სხვა ენაში არსებობს ხუთნაირი:

- 1) ენა სძევს კბილთა შუა, 2) წინა ენა ებჯინება ზედა კბილების ძირში (ჩვეულებრივი ნ), 3) შებრუნებული ენისწვე-

16x180

რი ებჯინება წინა ცას (ძველ ინდურში ასეთიც იყო\*); 4) შუა ენა მიეკვრის ცას (მაგ. გერმ. sinken), 5) უკანა ენა მიეკვრის სასას (მაგ. გერმ. sank).

საერთოდ ენის ორტიკულაციის შესახებ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ ნათქვამიდან:

როცა პირმოკუმული ვსუნთქავო, ენა ავსებს პირს და ცა-სასამდი უწევს; როცა კი ლაპარაკს დავიწყებთ, ენას შეუძლია უმთავრესად სამი სხვა-და-სმვა გვარი ფორმა მიიღოს: 1) გათხელდება და წვერით მუშაობს მაგ. ტ, დ... (კორონალი ორტიკულაცია, corona=წვერვალი), 2) ზურგს ბორცვისებრ მოაწყობს, მაგ. კ, ქ, ი, (დორსალი ორტიკ. dorsum=ზურგი) 3) ჩაიკეცება შუა სიგანაზე და ჰაერს გვერდებზე ლოკებისაკენ გაუშვებს, მაგ. ასე იწარმოება ლ, თუმცა იმავ დროს ენის წვერიც მიბჯენილია კბილებზე ან ცოტა ზევით; მაშასადამე ჩვეულებრივი ლ კორონალ-გვერდითი ბგერაა.

4. ქვედა ყბა განსაზღვრავს ბგერის სივიწროვეს ან სიფართოვეს. ზედა ყბა უძრავია (თავზე ხელი დაიდეთ და პირი გააღეთ). იძვრის მხოლოდ ქვედა ყბა: დაეშვება უმეტესად ხმოვანთათვის; თანხმოვანთათვის დაეშვება ცოტათი ან სულ არა: ამიტომ ხმოვანები უფრო ღიაა, ფართო; თანხმოვანები უფრო დახურული, ვიწრო. ამ მხრივ ხმოვანებიც ზოგი ვიწროა, ზოგი ფართო: ყველაზე ფართოა ა; შუათანაა მ, ლ; ვიწროა ი, უ (წარმოსთქვით და შეადარეთ\*\*). რომელი თან-

\* ) ძველინდურში არსებობდა აგრედვე ენისწვერის მიერი ტ, თ, დ, დჲ, შ, ნ რომლებიც ტრანსკრიპციით ალინიშნება t, th, d, dh, s n (წერტილით ქვეშ).

\*\*) ხმოვანთა კლასიფიკაცია შეიძლება ენის მდგომარეობის მიხედვითაც: თუ ა-ს დავსახავთ ნეიტრალ ბგერად, და ენის ზურგს წინ და მაღლა ავსწევთ, მივიღებთ: ა-ე-ი; თუ იმავე ა-დან დავიწყებთ და ენის ზურგს უკან და მაღლა ავსწევთ, მივიღებთ: ა-ო-უ (წარმოსთქვით და შეადარე. შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ სამკუთხედი, რომლის წვერში ერთი ა იქნება).

ხმოვანისათვის ეშვება ყბა მეტად, რომლისათვის ნაკლებ და რომლისათვის სრულიად არა? ჩამოთვალეთ ყველა თანხმოვანი ე. ი. ყველა ხშულმსკდომი (ტ, თ, დ, ა, ჩ, ჭ,) ლრიჭოვანი (ს, ზ, უ) და ხმიერი (მ, ნ, რ, ლ).

5. სასუნთქი და ყრონტი. ბგერის წარმოებისათვის საკიროა ყოვლის უწინარეს ამოსუნთქული ჰაერის ტალი. ჩვეულებრივ ამოსუნთქულით ვლაპარაკობთ, მაგრამ ზოგი ველური ხალხი ჩასუნთქვითაც ლაპარაკობს ხანდახან; კულტურულ ენებშიც არის ბგერის ამგვარი წარმოება: ფრანგი ხანდახან იუ-ს იტყვის ჩასუნთქვით, ინგლისელიც (იშვიათად) thank you=გმადლობთ.

თუმცა ბგერისათვის სუნთქვა განსხვავდება უბრალო სუნთქვისაგან, მაგრამ ფიზიოლოგიური პროცესი ორთავესთვის ერთია: დიაფრაგმა ძირს ჩაიწევა, გვერდის ნეკნები გაიმართება და აიწევა—ამიტომ მკერდის ფოსო ფართოვდება: ჰაერი მიისწრაფვის ცხვირის (და პირის) გზით ამ თავისუფალ არეში, —ესაა ჩასუნთქვა (inspiratio\*). როცა დაჭიმული კუთები შესუსტდება, ნეკნები ისევ დაეშვება და ჩაწეული დიაფრაგმა ისევ ამოიწევა—მკერდის ფოსო ვიწროვდება და ჰაერი გარედ გამოირევება, —ესაა ამოსუნთქვა (expiratio). უბრალო სუნთქვის დროს ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა თითქმის ერთი ხანგრძლივობისაა; ლაპარაკის დროს-კი ჩასუნთქვა სწრაფად ხდება, ამოსუნთქვა ხანგრძლივად: ჩვენ ვცდილობთ ერთის ამოთქმით მთელი ფრაზა ვთქვათ, რათა მას მთლიანობა მივანიჭოთ, მაგრამ ამოსუნთქულ ჰაერს ჩვენ ვანაწილებთ თითოეული სიტყვისათვის და თითოეული მარცვლისათვის; მაშასადიმე ამოსული ჰაერის დენა წყდება (პაუზა) სიტყვის საზღვარზე და მარცვლის საზღვარზე. ჩვენი ყურისათვის თითქმის შეუმჩნეველია ეს პაუზა სიტყვასა და სიტყვას შუა; უფრო ნაკლებია პაუზა მარცვალსა და მარცვალს შუა. უბრალო ამოსუნთქვა ერთიანია, ლაპარა-

\* ) ვაჟის მკერდის ფოსო ფართოვდება უმეტესად ნეკნების გამართვით, ფალას დიაფრაგმის ჩაწევით.

339/2

კის დროს ამოსუნთქვა — დანაწილებულია; ამიტომ ლაპარაკის თვის ამოსუნთქვას უწოდებენ განსაკუთრებულ სახელს — **ფონაცია.**

ფილტვებიდან გამოდევნილი ჰაერი გამოივლის სასუნთქუელს *trachea*, (იხ. სურ. I); მაგრამ, ვიდრე პირის ან ცხვირის ფოსომდი მოახწევდეს, გზაში, სასუნთქის ბოლოში, დახვდება ყრონტი *larynx*, (იხ. სურ. I). სწორედ ამ ადგილის იწყება უბრალო ჰაერის ბევრად გარდამქნის პროცესი. ამიტომ ყრონტს დიდი მნიშვნელობა აქვს ლაპარაკისთვის და დეტალურად უნდა შევისწავლოთ.

ყრონტი თავზე ადგას სასუნთქს (იხ. სურ. I, ცალკე ყრონტი სურ. II). ყრონტი ცოტა მომსხოა სასუნთქზე. სასუნთქი რბილკედლებიანი მილია, ყრონტი-კი მაგარ კედლებიანი ხრტილისგან (ხრაშვ.) შესდგება. სხვათაშორის ყრონტი ყრველ წამს გვიფარავს დახრჩობისაგან, რადგან ის აკავებს რბილკედლებიანი სასუნთქის გვერდებს და მათ შეერთებას უშლის.

თვით ყრონტი არ წარმოადგენს ერთ მთლიან რასმე, არამედ შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) ბეჭდისებრი ხრტილი (*cartilago cricoidea*) 2) ხაპირისებრი ორი ხრტილი (*cartilagines arytaenoidea*) 3) ფარისები ხრტილი (*cartilago thyreoidea*), +) სარქველი (*epiglottis*). სურათზე ნათლად სჩანს ყველა ერთად (სურ. II) და ცალ-ცალკე (სურ. III, V, IX). გარეგნულად თუ ყრონტი ერთიან მილს წარმოადგენს, ეს იმიტომ, რომ ის ერთიანად დაფარულია კუთებით და ლორწოვანი გარსით (слиვისტოი იბილიკი). არ სჩანს სურათზე ეგრ. წოდ. ხმის სიმები (ორი); *chordae vocales*, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ბეჭდისებრი ხრტილი (სურ. III), რომლითაც იწყება სასუნთქიდან (სურ. I) ყრონტი (სურ. II), მიმართულია ფართე გვერდით უკან და ვიწროთი წინ.

ფარისებრი ხრტილი (სურ. VI) შესდგება ორი კედლისაგან; წინიდან ეს ორი კედელი გაერთიანებულია კუთხედის სახით; შეგიძლიათ თითის შეხებით გაშინჯოთ გარედანაც; ამ ადგილს ეტყვიან ადამის ვაშლის ანუ ხორხს; უკან ფარის კედლები გახსნილია. ამგვარად ფარისებრი ხრტილი თავზე ადგას ბეჭდისებრს: ფარისებრის უკანა გახსნილ კედლებ შუა იმყოფება ბეჭდისებრი ხრტილის უკანა ფართე გვერდი (ბეჭდისებრი ხრტილის ვიწრო გვერდი სჩანს გარედან და შეგიძლიათ მონახოთ თითით ხორხს ქვეშ). ბეჭდისებრის ფართე გვერდის თავზე სჩანს (სურ. II და ცალკე ს.V) ორი ხაპირისებრი ხრტილი (სამკუთხედი), მოქნილი და მოძრავი: ამ ხრტილებს შეუძლიათ დაუახლოვდენ და დაშორდნენ ერთი-მეორეს, გადაიხარონ წინაც და უკანაც. მათ ამგვარ მოძრაობას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენად მათთან დაკავშირებულია ხმის სიმთა სხვადასხვა მღვმარეობა (იხ. ქვევით). მთელ ყრონტს აქვს სარქველი (*epiglottis* სურ. II) მოგრძო მსხლის მსგავსი, რომელიც მიმაგრებულია ფარისებრი ხრტილის კუთხეში; საჭმლის ყლაპვის დროს სარქველი დახურავს ყრონტს (მაშასადამე, სასუნთქს) და საჭმელს მეორე მილში (საყლაპავში) გზავნის, რომელიც სასუნთქს უკან იმყოფება; სუნთქვის და ლაპარაკის დროს-კი სარქველი ახდილია. ლაპარაკისთვისაც აქვს მნიშვნელობა სარქველს: ყრონტი მოძრავია, ადის და ჩადის: როცა ყრონტი აიწევა, ის უახლოვდება ახდილ სარქველს, და ამ დროს თქმული ბევრა უფრო მკაფიოა, ვიდრე მაშინ, როცა ყრონტი ჩაიწევს და სარქველს შორდება.

რაც შეეხება სიმებს, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბევრისთვის. როგორც მოგახსენეთ, ეს ორი სიმი მიზრდილია უკან ხაპირისებრ ხრტილების ძირში, წინ-კი ერთდებიან ფარის კუთხეში ერთ ადგილას; მაშასადამე, მათ შუა კუჭრუტანა (*glottis*) სამკუთხედია; ამოსუნთქული (და ჩასუნთქული) ჰაერი ამ სამკუთხედ კუჭრუტანას გაივლის. ხაპირების მოძრაობაზეა დამოკიდებული სიმების ერთი მეორესთან განწყობი-

ლება, ოომელნიც ხან უახლოვდებიან ერთი მეორეს, ხან სულ მიეკვრიან ერთი-მეორეს და ჰაერს არც იქეთ უშვებენ და არც იქეთ და სხვა.

საყურადღებოა აგრეთვე ხაპირებ შუა ჭუჭრუტანა, ოომელიც გაგრძელებაა სიმების ჭუჭრუტანისა, მაგრამ შესანიშნავი ისაა, ოომ შესაძლებელია სიმებ შუა ჭუჭრუტანა დაიკეტოს, ხაპირებ შუა-კი დარჩეს, ან პირიქით: ხაპირები ერთი მეორეს მიეკრას, ე. ი. ჭუჭრუტანა მოისპოს მათ შუა, და სიძები კი ლია იყოს\*). ამ ჭუჭრუტანების სხვა და სხვა ფორმაზე დამოკიდებულია ლაპარაკის სხვადასხვა ხასიათი:

**ა.** მთელი ჭუჭრუტანა (glottis) ფართოდ გაღებულია (იხ. ს. VI A), ოოცა ჩვენ ან ვსუნთქავთ თავისუფლად ან ყრუ ბგერებს ვაწარმოვებთ (ვ, ფ, ტ, თ, კ, ქ, ჰამზათი, უ, ხ, წ, ც, ჸ, wh-ich, f, th (ინგლ.) ს, შ, ჰ, იხ. თანხმ. კლასიფ.). მაშასადამე, ამ თანხმოვანთა სიყრუვე იმაში მდგომარეობს, ოომ მათოვის ამოსუნთქული ჰაერი ამოსვლის ღროს სიმებს არ აეღრებს; ვ, ფ, ტ, თ, კ, ქ, წ, ც, ჸ, ჩ, უ (ყრუ) f, th, ს, შ იწარმოება იმ ჰაერით, ოომელიც სიმებს გაშორდა: ან პირის ფოსოში ენისა და სასის (ან კბილების) ხშვასკლომით (ტ, თ, კ, ქ, ხ, დ, წ. ჩ), ან წყვილ ბაგეთა ხშვასკლომით (ვ ფ), ან ენა-სასის ღრიჭოვანობით (შ), ან ენა კბილთა ღრიჭოვანობით (th, ს), ან ბაგე კბილთა (f) და წყვილ ბაგეთა (w) ღრიჭოვანობით. უ-ს წარმოების საკითხი ჯერჯერობით ამოცანაა მეცნიერებისათვის\*\*). რაც შეეხება არაბულ ჰამზათს, ოომლის მსგავსი ბგერა ისმის მაგ. გერმანულ ein-ში ან aber-ში (e-ს და a-ს წინ) და ქართულ ჰ-ს სიტყვა ჰაერ-

\*), მაშასადამე, მთელი ხმის ჭუჭრუტანა შესდგება ორი ნაწილისაგან; სიმთა ჭუჭრუტანა და ხრტილთა ჭუჭრუტანა,

\*\*) ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არა გვაქვს ისეთი იარაღები, ოომლის საშვალებით შეგვეძლოს უ-ს წარმოების ეკსპერიმენტალი გამოკვლევა. ზოგიერთ ჩემს დაკვირვებას ცალკე სპეციალ სტატიაში გამოვაქვეყნებ.

ში (გერმან. h haben-ში), მათ წარმოებაშიც (ჰამზათის და ჰ-ს) სიმებს დიდი მნიშვნელობა აქვს: ჰამზათი წარმოადგენს ასე ვსთქვით ძლიერ შეტევას, ოომლის ღროსაც გვესმის ტკაცანი ტრესკ, knall); ფიზიოლოგიური ბუნება კი ასეთია: სიტყვის დაწყების წინ (მაგ. aber) იკეტება სიმები ერთ წუთს, მერმე სასუნთქიდან წამოსული ჰაერი სწრაფად ხეოქს (ალებს) სიმებს და იქვე იწყება სიმთა ულერა შემდეგი ა-სათვის. ქართული ჰ (და გერმან. h) წარმოადგენს სუსტ ფშვინგით შეტევას: სიმები არ იკეტება სიტყვის დაწყების წინ (მაგ. სიტყვა ჰაერი-ში), მხოლოდ, ვიდრე ა-სათვის სიმების ულერა დაიწყებოდეს, მას წინ უსწრებს სუსტი ამოთქმა, ფშვინვა\*).

**ბ.** (იხ. სურ. VI E) ოოცა ხაპირისებრი ხრეტილები და აგრედვე სიმები უახლოვდებიან, თითქმის ეხებიან ერთი მეორეს - მაშასადამე, ჭუჭრუტანა (glottis) დაიხურება — და სიმები დაიჭიმება ფარის წინ გადმოწევით (სიმები იჭიმება, რადგან ფარის კუთხეშია ისინი მიბმული), მაშინ სიმები აფლერდება ამოთქმული ჰაერის ქვევიდან მიწოლით. ამგვარად გამოითქმის მჟღერი (ვიონკი) ბგერები: ყველა ხმოვანები (ა, ე, ი, ო, უ, და ბ, დ, გ, ყ, (მეგრ.); ძ, ც, ჰ, ვ; th (6) ზ, უ; ხ; ლ, ჸ (ზოგჯერ) მ, ნ, რ, ლ. სიმთა ამა თუ იმ ძალის დაჭიმვისაგან დამოკიდებულია ულერის სიმაღლე. გაშინჯეთ გარედან თითოთ ხორხი მჟღერი ბგერის ღროს და იგრძნობთ სიმთა ვიბრაციას, ოომელიც ოდნავ ხორხსაც გადაეცემა (გაიმეორეთ რამდეჯერმე ყრუ ს და მჟღერი ზ). განსხვავება ხსენებულ ხმოვანთა და მჟღერ თანხმოვანთა უორის შემ-

\*) ძლიერ შეტევას გარდა არსებობს წყნარი შეტევა (ქარი., ფრანგ., რუს.); სუსტ ფშვინვით შეტევას გარდა — ძლიერი სიმების მიერი შეტევა (ყელის მიერ ღრიჭოვანად წოდებული), მაგ. ძვ. ბერძნ. spiritus asper და ძვ. ინდ. ჩ, მაგრამ ესენი მჟღერია. სიტყვის ბოლოშიც ანალოგიური მოვლენაა შეწყვეტის სახით: ძლიერი, წყნარი, და ფშვინვითი შეწყვეტა. (ძვ. ინდური visarga ფშვინვითი შეწყვეტაა.)

დეგში მდგომარეობს: ხმოვანთა (ა, ე, ი, ო უ) წარმოების დროს აულერებულ ჰაერს არავითარი დაბრკოლება არ ხვდება გზაში, პირის ფოსოში\*); თანხმოვანთა წარმოების დროს კი დაბრკოლება ხვდება, რომლის დაძლევა ქმნის ხმაურობას. მაშასადამე მულერი ბგერა შესდგება სიმთა ულერისგან + ხმაურობა პირის ფოსოში. ყრუ ბგერები კი (იხ.) მხოლოდ ხმაურობას წარმოადგენს.

მოვიყვან აქ სავარჯიშოდ და შესადარებლად ყრუ და მათ თანაბარ მულერ ბგერებს (მულერი გახაზულია: თქვით ჯერ ყრუ და მერმე მულერი და დაინახავთ, რომ ორივესათვის ერთი და იგივე ორგანო ერთსა და იმავე აღგილს მუშაობს ე. ი. ჰაერის მსვლელობას აბრკოლებს; განსხვავება მხოლოდ სიმთა ულერიშია): პ ბ, ტ დ, კ გ, ფ პ, th თ, ს ზ, შ, უ, w ვ, ხ ლ, წ ძ, ჭ ჭ; არის რამდენიმე მულერი ბგერა, რომელსაც ჩვეულებრივ თანაბარი ყრუ არა აქვს, მაგ. მ ნ, ლ რ რომელნიც დანარჩენ თანხმოვანებისაგან განსხვავდებიან მით, რომ მათში მეტი ხმიანობაა (ულერა), ვიდრე მულერ თანხმოვანებში; ამიტომ მ ნ, ლ რ, ითვლება ხმიერ ბგერებად. არის აგრედვე რამდენიმე ყრუ ბგერა, რომელსაც თანაბარი მულერი არა აქვს: ყ და მფშვინავი კ (ე. ი. ჭ\*\*), მფშვინავი ტ (ე. ი. რ), მფშვინავი წ (ე. ი. ც), მფშვინავი ჭ (ე. ი. ჩ).

გ. (იხ. ს. VI G) ხაპირებ შუა ჭუჭრუტანა დაკეტილია; დაკეტილია აგრედვე ჭუჭრუტანა სიმთა შუა თავსა და ბოლოში; მხოლოდ რჩება დაჭიმულ სიმებ შუა ერთი ჰატარი აღგილი, საიდანაც ჰაერი გაჭირვებით ამოდის და აულერებს ამ გვარად სიძების ნაწილს: ეს არის ე. წ. ფალცეტი (კრინი, ფისტულა).

\*) თუ ხმოვანებიც განსხვავდება ერთი მეორისაგან, მაგ. ა ი-საგან ა უ-საგან, ო უ-საგან და სხვა, ეს დამოკიდებულია რეზონატორის (პირის ფოსოს) სხვა და სხვა ფორმაზე.

\*\*) ძველ ინდურში იყო მფშვინავი გ (gh) და დ (dh).

დ. (იხ. ს. VI C) როცა სიმები დაკეტილია. მჭიდროდ, მაგრამ ხაპირები კი ღია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვაწარმოვოთ ბგერები ძლიერი ჩურჩულით; სუსტი ჩურჩულისთვის კი გაიხსნება ოდნავ სიმებიც. (იხ. ს. VI B).

ნათქვამიდან სჩანს, თუ რა დარა ორგანოების თანამშრომლობაა საჭირო ბგერის წარმოებისათვის ფიზიოლოგიური მხრივ:

სხეულის კუთების მოქმედება ქმნის ჰაერის ტალღას; ხმის სიმების მოქმედება გადაამუშავებს ამ ტალღას; ყრონტი, ენა სასა, ლოყები და ბაგეები მიიღებს ამა თუ იმ განსაზღვრულ ფორმას და მრავალგვარად მოაწყობს ხახის, ცხვირის და პირის ფოსოებს (რეზონატორებს). ამ გვარად ლაპარაკის დროს თითქმის მთელი სხეული მოქმედობს.


ბგერისაგან შერხეული ჰაერი აღწევს ჩვენს ყურს და ჩვენ განვიცდით ამა თუ იმ აკუსტიურ შთაბეჭდილებას: ან შევიგრ ძნობთ მუსიკალ ბგერას ან უბრალო ხმაურობა. როცა ჰაერის ნაწილები საკმაო სიჩქარით და პერიოდულად (რითმიულად) ირხევა, მაშინ შევიგრძნობთ მუსიკალ ბგერას (ხმოვანები); როცა რხევა არა პერიოდულია - უბრალო ხმაურობას (თანხმოვანები). მულერ თანხმოვანებში ჩვენ გვესმის სიმების ულერა და პირის რეზონატორის ხმაურობა (შეად. შ და უ). ყოველ ბგერას (მუსიკალს თუ ხმაურას) აქვს განსაზღვრული სიმაღლე იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით ირხევა ჰაერის ნაწილები; სიძლიერე - თუ რა ამპლიტუდა (სიფართვე) აქვს ჰაერის ნაწილების რხევას; ტემპი - თუ რომელი მაღალი ტონები უერთდება ძირითად დაბალ ტონს (მაგ. ტემპით განსხვავდება ჭიანურის და გიტარის ბგერა).

შუაენის ბგერები უფრო მაღალია; ვიდრე წინა ან უკანაენის. ხმოვანები განსხვავდება ერთი მეორესაგან ტემპით (მაგ. ა უ-საგან, ე ო-საგან და სხვა).

ხანგრძლივობის მიხედვით ბერები განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: ა) **მუოვარნი** (durativa), რომელთა თქმა შეგვიძლია გრძლად; ასეთია ხმოვანები, (ა, ი, ე, ო, უ)ხმიერნი (ზ ნ, რ ლ) და ღრიჭოვანნი (ვ, ფ, ს, ზ...), ბ) **მეცვეულნი** (momentane), რომელთა გაგრძელება არ შეიძლება, უცბად უნდა ითქვას; ასეთია ხშულ მსკდომი (პ ბ, ტ დ...) და რთულნი (აფრიკატები): წ. ძ, ჭ ჰ, ც, ჩ.

### ლიტერატურა

1. Богородицкий, Лекции по общ. языкам. II—57 83.
2. Jespersen, Zehrbuch der Phonetik 1904 Zpr.
3. Sievers, Grundzüge der Phonetik 1901.
4. E. Wh. Scripture, The elements of experimental phonetics, London 1902.
5. Томсон, Общее языковед. 140 83.



### ლექცია მეშვიდე.

ბავში და პირველუფილი ადამიანი ენის მხრივ. განსხვავება მათ შორის. მიბაძვის მნიშვნელობა. ფსამეტიხთსის ექსპერიმენტი. გავეურებული ბავშები. მიბაძვის პროცესი. სძენისა და მხედვოლობის საშვალებით ენის მასალის შეთვისება. ერთ ბავში. აზრის გაზიარება ადამიანთა შორის ცხოველთა შორის: განსხვავება. ბავშის ენა. თხის პერიოდი; ამ დაუთვევის პირობითი ხასიათი. თავდაცვის ინსტიქტი. ინსტიქტური, შიზანშეწონილი და რეფლექტური მოძრაობა. ბავშის ძალა—ენის ორგანიზაცია რეფლექტური მოძრაობაა.

ბავშის ენის პირველი შერიცდის ბერები და ველურთა ენა. ავებელი. მეორე შერიცდის ბერები და სიტუაცია: ხშელ მსკდომთა შერიცდი. მესამე: ღრიჭოვანთა (ანუ ხშირანტთა, ფრიკატიულთა) შერიცდი. ღრიჭოვანთა ს ძნელება. მეოთხე შერიცდი: ენის დასრულება.

ჩვენ გავითვალისწინეთ ენის ფსიქიური და ფიზიოლოგიური მომენტები: ვიცათ, რა ხდება ჩვენს ფსიქიკაში ენის მასალის შეთვისების დროს და რა ორგანოებს როგორ ვხმარობთ ბერების და სიტუაციის გამოსათველად; ვიცით რაოდენიადმე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ დაგროვილ ენის მასალას. გაკვრით, მხოლოდ საილიუსტრაციოდ შევეხეთ აგრედვე, თუ როგორ ითვისებს ბავში ენას პატარაობიდანვე. ეხლა შევუდგები ამ უკანასკნელი საკითხის ფართედ განხილვას, რაც ერთგვარ ნათელს მოფენს საზოგადოდ ენის წარმოშობას. მართალია, ენის შექმნის მხრივ დიდი განსხვავებაა პირველყოფილ დამიანსა და ბავშს შორის: ბავში ბაძავს უფროსთა ენას, მის არშემო უკვე არსებობს ენა, და ამიტომ ბავშის შემოქმედების აუცილებლობის ხასიათი ეკარგვის; ბავშს ეუბნებიან, რომ იტყვა „პური“ არის განსაზღვრული საგნის სიმბოლო, ე. ი. იტყვასა და საგანს შორის არსებობს შეთახმებითი კავშირი.

პირველყოფილი ადამიანი კი სრულიად მარტო იყო ამ ტრიკი: მის გარშემო ბერებითი ენა არ არსებობდა; მას თავისი

ძალით უნდა შეექმნა ეს აზრის უშესანიშნავესი იარაღი — ენა. ამიტომ რამდენიმე ასი საუკუნე იყო საჭირო მისთვის, რომ შეექმნა ენის ის მასალა, რომელიც რამდენიმე წლის ყოველ ნორმალურ ბავშვს აქვს ჩვენ დროში. ენის შეთვისებაში რომ მიბაძვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამის საბუთი მრავალია. ფსამეტიხოსის ლეგენდურ ეკსპერიმენტს რომ თავი გალია. საკმარისია ნამდვილი ისტორიული მაგალითებიც, სადაც დავინახესვთ, რომ შოლაპარაკე წრეს მოწვევტილი ადამიანი მუნჯად რჩება:

მე-XVII საუკუნეში (1672) ექიმი ნ. ტულპი მოგვითხრობს, რომ ამსტერდამში მოიყვანეს 16 წლის ირლანდიელი ჭაბუკი, რომელიც პატარაობიდანვე გაქცეულა სახლიდან და შემთხვევით გადარჩენილი გაზრდილა გარეულ ცხვრებს შორის.

ფიზიკურადაც სრულიად გაველურებული ჭაბუკი მხოლოდ ბლაოდა, როგორც ცხვარი: ცხადია, მასში თავი უჩენია მიაძვისადმი მიღრეკილებას.

ამგვარსავე შემთხვევას აგვიწერს ინგლისელი კონნორი: 12—13 წლის ბავშვს, გაზრდილს დათვებით სავსე ლიტავიის ტყეებში, ძლივს ძლივობით ასწავლეს ორ ფეხზე სიარული;

\*) ჰეროდოტე (წიგ. II, თ. 2) მოგვითხრობს შემდეგს: ეგვიპტელნი ფსამეტიხოსამდი თავის ერს სთვლიდენ უძველეს ერად. ამ დროდან კი ფრიგიელთ. მოხდა ეს ასე: ფსამეტიხოსმა ბევრი იფიქრავინ იყო უძველესი ერი, მაგრამ კვლევის საშვალება ვერ იპოვნა. ბოლოს უბრძანა წაეყვანათ ორი ახლად დაბადებული უბრალო წრის ბავში მწყემსებისათვის, რომელთაც ერთი სიტყვაც არ უნდა ეთქვათ ბავშთა თანადასწრებით; მხოლოდ თხები მიერეკათ ბავშებთან რძის საჭმელად. მას უნდოდა გაეგო, რა სიტყვას იტყოდენ პირველად ბავშები. როცა ორი წლის შემდეგ მწყემსმა შეაღო კარი ბავშებთან ფეხს. როცა მეფესთანაც „ბეკოს“ გაიმეორეს ბავშებმა, ეგვიპტელებმა დაიწყეს ძებნა — თუ რომელი ერი რას უწოდებს ბეკოს. აღმოჩნდა რომ ბეკოს ფრიგიულად ნიშნავს პურს. მაშინ ფსამეტიხოსი დარწმუნდა, რომ უძველესი ერი ყოფილან ფრიგიელნი და უძველესი ენაც მათ ქონიათ. ნამდვილად კი აქ მიბაძვა იყო.

ღრიალებდა როგორც დათვი და დათვსავით მოუხეშავი იყო. გარდა ამისა, მას არავითარი არა ახსოვდა-რა თავის წარსულიდან. ეს უკანასკნელი საკვირველი მოვლენა — წარსულის დავიწყება — შემდეგში გამოგვადგება. მოყვანილი მაგალითებიდან (პოგოდინ, ენა და შემოქმედება 178 გვ.) სჩანს, თუ რა უმწეო მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ამ მხრივ პირველყოფილი ადამიანი: ის უნდა შეხვედროდა ან მხეცს, ან თავის მსგავს უენო ადამიანს...

მაგრამ ამ განსხვავებასან ერთად ბავშს და პირველყოფილ ადამიანს (რამდენად ამას ვხედავთ ველურ ადამიანში) აქვს საერთო ფსიქიური არსება: უურადლების დაუდეგრობა და აფექტების უპირატესობა. ამ ანალოგიაზე დავამყარებთ შემდეგში ბავშისა და პირველყოფილი ადამიანის ენის შედარებას, რაც ცოტაოდენ ნათელს მოფენს იმ შორეულ, პრეისტორიულ დროს, როცა ადამიანის ენა ისახებოდა.

რაში გამოიხატება მიბაძვა ბავშის მხრივ?

თუ ბავში ნორმალური აგებულობისაა, მას ესმის და ხედავს, ე. ი. ის მიიღებს ენობრივ შთაბეჭდილებას სმენითი და ხედვითი სენზორული ცენტრებით, რომელნიც აღძრავენ მნიშვნელობის წარმოდგენებს. ბავშის მომვლელი სახელს არქმევს ყოველ საგანს: მიუტანს რძეს და ამბობს „რძე“, შეხედავს კატას: იტყვის „კატა“, შეზოვა მამა და იტყვის „მამა“. ბავში, მაშასადამე ხედავს საგანს (რძე, კატა) და ერთდროულადვე ესმის ბეგრა (რძე, კატა). ბავშს მეხსიერებაში ებეჭდება ეს ერთდროულობა; მისათვის განუყოფელი ხდება ეს ორი მოვლენა: საგანი და ბეგრა. როცა ხედავს რძეს, მოაგონდება ბეგრა (სიტყვა) „რძე“; როცა გაიგონებს სიტყვას „რძე“, ის მოიგონებს საგანს (რძეს) და შეხედავს იმ აღვილს, სადაც ჩვეულებრივად რძე სდგას. თუ გაიგონებს ჭურჭლის წკრიალს მას მოაგონდება „რძეც“ და რძეც (ბეგრაც და საგანიც), მაგრამ თქმა ჯერ არ შეუძლია. ბავში ტიტინებს უაზროდ, ამით ის განიცდის მხოლოდ სიამოვნებას; მისი ტიტინი ჯერ სრუ-

ლიად არ წააგავს უფროსთა ლაპარაკს. მაგრამ, როცა მასში იღვიძებს მიბაძვისადმი მიღრექილება, ის ცდილობს წარმოსთქვას ის, რაც ესმის. ბავში ინსტიქტურად გრძნობს, რომ მას ეს შეუძლია იმავე ორგანოებით, რომლითაც ის ტიტინებს, რადგან უფროსთა ბგერისაგან და თავისი ტიტინისაგან ერთნაირ აკუსტიურ შთაბეჭდილებას იღებს. იწყებს სალაპარაკო (სატიტინო) ორგანოთა ინერვაციას, თავდაპირველად შეცდომებით: რ-ს ვერ იტყვის; ძ-ს მაგიერ რბილ დ-ს ამბობს; ე ს მაგიერ ა-ს (დ'ა=„რძე“). რამდენად უფრო გაუგებს მომვლელი ამ სიტყვას, მით უფრო კმაყოფილია ბავში. ის იმეორებს დ'ა-ს და მასთანავე იმახსოვებს ორგანოთა იმ მდგომარეობას, რომლის წყალობითაც დ'ა გამოითქვა. მან შექმნა მესამე წარმოდგენა: **ორგანოთა მდგომარეობის კუთხებრივი წარმოდგენა.**

როცა დაინახავს რძეს (ან გაიგონებს წკრიალს), ის მოიგონებს: საგანს, უფროსთა „რძეს“ და თავისი კუთების მოძრაობას (დ, ა-ს). ეს სმენის საშვალებით.

რაც შეეხება ენის მასალის მხედველობით შეთვისებას, ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბავში ხედავს უფროსთა სახეზე მხოლოდ რამდენიმე ბგერის წარმოებას: ვ-ს, მ-ს, ბ-ს და ზოგ ხმოვანს. ყრუ ბავში მით არის საცოდავი, რომ ენის შეთვისების საუკეთესო იარაღი – სმენა აკლია. ამიტომ არის ის გონებრივადაც ჩამორჩენილი.

ჩვენ ვიცით, რომ ლაპარაკი იწყება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გვაქვს **განზრახვა** ჩვენი წარმოდგენა ბგერითი საშუალებით გამოვსახოთ. ვიცით აგრედვე, რომ მსმენელის გონებაში აღვძრავთ იმავე პროცესს, როგორსაც ჩვენ თვითონ განვიცდით, მხოლოდ უკულმა (მოლაპარაკე: მნ. წ.-ვ.+ბ. (ორგ. მოძრ.), მსმენელი: ვ.+ბ.-+მნ. წ.; მსმენელი გაიგებს ლაპარაკს მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავისთვის **იმეორებს** მთხოვნელის პროცესს).

მაგრამ ცნობილია, რომ ცხოველსაც შეუძლია გაუზიაროს სხვას თავისი სურვილი ან საჭიროება (ძალი კუდით,

ცხენი ყურებით); ზოგი ცხოველი ბგერასაც ხმარობს. ამავე ელემენტებისაგან შესდგება ადამიანის ენაც: უსტისა და ბგერისაგან. ზოგიერთ გელურთა ენა უმეტესად უსტ-მიმიკით განისაზღვრება. ადამიანისა და ცხოველს შორის განსხვავება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთს აქვს „ენა“ და მეორეს არა; არამედ იმაში, რომ ერთი სრულყოფს ენის ამ ელემენტებს, მეორე კი ვიწრო საზღვარს ვერ სცილდება.

ამ საკითხს და აგრედვე ბავშის ენის აზრობრივი განვითარების საკითხს შემდეგ ლექციაში გავეცნობით. ახლა-კი უმთავრესად შევეხები ბავშის ენის ბგერათა ფიზიოლოგიას.

რა თქმა უნდა, აქ მე ვგულისხმობ, რომ ბგერათა ფიზიოლოგია ზედმიწევნით შეთვისებული გაქვთ (იხ, ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასიფიკაცია, ლექც. VI).

სამწუხაროდ ქართველი ბავშის ენის აღწერა ჯერ არავის გამოუქვეყნებია\*). ამიტომ უმთავრესად დავემყარები უცხო ბავშთა ენის აღწერებს, რომელიც უხვად მოიპოვება ყოველ ევროპულ ენაზე.

ბავშის ენის განვითარება შეგვიძლია ოთხ პერიოდათ გავყოთ: ა) რეფლექტური ძახილის პერიოდი; ამ პერიოდში (თითქმის ერთი წელი) ბავში ემზადება წაბაძვისათვის. ბ) უფროსთა გამოთქმის უბრალო, მარტივი წაბაძვა, როცა ყოველ სიტყვას ერთ მარცვლად იტყვის; რა თქმა უნდა, ეს მარცვალიც შეცვლილია მისებურად; ეს პერიოდი გრძელდება 4 თვე. გ) წაბაძვის გაძლიერება და უფროსთა გამოთქმასთან მიახლოვება: ორ-და სამხარცვლოვანობა; გრძელდება ექვსი თვე. დ) ჩვეულებრივი ენის პერიოდი.

უნდა ვთქვათ, რომ ასეთ დაყოფვას არა აქვს აბსოლუ-

\* ) ვფიქრობ, რომ ბევრ დედას თავისთვის ჩაწერილი უნდა ქონდეს; და თუ როგორმე ჩვენთვის ხელმისაწდომად გახდიან, დიდ მადლობას შევსწირავთ. თითოეულ თქვენგანსაც შეუძლია ამა თუ იმ ბავშის ენა ასწეროს; ამასთანავე ბგერათა სხვა და სხვაობის აღსანიშნავად საჭიროა მეექვსე ლექციით იხელმძღვანელოთ.

ტური ხასიათი; მნიშვნელობა აქვს ბავშის ინდივიდუალობას და აგრედვე იმ წრის შემაღენლობას, რომელშიც ბავშს ცხოვრება უხდება: ვის მიმართ როგორ გრძნობს ბავში თავს და სხვა.

პირველ პერიოდს ცოტად თუ ბევრად ვიცნობთ. აქ მხოლოდ გავარკვევთ რეფლექტური ძახილის ხასიათს. ყოველ ცოცხალ არსებას ჩანერგილი აქვს თავდაცვის ინსტინკტი: ყოველ დაბრკოლებას ან ხითათს ინსტინკტიურად ეწინალმდეგება დაგურბის, თავსიცავს ყოველივე არსება, აგრედვე ბავშიც. თავ-შენახვის ინსტინკტი მოქმედობს მეორე გზითაც, სახელდობრ საარსებო საჭმელის პოვნის, ტაცების დროს. ამ შემთხვევაში გალიზიანება მოდის შიგნითი გრძნობიერი ცენტრიდან, როცა აქ ნდომა აღიძვრის. თავდაცვა და თავშენახვა ინსტინკტურია, ვიდრე შეუგნებლად ხდება; მაგრამ როგორც კი ბავში **შეიგნებს** ხითათს და შიშილს, მას შემდეგ იმავ მოძრაობას ის სჩადის განზრახ; მაშასადმე, წინანდელი ინსტინკტური მოძრაობა იქცევა მიზან-შეწონილად; მაგრამ მიზან-შეწონილი მოძრაობა ხშირი ვარჯიშის გამო მექანიურ მოძრაობათ იქცევა; ე. ი. მოძრაობითი ცენტრი იწყებს მუშაობას შეგნების ცენტრისაგან დამოუკიდებლად, მის დაუკითხავად. ასეთ მექანიურ მოძრაობას, ინტინკტის თუ მიზან შეწონილობის ნაყოფს, ეწოდება რეფლექტური მოძრაობა. ბავშის **ძახილი რეფლექტური მოძრაობა** ორგანოთა: ფიზიური გალიზიანება აჩქრებს სუნთქვას და ჭიმავს ხმის სიმების კუთებს; მრავალგვარი ფსიქიური ან ფიზიური შთაბეჭდილება ახდენს სასუნთქისა და პირის ორგანოთა ინერვაციას და იქმნება ხმაურობა და ტონი ე. ი. შესდგება ბერია: როგორც მიზან შეწონილი მოძრაობა გადაიქცევა უესტად (განზრახულ მოქმედებად), აგრედვე ძახილიც (პირველად რეფლექტური) გადაიქცევა ხმის სხვადა სხვა ინტენსივოდ და ბოლოს განზრახულ ბერიად (იხ. ლექ. მერვე).

ამ პირველ რეფლექტურ პერიოდში ბავში წარმოთქვას მრავალ ისეთ ბერიას და ბერიათა კრებულს, რომელიც მას უფროსთაგან არ გაუგონია და, როცა გაიზრდება, არც თვითონ იტყვის. სჩანს, ის ჯერ არ ბაძავს. თუ ამ პერიოდის პირველ ნახევარში ბავშს მხოლოდ რეფლექტური ძახილი ქონდა ტკივილისა ან შიმშილისგან, მეორე ნახევარში ის უკვე უიმპულსოდ ტიტინებს და ხშირად ძნელ ბერებსაც ამბობს მიუბაძავად: ბრვ, გრრბ და სხვა: ამ დროს ის თავს იქცევს ბერიათა წარმოების პროცესით. საყურადღებოა, რომ ძნელად გამოსათქმელ ბერიათა კომპლექსი ახასიათებს ველურთა ენასაც: წრუპუნი, ტლაშუნი რომელიც ჩვენი ნიშნებით არ გადმოიცემა. ალბად ასეთი ბერები უფრო ადვილად დასამახსოვებელია, რადგან შთაბეჭდილებას აძლიერებს. ამას მივუმატონ ბავშის და ველურის ფსიქიკის აფეკტური ბუნება (ე. ი. ლოგიური ელემენტის სისუსტე და გრძნობითი, ემოციურის სიძლიერე) და ანალოგია შესაძლებელი იქნება ბავშსა და ველურს შორის.

**მეორე პერიოდი** იწყება ელემენტარი მიბაძვით, რომელიც გამოიხატება ყოველი სიტყვის თითო მარცვლად გამოთქმაში: მა (მამა), ნა (большой), თ'ი (стыдно). რუსის ბავში ამ პერიოდში მარცვლით მა აღნიშნავს, მაგ. ორ სიტყვას, რომელიც ამ მარცვლით იწყება: მამა და მალენკიე. მაგრამ ბავში ხმარობს არა მხოლოდ სიტყვის პირველ მარცვალს, არამედ იმ მარცვალს, რომელიც მაზედ მეტ შთაბეჭდილებას ახდენს: მაგ. მესამე პერიოდში რუსის ბავშმა სთქვა: მატ'კი (баш) მაჩკი ხმოვანთაგან ამ პერიოდში ბავში ხმარობს: ა, ი, უ; უმეტესად ა-ს, რომელიც უწევს აგრეთვე ე-ს და ო-ს მაგივრობას: ბ'ათ'ი ვო(ლ)ცყ. თანხმოვანთაგან პირველად ხმარობს ბაგეთმიერ პ, ბ, მ-ს, შემდეგ რბილ, თითქმის შუაენის შეერ ოდნავ მფუვინავ ტ', დ', ნ'-ს (ტ', დ', ნ'-ს). უფროსთა ენაში ასეთი ტ, დ, ნ, არ არის არც ქართულში, და არც გერმანულში და სხვა; არის მხოლოდ რუსულში. ამიტომ, რო-

ცა რუსის ბავშვი ამ ბგერებს იტყვის, არ გვიკვირს; მაგრამ მას ამბობს ქართველი და გერმანელი ბავშიც; ტ'ა (თამარა), (w)at'a (wasser)\*. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ შუაენის-მიერობა უფრო ადვილია, ვიდრე წინაენის, რადგან პირველ შემთხვევაში ენას თითქმის ჩვეულებრივი, ინდიფერენტული მდგომარეობა აქვს, მეორე შემთხვევაში კი (წინაენის მიერობის დროს) ენის წინა ნაწილი უნდა აიწიოს და ზედა კბილებს მიებჯინოს, შუაენა ცოტა ძირს უნდა დაეშვას. ამავე დროს უფითარდება ბავშს ერთად ერთი ღრიჭოვანი j (იოტა, ე), რაც იმავე შუაენის მოქმედებით აიხსნება. ს-ს და შ-ს მაგიერ ბავში ამ დროს ხმარობს ტ'-ს: ტ'ა ტ'ა (საშა); კ-ს მაგიერაც ტ'-ს, მაგრამ ამ პერიოდის ბოლოს უკვე პ-ს იტყვის, თუმც წინ გამოწეულს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მას უფრო ეხერხება წინა არტიკულაცია, ვიდრე უკანა. მაშასადმე მას (მაგ. რუსის ბავშს) უკვე აქვს შემდეგი თანხმოვანები: პ, ბ, მ, ტ', დ', ჩ', ჟ, (კ), რომელთა საშვალებით ის ამბობს, მაგ. შემდევ სიტყვებს: ბად'ა (вода), ბატ'ი (во(ло)сы; (ლ გამოეპარა მის უურალებას, რადგან ეს მარცვალი სუსტია რუსულ გამოთქმაში მახვილიან მარცვალს შემდეგ), დ'ინ (жив), ტ'ადაი (козел). როგორ გამოიყენა თავისი მცირე თანხა? ბად'ა (=вода): რადგან მას არ ქონდა მეღერი ბაგეკბილის მიერი ღრიჭოვანი ვ (ღრიჭოვანები მხოლოდ მესამე პირიოდში გააჩნდება j-ს გარდა), ამიტომ მან თავის თანხილან ამოარჩია უკვლაზე უფრო შესაფერი ბგერა და ის გამოიყენა — ეს გამოდგა მეღერი; მაგრამ არა ბაგეკბილის, არამედ წყვილბაგის — მიერი; არა ღრიჭოვანი, არამედ ხშულმსკდომი ნ; პირველი a მხედველობაში მისალები არ არის, რადგან ი-ს მაგიერ უფროსებიც ა-ს ამბობენ; წინა ენის დ-ს მაგიერ შუაენის დ' სიტვა. დ'ინ (=жив): მეღერი წინაენის ღრიჭოვანი ჯ არ ქონდა — მის მაგიერ ამოარჩია და სიტვა ხშულ მსკდომი დ', რომელიც ჩვეულებრივ წააგავს ჯ-ს ელერით და წინა ენის მიერობით (მაგ-

\* უმველი ბავში ამ პერიოდშა ს-ს მაგიერ ტ'ს ხმარობს.

რამ მან შუაენის — მიერად სიტვა); უფრო რთული საკითხია, თუ რატომ სიტვა მან ვ-ს მაგიერი ი და არა ბ, როგორც ის მოიქცა სიტყა ვოდა-ში (იხ.); საქმე ისაა, რომ უფროსთა ენაშიც არსებობს არა жив, არამედ ჯიფ, რადგან რუსულში „ითქმის ყოველთვის მუღლერი სიტყვის ბოლოში გამოითქმის ყრუდ (ფ იგივე დაყრუვებული ვ-ა, როგორც T დაყრუვებული და სხვა); ამიტომ გაიგონა ჯიფ და სიტვა დ'ინ: მაშასადმე, საკითხი ასეთია: რატომ სიტვა ფ-ს მაგიერ ი იმიტომ, რომ ფ (როგორც ღრიჭოვანი) მას ჯერ არ ქონდა, წაამსგავსა კი პ-ს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფ-ც და პ-ც ყრუა; მეორე იმიტომ, რომ ფ-ს ბაგესთან აქვს კავშირი ისე, როგორც პ-ს; შეცდა მხოლოდ იმაში, რომ ფ ბაგეკბილის მიერია და პ წყვილი ბაგის, მაგრამ ეს შეცდომა აუცილებელი იყო, რადგან სხვა უკეთესი ბგერა ფ-სათვის მას არ გააჩნდა.

ტ'ად'აj (=коzel): უკანა ენის კ გადმოსწია წინ და სიტვა T'; ი არ ქონდა და სიტვა a; ლ არ ქონდა; კიდეც რომ ეთქვა ეს, მაინც შუაენის (რბილი) ლ' გამოვიდოდა; აკლეტიურად კი შუაენის-მიერ ლ-ს ძალიან წაგავს j (ე), რაც მეგრულში მშვენივრად სჩანს (ახალი = ახალი), — ამიტომ ლ-ს მაგიერ სიტვე j (ე). ტ'ატ'ა (=саша): ც-სათვის საჭირო იყო ღრიჭე ენის წვერსა და კბილებს შუა, შ-სათვის ღრიჭე ენის წვერსა და ცის წინა ნაწილს შუა; მან ც და III ვერ გაარჩია: ორივე ც-დ მოესმა; ც-ს მაგიერ კი T' სიტვა: გამოვიდა T' ორივეს (ც და III) მაგიერ: ტ'ატ'ა..

მაშასადამე, მეორე პერიოდი თანხმოვანების მხრივ არის ხშულმსკდომთა პერიოდი (j-ს გარდა); მათ შორის ყველაზე მეტად ხშირი არის T' (ყრუს ადგილის) და დ' (მუღლის ადგილის).

სადაო საკითხია მეცნიერებაში: მეღერი უფრო ეადვილება ბავშს თუ ყრუ ბგერა ე. ი. ილებს თუ არა აკტიურ მონაწილეობას ხმის სიმები ბავში პირველ ბგერებში. ბლობ-ის აზრით ბავში თავიდანვე ყრუს მაგივრადაც მეღერს ამბობს; ბოგოროდიც კი პირიქით.

მესამე პერიდში (თითქმის ორი წლის ბავშვი) ორ მარცვლოვანობა უძლიერდება და ბოლოს სამმარცვლოვანიც უჩნდება: პაპტ'კა—პაპოჭკა), თუმცა სიტყვას მაინც ხშირად მოკლებას (იხ. მატ'კი—(ბაშ-მაჭკი). ამავე პერიოდში ისახება მკრთალი ე და ო (ზ), რომელთა მაგიერ მეორე პერიოდში ა ს ხმარობდა. განსაკუთრებით საყურადღეობოა მესამე პერიოდში ლრიჭოვანთა (ანუ სპირანტთა) წარმოშობა. სჩანს ხშულმსკდომი ბგერა (ბ, ჰ, დ...) ჯერჯერობით შუაენის ანუ რბილი უფრო ეადვილება ბავშვი, ვიღრე ლრიჭოვანი (ს, ზ, ჟ, ვ, ფ...)

მართლაც, პირველთათვის საჭიროა ბაგეთა უბრალო შეკვრა (დახშვა): ენის კბილებზე ან ცაზე მიბჯენა (დ, ტ, დ' ტ'); ლრიჭოვანებისათვის კი მეტი სიფრთხილეა საჭირო; სალაპარაკო ორგანო უახლოვდება მეორე ორგანოს და ჩერდება განსაზღვრულ სიშორეზე (ს-სა ან ზ-სათვის ენა უახლოვდება ზედა კბილებს), ან და ოდნავ შეეხება (ვ-სა და ჭ-სათვის ქვედა ბაგე ოდნავ ეხება ზედა კბილებს). ამიტომ იყო, რომ მეორე პერიოდში ბავშვი ლრიჭოვანთა მაგიერ შუაენის-მიერ ხშულმსკდომს ხმარობდა... ლრიჭოვანთა შორის ზოგი აღრე ჩნდება ზოგი გვიან: ყველაზე აღრე ვ ჭ, მაგრამ უფრო წყვილბაგეობითი, ვიღრე ნამდვილი კბილბაგეობითი; შემდეგ ჩნდება ს, რომლის მაგიერ წინედ ტ'-ს ამბობდა. ეს ახლად წარმოთქმული ს' სწევს ჟ-ს მაგივრაბასაც: ს' ა ს' ა—საშა. ამავე ღროს ბავშვს გაუჩნდება მკრთალი აკუსტიური წარმოდგენა ზ-ს, ჟ-ს და რ-ს შესახებ, მაგრამ თქმა არ შეუძლია, ე. ი. მას ჯერ არა აქვს შესაფერი მოტორული წარმოდგენა. სამაგიეროდ მას აქვს ჟ (ჟ), რომელსაც მათ მაგიერ ხმარობს აკუსტიური მსგავსების ძალით: ტ'აჯან'ტ'i—Коробки. როცა ნამდვილი ზ გაუჩნდება და უ ჯერ არა აქვს, ზ-ს ხმარობს ჟ-ს მაგივრად: ვიფ (—жив).

მხოლოდ ამ პერიოდის ბოლოში მიაღწევს ბავშვი ნამდვილ წინაენის მიერი ბგერების (ტ დ ნ) გამოთქმამდი (როგორც

ვიცით, აქამდი ამ ბგერებს შუაენით ამბობდა: ტ' დ' ნ'). ამ ხანში იტყვის გ-ს და ხ-ს. ეს პერიოდი სრულდება ლ'-ს თქმით, რომლის მაგივრად აქამდი ჟ-ს ამბობდა (იხ. ტ'ად'აj—კოველ). მეოთხე პერიოდში ბავშვი თითქმის თავისუფლად ხმარობს მშობლური ენის უკელა ბგერას. შეძენილ მასალას უმატებს წინაენის მიერ ლრიჭოვანებს: შ ჟ; წინაენისმიერ აურიკატებს: ც, წ, ჩ, ჭ, ბოლოს იტყვის რ-ს.

(ლიტერატურა იხილე შემდეგი ლექციის ბოლოში).



## ლექცია მართ.

მუქარ, და მითოება, როგორც თავდაცვის და თავშენახვის მო-  
ძრაობათა სიმბოლო. ქახილისაგან ხმის ინტონაციის განვითარება.  
ინტონაციის საერთაშორისო ხსიათი. ინტონაცია და უესტი ჩვეუ-  
ლებრივ ლაპარაკში. ცხოველი და ადამიანი ენის მხრივ. ენა და ინ-  
ტელეკტი. საერთო წარმოდგენა და კერძო წარმოდგენები. ნაწევრო-  
ვანი აზრი და სიტყვა ადამიანი სარგებლობის ნაწევროვანი სიტყვით  
მხოლოდ გათქმების მიხედვით. ლეკტორი და მსმენელი. აფექტის  
მიმენტი. შეოლის კითხვა-პასუხი. ბავშის შემოქმედება უფროსთაგან  
ენის მასალის შეთვისებასთან ერთად. სიტყვის მნიშვნელობის მეტა-  
ფორული ცვლილება. მოქმედების სულიერი საგნიდან უსულოზე გა-  
დატანა და ამის შედეგი — მითის შექმნა. სიტყვის ფერიში. ბავშის  
მიერ მოვლენათა ანალიზი სიტყვების შემწეობით. ბავშის ცხოვრების  
შირობების გაფართოვება. კულტუროსანი და უკულტური ადამიანი.  
სიტყვის მასალა ცხოვრების შირობების მიხედვით. განექნებულ ცნე-  
ბათა ტერმინების შექმნა. დილექტურა.

უმთავრესი თანდაყოლილი ინსტინკტი ყოველი ცხოვე-  
ლისა, როგორც ვიცით, არას თავდაცვის და თავშენახვის  
ინსტინკტი. ორივე შემთხვევას თან სდევს შესაფერი უესტი,  
მოძრაობა: ადამიანი ხიფათს თავიდან იშორებს, მისგან თავს  
იცავს, ვთქვათ, ხელის მიგებებით; საჭირო საგანს კი თავის-  
კენ იზიდავს, მისკენ მიისწრაფვის, რაღან ის საჭიროა იმის  
თავშენახვისთვის. ეს ორი ინსტინკტიური უესტი: თავიდგან  
მოშორება და თავისკენ მიზიდვა გადადის მიზან შეწონი-  
ლობის სფეროში, როგორც კი შეგნებულ იქნება ხიფათი და  
საჭიროება. მაგრამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კაცო-  
ბრიობის განვითარებასთან ერთად სუსტდება ეს მიზანშეწონი-  
ლი მოძრაობა: თუ ძველად მოწინააღმდეგე უნდა მოგეკლათ  
ან გეცემნათ მაინც, ახლა მხოლოდ ხელით ემუქრებით, ე. ი.

მოქმედობთ მასზედ არა შესაფერი რეალური ზომით, არამედ  
სიმბოლოთი. თქვენი მიზანშეწონილი მოქმედების მაგივრობა  
გასწია მოქმედების სიმბოლო: მუქარა იგივე თავდაცვაა, მხო-  
ლოდ დასუსტებული, რომელსაც ისეთივე საერთაშორისო,  
უკელასათვის გასაგები მნიშვნელობა აქვს, როგორც იმავე ცე-  
მას და სხვას. როცა შეგვეშინება, ისეთ მოძრაობას ვახდენოთ,  
თითქოს საშინელებისაგან თავს ვიცავდეთ: აქაც გივე თავ-  
დაცვის სიმბოლო, დასუსტებული თავდაცვაა

ამგვარიდვე სუსტდება თავშენახვის, თავისკენ მიზიდვი  
მიზანშეწონილი მოძრაობა. ჩვენ ვიზიდავთ თავისკენ, რაც  
გვჭირია, რაც გვსურს. მაგ. ბავში იზიდავს თავისკენ, რაც კი  
მის ყურადღებას იწვევს: ის იშვერს ხელს ისეთი საგნებისაკენ,  
რომელსაც ის ვერ მიუწევს\*): რძეს მაგიდაზე, მოვარეს და  
სხვას.

ეს მისწრაფება მიუწვდომლისადმი იქცევა უბრალო მი-  
თითების, ჩვენების მისწრაფებად. მართლაც, საგნის ხელში  
აღების მაგიერ ჩვენ მასზედ მივუთითებთ მხოლოდ. მაშასადამე,  
ჩვენებითი უესტი იგივე დასუსტებული, ხელში აღების ან თა-  
ვისკენ მიზიდვითი მოძრაობაა: ის არის რეალური მოძრაობის  
სიმბოლო, რომელიც ყველას ერთნაირად ესმის. ამგვარივე  
წარმოშობისაა სიყვარულის ყოველივე გამოხატულება: ლოკვა,  
ხვევნა, კოცნა და სხვა.

მოიგონეთ წინა ლექციიდან, რომ ძახილი იგივე რეფ-  
ლეკტური მოძრაობაა ორგანოთა, რომელნიც რომელიმე  
აფექტის ზეგავლენით აღიძვრებიან, — და ანალოგია შესაძლე-  
ბელი იქნება: როგორც, მაგ., თავშენახვის, თავისკენ მიზი-  
დვის ინსტინკტისაგან განვითარდა მოძრაობის სიმბოლო, ჩვე-  
ნებითი უესტი, ისე ძახილისაგან — ხმის მრავალგვარი ინტონა-  
ცია, რომელიც სიტყვას მუდამ თან ახლავს; მაგრამ შეგვი-  
ძლია სიტყვა ვერ გავიგოთ, ინტონაცია კი ყველასათვის გა-

\*) მას ჯერ არა აქვს სივრცის შეგნება.

საგებია, საერთაშორისო ხასიათისაა: უცხო ენა, ვთქვათ, არ გვესმის, მაგრამ წყრომის ან თხოვნის ინტონაციას (კილოს) საკმაოდ გავარჩევთ; შეგიძლიათ ძალას ალერსით უთხრათ „გადი გარეთ“ და ძალი მოგელაჭუცებათ: მას ესმის ინტონაცია და არა სიტყვა; სიტყვა „გამარჯობა“-ს სხვა და სხვა ინტონაციით ეუბნება უფროსი უმცროსს, თანასწორი თანასწორს, უმცროსი უფროსს, მოყვარე მოყვარეს და სხვა. მართალია, მაღალი კულტურის ნიშნად ითვლება მხოლოდ ნაწევროვანი ენით (членораздѣльная рѣчь) ლაპარაკი, ე. ი. რაც შეიძლება ხმის ნაკლები აწევ დაწევა — აგრედვე უესტების ნაკლებ ხმარება, — მაგრამ პირობების და სულიერი განწყობილების მიხედვით ინტონაცია და უესტი მაინც მუდამ შეიკრება ხოლმე ჩვენს ნაწევროვან სიტყვაში: მსმენელს ვუადვილებთ გაგებას, როცა ვეუბნებით „წიგნი იქ არის“ და თან ხელსაც გავაშვერთ. როცა აფეკტი გვფლობს, მაგ. ვჯავრობთ, ჩვენ უკუ ვაგდებთ აღზრდისაგან შეძენილ წესებს და მაშინ ინტონაციაც (და ~~უფლები~~) „ბუნებრივი“, პირველყოფილი გვაქვს...

როგორც-კი მიხვდება ბავში, რომ მის ძახილს (ყვირილს) ან უესტს მისთვის სარგებლობა მოაქვს, ის უკვე განზრახიდან ან უჩვენებს; მაშასადამე, მას ჩაესახა შინაგი ენა: მან მიაგნო საშუალებას მეორე ინდივიდზე იმოქმედოს, და ჯერჯერობით თავის შინაგან ენას ცხადყოფს ელემენტარად. ამ დონემდი ცხოველმაც მიაღწია, ე. ი. ცხოველსაც შეუძლია თავისი სხვა და სხვა ფსიქიური განცდის ცხადყოფა: მაგ. მამალს შეეშინა ქორის — ერთნაირად ყვირის, იპოვნა რომ — მეორენაირად; ძალის ღრენა და წკმუტუნი და სხვა. მაგრამ ცხოველი ამას ვეღარ გასცდა შემდეგი მიზეზების გაუმო:

თავპირის კუთები და ენის ოთვანოები ცხოველს ნაკლებ განვითარებული აქვს, ვიდრე ადამიანს — ამიტომ სუსტია მისი მიმიკაც. ცხოველს არა აქვს საინერვაციო საშვალება. მიქცე-

ულია ყურადღება ცხოველის ადამიანთან შედარებით ჰორიზონტალ მდგომარეობაზე. ვერტიკალმა მდგომარეობამ ბევრი უპირატესობა მისცა ადამიანს: გაუვითარა მკერდი, გაუთავისუფლა წინაფეხები, ხელების სახით, ტანის სიმძიმის ტარეპისაგან, რომლებითაც ის თავს იცავს და თავს ინახავს და აგრედვე საგანთა შინჯვას სფეროს იფართოვებს ხელში აღებით თუ ცხოველი უხელობის მიზეზით თავს იცავს და ინახავს უმეტესად თავპირით (კბილებით, ეშვებით, რქებით), ადამიანმა თავპირი გაითავისუფლა: სწორედ აქ არის ენის უმთავრესი ორგანოებიც. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ადამიანმა თავისი ინტელექტის ძალით შექმნა ენა და მით ცხოველს გაუსწრო, ამგვარივე უფლება გვაქვს ვსოდეთ, რომ ენამ გააძლიერა ადამიანის ინტელექტი. ენის და აზრის ურთიერთ გავლენა ასეთია:

ვთქვათ, თქვენ ნახეთ გუთანი — უკვე გაქვთ საერთო ხედვითი წარმოდგენა მთელ საგანზე. რაც უფრო ახლოს გაეცნობით მას, მით უფრო მეტ წვრილმან შემადგენელ ნაწილებს გაეცნობით. შეგიძლიათ იმუშაოთ კიდეც გუთნით, მაგრამ სახელი კი არ იცოდეთ არც მთელის, არც ნაწილების, ხედვითი წბრმოდგენა კი გაქვთ თითოეულ ნაწილზე. ერთი ინდივიდისათვის ეს თითქმის საკმარისია, მაგრამ როგორც კი მოინდომებთ აუხსნათ გუთანი სხვას, ან დაავალოთ რამ გუთნის შესახებ, მაშინ ენობრივი წარმოდგენა აუცილებელი ხდება, რადგან მხოლოდ ენის (ბგერითი ან უესტის) საშვალებით შეგიძლიათ მსმენელს შესაფერი წარმოდგენა აღუძრათ.

როცა ჩვენ საგანზე ვფიქრობთ, ჩვენს შემეცნებაში არის განსაზღვრულ მომენტში: ან მთელი საგნის წარმოდგენა (საგნის თვისებათა წარმომვენა-კი უფრო მკრთალი), ან ერთი თვისების წარმოდგენა, დანარჩენ თვისებათა და მთლიანი საგნის წარმოდგენა კი უფრო მკრთალია. ეს იმიტომ, რომ შემეცნების ასპარეზის ნათელი წერტილში მხოლოდ ერთი გან-

საზღვრული წარმოდგენა შეიძლება იყოს.\* ) ჩვეულებრივ ჩვენ-  
განვიცით გარეშე საგანთა და მოვლენათა საერთო წარმო-  
დგენას: გაღიზიანებათა (разраженій) მთელი რიგი ქმნის ჩვე-  
ნში საერთო წარმოდგენას, რომელსაც ვანაწევრებთ პირობე-  
ბის მიხედვით. დანაწევრება შეიძლება იმიტომ, რომ თითოეულ  
გალიზიანებას უდრიდა შესაფერი, ასე ვთქვათ, კერძო წარმო-  
დგენა; კერძო წარმოდგენას შეუძლია გამოიწვიოს მთელი სა-  
დგენა. ვთქვათ, მე ვჭამ ვაშლს; მომაგონდა ჩემი  
ერთო წარმოდგენა. ვთქვათ, მე ვჭამ ვაშლს; მომაგონდა ჩემი  
სახლი სოფელში, რადგან ამ გემოს ვაშლი იქ მიჭამია. გემო  
არის ამ შემთხვევაში კერძო წარმოდგენა, რომლის აღძვრა  
გამოიწვია მთელი წარმოდგენა სახლის შესახებ. ასე მოქმედობს  
სმენითი და მხედველობითი კერძო წარმოდგენებიც. მესმის  
ბერი თ-თ-ა-ხ-ი: აღიძვრის საერთო წარმოდგენა ოთახისა  
ბერი საგნისა; მაშასადამე ეს ბერი ყოფილი კერძო წარ-  
მოდგენა, რომელმაც საერთო გამოიწვია. თუ რა გზით, რ  
ასოციაციების საშუალებით ხდება ეს, თქვენ უკვე იცით.

ბავშვა დაინახა ცხენზე მჯდომი კაცი და იქვე გაიგონ „აჩუ“; ბავშვს აქვს საერთო წარმოდგენა, რომელიც შესდგებ  
ოთხი ელემენტისაგან ე. ი. ოთხი კერძო წარმოდგენისაგან  
მხედარი+ცხენი+უნაგირი +აჩუ. თითოეულ ამ ნაწილს შე  
უძლია აღძრას მთელი სურათის წარმოდგენა. ბერითი გამ  
ხატვა გაეწყობა მხოლოდ მეოთხე ელემენტს: ამიტომ ბავშ  
ვა მთელ სურათსაც „აჩუ“ უწოდა და ნაწილებსაც: მხედარ  
ცხენს და უნაგირს.

ბავშვი როცა დაინახავს ცხენის კაზმვას, იტყვის „აჩუ“, რ  
დგან იმის შემეცნებაში არ არის ჯერ მოქმედობის კატეგორი  
მას არა აქვს დანაწევრებული აზრი. ცხოველსაც აქვს მ

\* ) ამიტომ არავის არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს იქი  
ხოს, ილაპარაკოს და უსმინოს, ან სხვადასხვა შინაარსის წერილი აშ  
რინოს. არსებობს მხოლოდ აზრის, ასე ვთქვათ, მოქნილობა, რის რ  
მწეობითაც ერთი აზრიდან მეორეზე გადახტის აღამიანი ისე, რ  
ადვილად უბრუნდება იმ აზრს, რომელიც შესწყვიტა...

ზეზის და შედეგის შეგნება: თუ ძალლი დასჯილია რამდენჯე-  
რმე რაიმე მოქმედებისათვის, ის აღარ იმეორებს მას, მაგ.  
ძალლი დასაჯეს სამზარეულოს შკაფიდან ქურდობისათვის, მა-  
გრამ ის ჯერ არ დაუსჯიათ სასაღილოს შკაფიდან ქურდობი-  
სათვის. ის იპარავს აქედან... რადგან ცხოველს არ შეუძლია  
იაზროვნოს ნაწევროვანი წარმოდგენებით, ამიტომ ის იმახსო-  
ვებს მხოლოდ ინდივიდუალ მოქმედებას და მოვლენას. ვე-  
რავითარი წვრთნა და ხედვნა ვერ ასწევს ცხოველს იმ დონეზე  
საღაც ნაწევროვანი აზრია. ზოოფსიქოლოგიამ ეს საკმაოდ და-  
ამტკიცა.

აღამიანი (ბავშვი) იწყებს აზროვნობას მხოლოდ ენის შე-  
თვისებასთან ერთად: აქამდი კი ბავშვი მოქმედობს მხოლოდ  
ასოციაციებით, როგორც ცხოველი. თუ ჩვენ უენო ბავშვს მი-  
ვაწერთ აზროვნობას, აქ ჩვენ ვცდებით სწორედ ისე, როგორც  
მაშინ, როცა რომელიმე ცხოველს მივაწერთ აზროვნობის უნა-  
რს: ნამდვილად იქაც და აქაც მხოლოდ ასოციაციებს აქვს აღ-  
გილი.

ვიდრე ბავშვი ატრიბუტს სუბიექტისაგან გაარჩევდეს, ის  
ვერ დაანაწევრებს საერთო წარმოდგენას კერძო წარმოდგენე-  
ბად, ამიტომ ის ლაპარაკობს თითოეული სიტყვით წინადადე-  
ბის აღვილას. მართალია ზმნის აღვილას ის ხელს ხმარობს,  
ე. ი. თითქოს აზრს ანაწევრებს, მაგრამ 1) ხელით მოქმედე-  
ბის გამოხატვისაც ის თანდათან სწავლობს და 2) ამ დროს  
მას უკვე ესახება შინაგანი ენა ე. ი. აზრის შინაგანი დანა-  
წევრება; როცა კი გარეთი (ბერითი) ენით იწყებს ლაპარაკს,  
ხელის უესტი უსუსტდება.

მეორე პერიოდში სიტყვა: თ' უ (стул) ნიშნავს ყოველ  
წინადადებას, რომელშიაც სკამს აღვილი აქვს: დამაჯინე სკამ-  
ზე და სხვა. რადგან სიტყვების თანხა ცოტა აქვს, თავის სურ-  
ვილს უესტით გამოხატავს. თან და თან ბავშვი ავსებს სიტყვე-  
ბის თანხას და უკვე მეორე პერიოდშივე უჩნდება ნაწევროვა-  
ნი სიტყვის ჩანასახი: ნა თ' უ, და' თ' მ' ი' თ' აյუ (дай-

те митѣ чай); ამასთანავე უესტი თანდათან სუსტდება, იკლებს.

აქვე უნდა ალვნიშნოთ შემდეგი გარემოება. უფროსს, ენისთვის უკვე მომწიფებულ ადამიანს, შეუძლია თავისი აზრის თითქმის ყოველივე დეტალი გამოხატოს, მაგრამ ამას ჩვეულებრივ ის არ სჩადის; მხოლოდ გარემოება თუ აიძულებს ადამიანს თავისი საერთო წარმოდგენათა ყოველი კერძო წარმოდგენა გამოთქვას. როცა მე ვამბობ „ცხენი მომიკვდა“, ამ საერთო წარმოდგენაში შედის იმდენი კერძო წარმოდგენა, რომ მისი ჩამოთვლა ბევრ დროს წამართმევდა: მყავდა ცხენი, ამადა ამ ტანის, ფერის, გახდა ავად, თავლაში იბა, თავლას კარები ქონდა და ასე თითქმის უბოლოფოდ. თუ ისეთ ადამიანს ვეუბნები ცხენის სიკვდილს, რომელიც არც ჩემს ოჯახს იცნობს და არც ჩემ ცხენს, მაშინ მეტი უნდა ვუამბო; თუ ახლობელს, მაშინ საკმაოა „ცხენი მომიკვდა“. „სანთელი მოიტანე“: თუ იცით, სად არის, მეტის თქმა საჭირო არაა, თუ არა და უნდა მეტად დავშალო, დავანაწევრო ეს საერთო წარმოდგენა „სანთელი მოიტანე“. საილიუსტრაციოდ საკმაოა ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ლექტორის ლაპარაკი გაუგებარია, თუ ის გულისხმობს მსმენლებში იმის ცოდნას, რაც მათ არ შეუძლიათ იცოდენ ე. ი. მათ არ შეუძლიათ იმ საერთო წარმოდგენათა დანაწევრება, რომელიც ლექტორმა სთქვა. (მეორე მხრით, თუ ლექტორი გულისხმობს მსმენლებში ძალიან მცირე ცოდნას, ნამდვილად კი ასე არ არის, მაშინ ლექტია მოსაწყენია, რადგან მსმენელი გამხადებულია ახალი რამ გაიგოს და მას ძველი ესმის)

საზოგადოდ ჩვენ ვამოკლებთ ან ვაგრძელებთ სიტყვას გარემოების შეგნების მიხედვით. დაქრა სინათლე: შესაძლოა სანთლის მოტანის სურვილი ყველას არ აღეძრას, მაგრამ თუ ერთმა სთქვა „სანთელი“, საჭირო აღარაა, „მოიტანე“, რადგან გარემოება თხოულობს მოტანას და არა წალებას ან დამალვას...

მაგრამ არის ისეთი ფსიქიური მომენტი, როცა ადამიანს არ შეუძლია დაანაწევროს წარმოდგენა ისე, როგორც გარემოებას შეესაბამება: ეს არის აფექტის მომენტი. ამ შემთხვევაში იშვიათი ადამიანი ლაპარაკობს და მოქმედობს მიზანშეწონილად. „ცეცხლი“! ვიძახით ჩვენ. სად, ვის, რომელ სართულში, საშიში, უბრალო — ამას ვერ ვამბობთ.

ხშირად მავნებელია შკოლის კითხვა-პასუხი. ევრედ წოდებული „სრული“ პასუხისათვის ბავშვს ხშირად იმას ათვევინებს მასწავლებელი პირველად, რაც ნამდვილად შემდეგ, ან სრულიად არ უნდა სთქვას ე. ი. უწესოდ ანაწევრებინებს საერთო წარმოდგენას. რამდენად მასწავლებელს შეუძლია მოწაფეს „სულში ჩახედოს“, იმდენად ასწავლის მას გარკვეულ ლაპარაკს, რაც გარკვეული აზროვნების თავდებია. ბუნდოვანი აზროვნების გასწორება შეიძლება ისე, როგორც შესაძლებელია ცუდი გამოთქმის გასწორება.

ბავშვი ითვისებს უფროსთაგან ენის მასალას: ლექსიკას და გრამატიულ კატეგორიებს; მაგრამ პარალელად ის ეწევა საკუთარ შემოქმედებასაც, მაგალითად, ბავშვა დაინახა ახალი საგანი პირველად თავის სიცოცხლეში; მან საგნის სახელი არ იცის, მაგრამ მსგავსების ასოციაციის ძალით ის ამ საგანს სახელს მოუძებნის; ბავშვი ამ ახალ საგანს დაარქევს ნაცნობი საგნის სახელს\*. ბავშვა დაინახა გოგრა — დაარქვა ბურთი, რო-

\*) ზოგი მეცნიერის აზრით ამგვარ შემოქმედებასთან ერთად არსებობს ბავშის აგრედვე პირველყოფილი ადამიანის: ენაში მეორე გვარი შემოქმედება, ე. წ. ონომატოპოეტური სახელები (ბერძის მომაძველობითი, ვეკოდრაжატელია ასეთი სახელი): მაგალითად ჭიკიკი, ყიყინი, ორიალი, გრიალი, რაკრაკი, ღუდუნი და სხვა; აქვე ასახელებენ ბავშის ენის რამდენიმე საალერსო სიტყვას. მართლაც ცნობილია, რომ ბავშს შეუძლია რამდენიმე აზრი თავისებურად გამოსთქვას (ბავშის ენა), მაგრამ ბერძის მიმბაძველობას აქ ძალიან უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ონომატო-პოეტური თეორიის დასარღვევად საკმარისია ორი მოსაზრება მოვიყვანოთ: 1. ასეთი სიტყვები ენაში ძალიან ცოტაა (ისიც უფროსთაგან გაონილი), მათი საშვალებით მარტივი აზრიც ძნელად გამოითქმის; 2. სხვადა და სხვა ერის ენაში (ბავშის თუ უფროსის) ონომატო პოეტური და საალერსო სიტყვები ერთნაირი არ არის (ყიყლიყო, გერმ. Kikireki, რუს. Кукуреку; ჭიკიკი და შებეთავე ჩუხჩუხი და ჯურჯანე).

მლითაც ის ხშირად თამაშობდა და სახელიც იცოდა; ცხადია, ბავშვა იხელმძღვანელა ამ ორი საგნის ერთად ერთი საერთო ნიშანდობლივი თავისებით: ეს იყო მათი სიმრგვალე (შესაძლოა, სრული მსგავსება არც ამ მხრივ ყოფილიყო). ეს ფაკტი არსებითად არ განსხვავდება ჩვენი პოეტურ ენის შედარებათაგან... სიტყვის მნიშვნელობის მრავალგვარ ცვლილებაზე სპეციალად შევჩერდებით შემდეგ ლექციებში; აქ კი აღვნიშნავ ხსენებული ფაკტის ანალოგიურ მოვლენას ჩვეულებრივ ენაში. სახელი მაქს სიტყვის მნიშვნელობის ე.წ. მეტაფორული ცვლილება. საზოგადო პროცესი ასეთია: ახალ მოვლენას დაერქმევა სახელიც ისეთი სიტყვა, რომლის ჩვეულებრივ მნიშვნელობასა და იმ მოვლენას შორს არის საერთო რამ; მსგავსება შესაძლოა არსებითი არ იყოს, მაგრამ ასოციაციას მაინც აქვს. ადგილი; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველი შთაბეჭდოლების განცდას. მსგავსება შესაძლებელია გარეგნული, ფუნქციერი, • ადგილობითი და სხვა. გარეგნული: ფეხი (ადამიანის და სკამის), გრეხილი (ტანსაცმელზე და მთაზე), ქოჩორი (მამლის და მიას)\*... ფუნქციური: თავი (ადამიანის და ქალაქის თავი), ხელი (სხეულის ნაწილი და დამხმარე ამხანგი: ის ჩემი მარჯვენა ხელია) ადგილობითი: ფრთა (ფრინველის და ქარის წისქვილის), ყელი (ადამიანის და ჭურჭლის)...

ხშირად სივრცის ცნება გადაგვაქვს დროზე: **მოკლე ვადა.** (თითქოს ვადას სიგრძის საზომი მიუღებოდეს), დრო გარდის. (თითქოს დროს ფეხები ქონდეს და საათში დიდ მანძილს გარბოდეს)... შეგრძნების სახელი გადაგვაქვს გრძნობაზე: **ტკბილი** ხმა (თითქოს გემოთი იშინჯებოდეს ბერა), მხურვალე სიყვარული (თითქოს სიყვარული თითს დაგვწვავთ, ახლოს რომ მიიტანოთ)... ადამიანს თავის თვისებათა და მოქმედების სახელი გადააქვს უსულო საგანზე: თითქმის ყოველი ზმნა, რომელიც ნამდვილად შეეფერება მხოლოდ სულიერი საგნის მოქმედების აღნიშვნას, შეუძლია ადამიანს შეუსაბამოს უსულო

\*) შედ. ლათ. Caput testa ფრანგ. tête და boule

საგანს: მზე ამოდის და ჩადის (თითქოს მზეს თავისი ნების ყოფა ქონდეს), კამ გაიღიმა, იამ თავი დახარა, ქარი სტვენს... ამ გარემოებას განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეცა აღამიანის აზროვნებისათვის: აქ ჩაისახა უსულო ბუნები', განსახიერება (ანთროპომორფიზმი). აღამიანმა ერთი სახელი (სიტყვა) უწოდა თავის და უსულო საგნის მოქმედებას, იმიტომ რომ ერთი მხრით სიტყვის ეკონომიას ეწეოდა (სიტყვები აკლდა), მეორე მხრით ოდნავი მსგავსების ასოციაცია მოქმედობდა. შემდეგ ადამიანი შეცდომაში შეიყვანა მისივე შემოქმედების ნაყოფმა: თუ მზეს **სიარული** შეუძლია, აღბად. სხვა ნების-ყოფითი მოქმედებაც. შენაძლება. თუ ქარი სტვენს, მას შესაფერი ორგანოები უნდა ქონდეს. თუ კამ გაიღიმა, მას წყრომაც შეუძლია და შესაფერი სულიერი განწყობილებაც უნდა ქონდეს. აქ ფანტაზია ფრთას შლის და იქმნება ურიცხვი ზღაპარი და მითი. ამას ემატება საზოგადოდ ხატოვანება სიტყვაში და იქმნება სიტყვის ფეტიში: ადამიანი დაემორჩილო თავისვე ნამოქმედარს... კულტურულმა ადამიანმა სძლია **სიტყვა** მით, რომ მას წაართვა ხატოვანება (ი образностъ)... (ამ საკითხს ვრცლად შემდეგ შევეხებით). ბავშის ენის ამ გზით წინსვლის წინუდგება უფროსთა ენა; ის ითვისებს უკვე არსებული ენიდან მრავალ სიტყვის მოვლენათა და მოქმედებათა სხვადასხვაობის გამოსახატად. რამდენ მეტ სიტყვის ითვისებს, მით უფრო მეტ ანალიზს უკეთებს მოვლენას: ბავშვა იცის ცნება წყალი, მაგრამ როცა ის სწავლობს სიტყვებს: ანკარა, დის, შრება, იყინება, იმლვრევა... და ამ სიტყვების მნიშვნელობას, ის უკავშირებს ამ წარმოდგენებს ცნება **წყალ-ს** და ამგვარად ნეთ წინა ლექციიდან გაველურებული ბავშის მიერ **წარსული ცხოვრების დავიწყება**. საქმე ის არის, რომ მხოლოდ ენი ადამიანს აქვს გარეშე მოვლენათა შესახებ ასე ვსთქვათ ანარეტური წარმოდგენა: მხოლოდ ამ გარემოების (ანალიზის) წყალობით შეუძლია ადამიანს თავი გაართვას მსოფლიოს სა-

განთა და მოქმედებათა უბოლოვო მრავალრიცხოვანობას: ასეთი ანალიზი კი შესაძლებელია მხოლოდ ნაწევროვანი ენის საშვალებით. სიტყვა აღნიშნავს არა ინდივიდუალ საგანს, არამედ საერთო წარმოდგენას, ცნებას. მაგ., მუხა შესაძლებელია დილიც იყოს და პატარაც, მაგრამ ყველას მუხას ვუწოდებთ. წარმოიდგინეთ იმ უენო ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც თითოეული ინდივიდუალი მუხის ხედვითი წარმოდგენა ერთნაირად უნდა შეერჩინა თავის მეხსიერებაში. ენიანმა ადამიანმა კი მათ საერთო სახელი უწოდა: მუხა, და დამახსოვება გაიაღვილა რა თქმა უნდა, ენიან ადამიანსაც კი დაავიწყდებოდა, თითოეული მუხისათვის რომ სახელი დაერქმია: ამას ვერ დაიტევდა ვერავითარი მეხსიერება, მაგრამ სწორედ აქ მოსხანს ენის საშვალებით ადამიანის ანალიტური შემოქმედება; გას შეუძლია დაავიწყდეს მუხის, ნაძვის და ცაცხვის სახელი, მაგრამ მას აქვს უფრო ფართე ცნება 'ხე': მან დაანაწილა მსოფლიო მსხვილ და წვრილ ჯგუფებად და მტკიცედ ჩაიბეჭდა გოხებაში ენის საშვალებით. ველური უენო ადამიანი ამას მოკლებული იყო.

ბავშის ცხოვრების პირობები ვიწროა: მრავალი საგნის სახელი მისთვის საჭირო არ არის. როცა იზრდება, მოთხოვნილება უფართოვდება, ამიტომ მეტი სიტყვებია მისთვის საჭირო. ახალი სიტყვების შეთვისება კი უფართოვებს მას გონიერი ჰარივანტს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ ბერის ახალი წარმოდგენა შეაქვს მის შემეცნებაში, არამედ იმიტომაც რომ მეტი საშვალება აქვს მოვლენის წვრილმანები აღნიშნოს შეძენილი სიტყვებით ე. ი. მეტი ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს. შეაღარეთ კულტუროსანი ხალხი ან პიროვნება უკულტუროს სიტყვების თანხის მარივ. გარდა იმისა, რომ განყენებულ ცნებათა სახელები უკულტუროს თითქმის არა აქვს ან ძალიან ცოტა, თვით კონკრეტულ საგანთა სახელებიც ძალიან მცირეა მის განკარგულებაში კულტუროსანთან შედარებით. შეადარეთ თუნდაც სამზარეულოს ჭურჭლები და მისი სახელები

საღმე სოფლად და რომელიმე საკულინარო მოწყობლობა... როგორც ხედავთ, კონკრეტულ საგანთა სახელების თანხა დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც ადამიანს ცხოვრება უხდება: ზღვის ახლოს მცხოვრებს საზღვაო ტერმინები აქვს განვითარებულია ზღვის დაშორებულ მიწის მუშას ან მთებში მცხოვრებ მწყემსს თავისი მდგომარეობის შესაფერი სიტყვები და სხვა.

უადგილო არ იქნება მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება განყენებულ ცნებათა ტერმინები. ხშირად ამ შემთხვევაში, როცა რომელიმე ხალხი ახლად ქმნის კულტურას, მიმართავს უფრო კულტურული ხალხისაგან. სესხებას; მაგრამ როცა ხალხი თავისი ძალით აიწევს კულტურის მაღალ საფეხურზე, მაშინ კონკრეტულ ცნებათა სახელებს გამოიყენებს განყენებულისათვის: სიტყვა განათლება იგივე განათებაა, მხოლოდ არა მატერიალური სინათლით, არამედ ცოდნით; ჩვენი განზრახვის „ათჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა“ შეგვიძლია უალაბოდ და უცულოდ: ამ შემთხვევაში კონკრეტული მოქმედების სიტყვა გამოვიყენები აზრის სფეროში... მაგალითები მრავალია. შეადარეთ რუს. პერა და პეკუ: პერალ წარმომდგარია პეკუ-საგან; რебенок развивается (=იხსნება), თითქოს აქამდი ბავში დახვეული ყოფილიყოს; ქართულადაც ვიტყვით: გონება გახსნილია, თითქოს მეორე გონება დაბმული იყოს.

კონკრეტულ სიტყვაში განყენებული ცნების მოთავსება არ ხდება უცებ: ამისათვის არ კმარა ერთი ადამიანის სიკოცხლე. მართალია ინიციატივა ეკუთვნის ერთს, მაგრამ იმის ნამოქმედარი გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრავალთ სურვილიც ასეთია და მომავალ თაობასაც გადაეცემა. მთელი კულტურის პროგრესი იმაში გამოიხატება, რომ ერთი თაობისაგან შექმნილი რამ—თუნდაც სრულიად უმნიშვნელო წარმატება—უერთდება ძველისა და მომავალი თაობის შემოქმედებას: ამგვარად ხორციელდება მრავალ საუკუნეთა

განმავლობაში ერთი მიზნისკენ მისწრაფება. ჩვენ იმდენად მტკიცე ნაბიჯით მივდივართ წინ, რამდენად ძველი თაობისა-გან ზურგ გამაგრებულად ვგრძნობთ თავს, რამდენად მეტი გადმოუცია ჩვენთვის წინაპართ, თავის შეუდრეკელი ბრძოლით მონაპოვარი. რომ ეს ასე არ იყოს, ყოველი ახალი თა-თბა თავიდან უნდა იწყებდეს, და პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა... ამ შეგნებაზე დამყარებული ძველისაღმი ჰატივის-ცემა და იმის შესწავლის სურვილი. ეს ითქმის ენაზედაც. მა-გრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ვსწავლობთ და გამოვიყენებთ ძველს, და არა ჭირვეულად ვჩერდებით მაზედ: მაშინ ჩვენ ბუნებრივ განვითარებას წინ გადაველობებოდით. რაც შე-ეხება ენას, კიდეც რომ ბევრი ვეცალთ მის ცვალებადობას ჩვენ ვერ შევაჩერებთ: ის იცვლება და ვითარდება ჩვენი სურ-ვილის წინააღმდეგ; თითოეული ჩვენგანი ამაში მონაწილეობას იღებს.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე ფრანგული *vertu*, „სათნოება“ არის იგივე ლათინური *virtus*, „ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, სიმამაცე“ გარეგნულად სიტყვა იცვლება იმი-ტომ, რომ ახალ თაობას სხვადასხვა მიზეზების გამო გაუ-ჭირდა სიტყვა *virtus*. ის გამოთქმა და თანდათან სცვალა (არა ერთმა, არამედ მრავალმა თაობამ), ვიდრე არ ითქვა *vertu*; დღევანდელი გამოთქმაც იცვლება თანდათან დროთა განმავ-ლობაში და ასე ვანუწყვეტლივ. არავის არ შეუძლია ძველი რომელიმე გამოთქმა სამუდამოდ დააკანონოს. რაც შეეხება შინაგან მხარეს, დაუკვირდით რა დიდი განსხვავებაა მათ. შო-რის (*vertu* და *virtus*): *vertu* შეიცავს უმაღლეს ლმობიერე-ბის, უმანკოების და ცოტნებისაგან მოკრძალების ცნებას; *vir-tus* ვაჟის ფიზიკურ ძალას, შეუდრეკელობას. შეგვიძლია მიზე-ზიც მოვუძებნოთ ამ სიტყვის შინაარსის ცვლილებას: ეს იყო ქრისტიანობა, რომელმაც ძირიან ფესვიანად შესცვალა ძველი რომაელის მსოფლმხედველობა: მორალურ ელემენტს უპირა-ტესობა აკუთვნა ფიზიკურთან შედარებით. აი კულტურის ეს

მომენტი გამოისახა ფრანგულ *vertu*. ამ მიზეზის გამო-ალარავის არ შეეძლო ამ სიტყვისათვის (*vertu=virtus*) შეე-ნარჩენებია მისი ძველთა-ძველი მნიშვნელობა.

მეშვიდე და მერვე ლექციაში აღმრულ საკითხებს მსურ-ველი გაეცნობა შემდეგ ნაწარმოებთა დახმარებით:

1. Preyer, L'ame de l'enfant, 1887, ვვერდი 289—454  
(თარგმნილია გერმანულიდან: Die seele des Kindes.  
არის რუსულადაც: Душа ребенка, СПБ. 1912 г.)
2. Bloch, Notes sur le language d'un enfant, Paris 1912.
3. Shinn, Notes on the development of Child 1909.
4. Рус. филологич. вѣстник 1883—1886 г., статьи Александрова и Благовѣщенскаго.
5. Китерман, опыт изученія слоговой элизіи въ дѣтскомъ языке (Рус. фил. вѣстн. 1913, № 1)
6. Betts, The distribution and functions of mental imagery 1909.
7. Cl. und. W. Stern, Die Kindersprache 1907.
8. იხ. იგრედვე უკვე წინა ლექციიდან ხსენებულ ავტორთა (პოგოზინის, რიხტერის, ბოგოროდიცკის, ჰაულის და ტომ-ონის) წიგნებში შესაფერი ადგილები.



## ლექცია მეცნე.

შემთხვერი ენით აზროვნობა. ერთი და იმავე აზრის სხვა და სხვა ნაირად გამოხატვა სხვა და სხვა ენაზე. უცხო ენის შესწავლის სარგებლობა. „აკცენტი“. უფროს უფრო უჭირს უცხო ენის შესწავლა გამოთქმის მხრივ, ვიდრე ბავშვს. საარტიკულაციო ანუ საფონაციო ბაზისი. ენის, ბაგეთა და სიმების არტიკულობა. ხმოვანთა შედარება ინგლისურში, ფრანგულში, გერმან. და რუსულში. ორი მიმართულება ა-დან: ი-საკენ (პალატიულიზაცია) და უ-საკენ (ლაბიალიზაცია); ნაზალიზაცია ფრანგულში. დაფრთხობით. მახვილიანი და უმახვილო ხმოვანები. თანახმოვანები. ქართული ენის საფონაციო ბაზისი: კვლევის მეთოდები. დატერატურა.

ჩვენ ვიცით, რომ ბავში ითვისებს ენის მასალას უფროს-თაგან. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ბავში დაბადებიდან იზრდება უცხო ერის წრეში: რუსებში, ფრანგებში... თუ ბავშთან არც ერთი ქართველი არ არის, დარწმუნებული იყავით, რომ ბავში ვერც ქართულ ბგერებს იტყვის და ვერც ქართული ენით იაზროვნებს. ის რომ წ-ს და ჭ-ს ვერ იტყვის, თავისთავად ცხადია, რადგან მას არ ექნება არც აკუსტიური და არც მოტორული წარმოდგენა ამ ბგერების; მაგრამ შევჩერდეთ მშობლურ აზროვნებაზე.

ყოველ სიტყვას ბავშობიდან ჩვენ ვიმახსოვებთ იმ მნიშვნელობით, როგორითაც ამ სიტყვას ხმარობს ის წრე, რომელ-შიც ჩვენ ვიზრდებით: სოფელში გაზრდილი ბავშისათვის სიტყვა „სახლი“ გამოხატავს სხვა ცნებას, ვიდრე იგივე „სახლი“ ღიღ ქალაქში გაზრდილი ბავშისათვის, რომელიც ხედავს დიდ მრავალსართულიან ქვის შენობებს. რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევიგნებთ ყოველ შედარებით ლირსებულებას, მაგრამ, როცა სოფლელ ბავშს ვებაასებით სახლის შესახებ, ჩვენ

არ უნდა ავურიოთ მისი „სახლი“ და ჩვენი „სახლი“, მას უნდა ველაპარაკოთ მის „სახლზე“, მის ენაზე; თუ არა, უნდა ავუსხანათ ჩვენი წარმოდგენა სახლზე, ე. ი. უნდა „ვლთარგმნოთ“ ჩვენ ენაზე. ამგვარივე, პროცესი ხდება საერთო წარმოდგენის დანაწევრების, ნაწევროვანი ლაპარაკის დროს, როცა ჩვენ დამოკიდებული ვართ ენის ჩვეულებაზე: ვანაწევრებთ აზრს არა ისე, როგორც გვსურს, არამედ როგორც ამას მოითხოვს ენა; ენა კი მრავალია: ქართული, რუსული, ინგლისური და სხვა. ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს აზრს. ქართველი ამბობს: მე მინდა ვაშლი შევჭამო; ძველი რომაელი სხვა რიგად ანაწევრებდა ამავე აზრს: *potum (ვაშლი) edere (ჭამა) volo (მინდა)*. ჩვენ ვამბობთ: მე მაქვს მშვენიერი ქუდი; ვერ ვიტყვით; ... ქუდი მშვენიერი. რუსულად კი შეიძლება ორგვარად: იმჭი პრეкрасную шляпу და... შლაპუ პრეкрасную. გერმანულშიც, როგორც ქართულში, მსაზღვრელი წინ უნდა უძლოდეს განსაზღვრულს. რუსულად შეგვიძლია ლოგიური ხმის მახვილით შევცვალოთ წინადადების აზრის ნიუანსი: ჯ უвидჰლ ეგი და ი უвидჰლ ეგი; აგრედვე გერმანულად; ქართულად უნდა ვუცვალოთ ადგილი სიტყვებს: ის მე ვნახე და მე ის ვნახე; ფრანგულად კიდევ უფრო უნდა იცვალოს კონსტრუქცია; *c'est moi qui l'ai vu (=ეს არის მე, რომელმაც ის ვნახე)* და *c'est lui que j'ai vu* (ეს არის ის, რომ მე ვნახე).

ამას გარდა ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული ინტონაცია აქვს (შეად. კითხვითი წინადადება რუსული და ქართული).

განსაკუთრებული კავშირია აზროვნებასა და სიტყვის წყობას შორის წინადადებაში: როცა ვაზროვნობთ, ე. ი. როცა წარმოდგენას ვანაწევრებთ; ჩვენ მივყვებით სიტყვათა იმ წყობას, რომელიც ჩვენს მშობლურ ენას სჩვევია; როცა უცხო ენის ლექსიკას ვისწავლით, ჩვენ სიტყვებს ვაწყობთ მშობლურ ენის წესით; ამიტომ იმ უცხო ენის წარმომადგენე-

ლი ან სრულიად ვერ გაიგებს ჩვენს ლაპარაკს, ან ძლიერ გაუჭირდება, რადგან ის სხვა წესით ანაწევრებს თავის აზრს. ამიტომ საჭიროა ყოველი ენის ჩვეულებები ცალ-ცალკე ვის წავლოთ. უცხო ენების შესწავლის სარგებლობა სწორედ იმ აში მდგომარეობს, რომ 1) ვეჩვევით აზრის მეორე გვარ და დანაწევრებას, 2) ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ენის კონსტრუქ-ცია არ არის ერთად ერთი რამ ჰეშმარიტი და შესაძლებელი, 3) შევიგნებთ ჩვენივე მშობლიური ენის და აზრის მექანიზმს უცხოსთან შედარებით, რადგან აქამდი ჩვენ შეუგნებლიდ მართლად ვლაპარაკობდით ჩვენს მშობლურ ენაზე და უცხო ენის შესწავლის შემდეგ კი შეგნებულად ვხმარობდა იმავე კონსტრუქციებს. ამიტომ, ჰეშმარიტად, ვინც არ იცის სხვისი ენა, მან თავისიც ცუდად იცის. თქმა არ უნდა, არ ეს მხარე აჩება უცვლელად ენაში: თითქმის ყოველი ინდივიდი თავისებურად ანაწევრებს თავის აზრს განსაზღვრული ენის ჩვეულებათა ფარგალში და ზოგჯერ ამ ფარგალსაც გასცდება უცხო ენის ან სხვა მიზეზების ზეგავლენით; თუ ამ ინდივიდს ძალა შესწევს დაიცვას თავისებურობა, ან თუ საზოგადოებაც მოიწონებს ამ ახალ მოვლენას ენაში, მაშინ ეს ინდივიდუალი თავისებურობა მთელს ენაში შედის და ამარცხებს ენის ძველ ჩვეულებებს.

მაშასადამე ვიცით, რომ ყოველ ენას ახასიათებს აზრი თავისებური დანაწევრება; მაგრამ ენის ჩვეულებები ამით არ თავდება.

ხშირად ხდება, რომ ჩვენ ვისწავლით უცხო ენის ლექსიკას, გრამატიულ ფორმებს, სიტუათა კონსტრუქციას, ინტონაციას, მაკრამ უმეტეს ნაწილად ‘სწორედ’ მაინც ვერ ვლაპარაკობთ, გამოთქმა არ გვივარგა.\*)

საქმე ის არის, რომ ყოველ ენას, როგორც მთელს აქვს განსაკუთრებული საარტიკულაციო სისტემა (სალაპარაკო ორგანოთა მოწყობა ბგერისათვის), რომლითაც ის განსხვა-

\*). ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ აქცენტის უვარვისობაზე, მაგრამ აქცენტი (accentus=მახვილი) აქ არაფერ შუაშია.

ვდება მეორე ენისაგან. მაგალითად, შევაღაროთ რომელიმე ბგერა ფრანგულისა და რუსულის,\* ) ფრანგ. ა სიტუვა quatre-ში და რუს. ა სიტუვა rab-ში: ფრანგ. ა გამოითქმის ორგანოთა უფრო წინა ნაწილებით, ვიდრე რუს. ა ;ფრანგულისთვის ენა ოდნავ წინ წამოიწევა და შუა ენა ოდნავ ზევით აიწევს. საერთოდ, რუსულიდ ლაპარაკის დროს ენა უფრო თავისი უკანა ნაწილებით მუშაობს, ფრანგულში უმეტესად წინა ნაწილებით. მაშასადამე, ფრანგმა ბავშობიდანვე შეძინა ამგვარი პოძრაობის ჩვეულება და ენის ორგანოთა კუთხებიც ამის შეაფერად გაივითარა. ამიტომ არის, რომ უცხო ენის სწავლა გამოთქმის შერივ უკვე მომწიფებულ ადამიანს ძლიერ უჭირს: ორგანოთა კუთხების განვითარება სულ სხვა გზით წარმოებდა მის ენაში ბავშობის დროს. ერთგვარი მნიშვნელობა აქვს აგრედვე მემკვიდრეობით მიღრეკილებას: რუსეთში გაზრდილი ფრანგის ბავში სრულის სისწორით ვერ გამოითქვამს რუსულ სიტუვებს; მას უფრო ეადვილება წინა არტიკულაცია, მახვილი სიტუვის ბოლოში, ხმოვანთა სიგრძე სიმოკლე, რომელიც რუსულში არ არის, და სხვა. რამდენიმე თაობა საჭირო, რომ ფრანგული „ბუნება“ წაიშალოს.

ბგერათა წარმოების ამ ფიზიოლოგიურ პირობებს ეწოდება განსაზღვრული ენის საარტიკულაციო ანუ საფონაციო ჯაზისი, რომელიც გამოიცნობა სხვა ენასთან შედარებით. შევაღაროთ ხსენებული ენები ამ შერივ, რაც პრაქტიკულ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული.

**ენის არტიკულობის მიხედვით** ასეთი სურათია: ფრანგული უფრო წინა ენით არტიკულობს, ვიდრე უკანათი; ინგლისელი პირიქით: მას უფრო უკანა ენის — მიერობა უყვარს.

\*). საილუსტრაციოდ მივმართავ ისეთ ენებს (ფრანგ., ინგლის., გერმ. და რუსულს), რომელთა ბგერები და გამოთქმა ექსპერიმენტალად შესწავლულია. ქართულის შესახებ მხოლოდ აქა იქ შევნიშნავ, რადგან საჭირო იარაღები არ მაქვს; უბრალო დაკვირვება საჭმარისი არ არის ბგერათა არტიკულაციის კითხვებში.

რუსულს და გერმანულს საშუალო ადგილი უჭირავს მათ შორის: არც ისე მთლად უკანა, როგორც ინგლისურს, და არც ფრანგულსავით წინა; მაგრამ რუსული უფრო წინაა (მოიგონეთ შუაენის მიერთა გამოთქმა), ვიდრე გერმანული.

**ბაგეთა არტიკულობის მიხედვით:** განსაკუთრებით ენერგიული მოქმედება ბაგეთა სჩევეია ფრანგულს: ამით (ლაბიალიზაციით) ივსება უკანა ენის უმოქმედობა; ინგლისურში პირიქით: ყველაზე სუსტი ლაბიალიზაცია აქ არის, რადგან უკანა ენის არტიკობით ივსება ბაგეთა პასივობა; მაგ., ი და უ ინგლისურში გამოითქმის თითქმის ბაგეთა დაუხმარებლად. რუსულს და გერმანულს აქაც შუა ადგილი უჭირავს, მაგრამ რუსულში უფრო ენერგიულია ბაგეთა არტიკულობა, ვიდრე გერმანულში.

ამგვარად შეგვიძლია საერთო წესი დავადგინოთ ენისა და ბაგეთა არტიკულობის შესახებ: ენის უკანა არტიკულობა ასუსტებს წინას და აგრედვე ბაგებისასაც და პირიქით.

**სიმების გიხედვით:** მხოლოდ ინგლისურს და ფრანგულს აქვს მულერი თანხმოვანები სიტყვის ბოლოში; გერმანულში და რუსულში კი სიტყვის ბოლოში მულერიც ყრუდ გამოითქმის: ე. ი. სიმებ შუა ჭურჭუტანა გახსნილია ფართოდ და სიმები არ ჟღერს (ითქმის ცატ და არა ცად; ი. ი. და არა ი. ი.)... განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ამ ენათა გამოთქმა: ჯერ მახვილიანი (ударяемые) ხმოვანები, შემდეგ უმახვილო და ბოლოს თანხმოვანები.

1. **მახვილიანი ხმოვანები.** ინგლ., ფრანგ. და გერმანულში არის ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, — რუსულში არა ფართო ა ამ ენებში სხვადასხვანაირად გამოითქმის: ფრანგ. უფრო წინ, მაგ. სიტყვა quatre-ში, რუსულში — შედარებით უკან (раб), ინგლისურში კიდევ უფრო უკან, მაგ. large, ითქმის ლაზ (ა გრძელია).

რადგან ამ ა-ზე ფართო ხმოვანი არ არის ამ ენებში, ამიტომ ხმოვანთა მთელი სისტემა შეგვიძლია მისაგან ვაწარ-

მოვოთ თანდათანი დავიწროვებით; მაგრამ ა-ს დავიწროვება შეიძლება ორი სხვა და სხვა მიმართულებით:

1) **ი-საკენ,** როცა შუაენა თანდათან უახლოვდება ცას (ამას ეწოდება პალატალიზაცია) და 2) **უ-საკენ,** როცა უკანაენა თანდათან უახლოვდება რბილ სასას და ბაგეებიც მომრგვალდება ცოტად თუ ბევრად (ამას ეწოდება ველარლაბიალიზაცია).

1) **ი-საკენ:** თუ ა-ს თანდათან დავავიწროვებთ შუაენით, რომელიც ოდნავ წინ და ზევით იწევა, მივახწევთ ი-მდი. მაგ., დავიწროვების პირველი საფეხური, ე. ი. ოდნავი დავიწროვება, გვხვდება ინგლისურში: hat „ქუდი“ (ა ითქმის ოდნავ ე-სკენ გადახრილი). თუ შუაენას ცოტა წინ და ზევით ავსწევთ, ეს იქნება დავიწროვების მეორე საფეხური, რომელიც ოთხივე ენაში გვხვდება: ინგ. let „ნების დართვა“, ფრანგ. tempête „ქარიშხალი“, გერმ. Hemd „პერანგი“, რუს. бѣд (ოთხივე შემთხვევაში გახაზული ხმოვანები დავიწროვების გამო იმდენად გაღიხარა ე საკენ, რომ უფრო ა-ს მოგვაგონებს, ვიდრე ა-ს; e let-ში მოკლეა, tempête-ში ე გრძელი, Hemd-ში მოკლე) კიდევ მეტად თუ მივუახლოვებთ შუაენას ცასთან, ეს იქნება სივიწროვის მესამე საფეხური, როცა არა თუ ა აღარ ისმის, არამედ თვით ე-ც ი-საკენ გადაიხარა: ფრანგ. nez „ცხვირი“ (ე მოკლეა), ინგლ. hate „სიძულვილი“ (ა ითქმის ოთხორც ე ი გრძლად), გერმ. beten „ლოცვა“ (პირველი ე გრძელია), რუს. пѣтъ. დავიწროების მეოთხე საფეხური იქნება უკვე ი, მაგ. ინგლ. pin „ქინძისთავი“ (ი მოკლეა) \*).

თეორიულად უფრო მეტი გარდამავალი ხმოვანი შეგვიძლია წარმოვადგინოთ მათ შორის, მაგრამ მე დავასახელე მხოლოდ მთავარი საფეხურები, რომელიც ხსენებულ ენებში გვხვ-

\*<sup>1</sup>, შევნიშნავ აქვე, რომ უფრო მეტად დავიწროვებული ი-ც არსებობს მაგ ინგ. feel-ში „ვგრძნობ“ (ეს გამოითქმის ძალიან ვიწრო და გრძელ ი-დ). თუ კიდევ დავავიწროვებთ, უკვე ეს ვიწრო ი იმტად იქცევა, ე. ი. უკვე თანხმოვანი იქნება (ც).

დება: ა, ამ, მ, მი, ი, (ე). სცადეთ ამათი გამოთქმა მოყვანილ სიტყვებში.

2) უ-საკენ: თუ იმავე ფართო ა-ნის თქმის შემდგომ უკანაენას ოდნავ მივუახლოვებთ (რბილ) სასას, ვიტყვით აო-ს, რომელიც გვხვდება ინგლ. all-ში „უველა“ (ა ითქმის მ-სკენ ოდნავ გადახრილი, I ითქმის მაგრად, როგორც რუს. ВОЛК-ში); ეს პირველი საფეხური.

თუ უკანაენას უფრო უკან და ზევით გავსწევთ, ეს იქნება დავიწროვების მეორე საფეხური: ინგლ. dog „ძაღლი“ (მ მოკლეა), ფრანგ. compote (მ p-ს შემდეგ გრძელია), გერმ. Dorf „სოფელი“ (ამ შემთხვევებში უკვე მ ისმის და არა ა). უკანა ენის ზურგის უფრო ზევით აწევით კიდევ მეტად დავავიწროვებთ მანძილს უკანა ენასა და სასას შუა: ეს იქნება მესამე საფეხური ა-ნის დავიწროვებისა; ამ შემთხვევაში (განსაკუთრებით ფრანგულში) ბაგეები საკმაოდ ვიწროდ მომრგვალდება თითქოს უ-სათვის: ფრანგ. chose „ნივთი“, საქმე“ ითქმის თითქოს შოუზ; ინგლ. hope „იმედი“ ითქმის ჰოუზ (მ უ-სათვის ბაგეები ნაკლების ენერგიით მომრგვალდება, ვიდრე ფრანგულში); გერმ. so ითქმის ზოუ (სამივე უ გრძელია). დავიწროვების მეოთხე საფეხური იქნება უკვე უ, მაგ. ინგლ. full „სავსე“, რუს. стук.\*)

თეორიულად აქაც მრავალი გარდამავალი ხმოვანი უნდა არსებობდეს ხსენებულთა შორის... მაშასადამე უ-საკენ დავიწროვება ამ რიგად ხდება: ა, აო, მ, მუ, უ, (კ). შეადარეთ ი-საკენ დავიწროება და სცადეთ ამათი თქმა მოყვანილ სიტყვებში.

უფრო რთული ბგერებია ე. წ. ლაბიალ-პალატალი ხმოვანები, მაგ ფრანგ. soeur-ში (გრძელი მე), ფრანგ. reue (მოკლე მე) და ფრანგ. pur-ში, უნდა ვთქვათ თითქმის პკირ

\*) უფრო დავიწროვებული უ-ც არსებობს, მაგ. იმავე ინგლ. tousse „ნძრევა“ (ის გამოითქმის ძალიან ვიწრო და გრძელ უ-დ); შემდეგი დავიწროვებით გამოვთქვამთ უკვე თანხმოვან კ-ს.

(კი ითქმის ერთ ბგერად, როგორც უველა ზევით ხსენებული აე, მე, მუ, მი). საყურადღებოა აგრედვე რუსული ველარი ყ მაგ. დაიმ-ში: ბაგეები მოეწყობა ი-სათვის, უკანაენა კი უ-სათვის (ველარიზაცია, რადგან უკანა ენა სასისაკენ (velum) იწევა\*).

ხსენებულ ენათა შორის მხოლოდ ფრანგულში გვხვდება ე. წ. ნაზალი (ცხვირის მიერნი) ხმოვანები (იხ. ლექცია მეექვსე): ა, მ, მ, რომელთა თქმის დროს ნ არაფერ შემთხვევაში არ უნდა აწარმოვოთ, არამედ ჰაერი ცხვირში გაუშვათ (ნაზალიზაცია): ფრანგ. bon, temps, enfin ითქმის ბო (ჰაერი ცხვირში), ტა (ჰაერი ცხვირში)... ისარგებლეთ სარკით.

რაც შეეხება დიფტონგებს, ე. ი. ფართო და ვიწრო ხმოვანის გაერთიანებას ერთ ბგერად, გერმ. და ინგლისურში უმეტესად ფართო წინ უძლვის ვიწროს\*\*), ფრანგულში ვიწრო უძლვის წინ ფართოს\*\*\*):

გერმ. Haus (აუ ერთ ბგერას წარმოადგენს; უ ვიწროა ვიდრე ა, მაშასადამე აუ ბოლოში ვიწროვდება); ფრანგული trois ითქმის ტრკა (ზა ერთ ბგერას წარმოადგენს, მაგრამ ა უფრო ფართეა, ვიდრე კ, მაშასადამე კა ბოლოში ფართოვდება).

2 უმახვილო ხმოვანები. ცხადია თავისთავად, რომ ყოველ სიტყვაში მახვილიანი მარცვალი უფრო სჩანს, გარკვევით ისმის, ვიდრე უმახვილო; მაგ. რუსულში მხოლოდ მახვილიანი ისმის სრულ ბგერად, დანარჩენები კი უფრო მკრთალად; მკრთალთა შორის უკეთ ისმის ის ხმოვანი, რომელიც მახვილიანთან ახლოა, განსაკუთრებით ის, რომელიც წინ უძლვის: ამით აიხსნება რუსული ხმოვანების დაუდეგრობა. ქართულში

\*) ამგვარ ხმოვანებს ვრცლად განვიხილავთ ექსპერიმენტალურნეტიკის კურსში.

\*\*) შევიწროვებული დიფტონგი.

\*\*\*) გაფართოვებული დიფტონგი.

მახვილი არ არის ისეთი ძლიერი, როგორც რუსულში, და ამიტომ უმახვილოც შედარებით მკაფიოდ ისმის, ვიდრე რუსულში; ამიტომ ქართული ბგერები მეტის სიმტკიცით ინახება. ფრანგულში სუსტდება ყველა ხმოვანი უკანასკნელს გარდა, რადგან მახვილი მუდამ სიტყვის ბოლოშია; გერმანულში და ინგლისურში სუსტდება ხმოვანები სიტყვის ბოლოსკენ, რადგან მახვილი უმეტესად ძირითად მარცვალზეა.

უმახვილო ხმოვანის დასუსტებას გამოვხატავთ ნიშნით მ; მაგრამ, რადგან ყოველ ენაში თავისი საფონაციო ბაზისი არ სებობს და ხმოვანებიც ამიტომ სხვადასხვანაირია, დასუსტებული ხმოვანებიც ერთი და იგივე არ იქნება, მაგ., ფრანგ., გერმ., ინგლ. და რუსულში. ფრანგულში დასუსტებული ხმოვანი (მ) გამოითქმის წინა არტიკულობით და ოდნავ ბაგებიც მონაწილეობს (თითქმის ოე: tenir); ინგლისურში უფრო უკან, ბაგეთა პასივობით, გერმანულში ინგლისურზე უფრო წინ, მაგრამ ფრანგულზე უკან (Gabe ითქმ. გაბე).

ასეთი დასუსტებული მკრთალი ხმოვანები ხშირად სრულიად იკარგვის გამოთქმაში: მაგ. ფრანგ. all(e)mand ითქმის ალმა (ა ცხვირში). გერმ. uns(e)re ითქმის უნზრე; ინგლ. every ითქმის ევრი...

3. **თანხმოვანები.** ხმის სიმთა მოქმედების მხრივ აღსანიშნავია გერმანულში მელერ და ყრუ თანხმოვანთა თავისებური განსხვავება. ჩვენ ვიცით, რომ, მაგ. ყოველი ენის ბ-სთვის სიმები ულერს, პ-სათვის კი არა; მაგრამ, რომ შევადაროთ ქართული ბ და გერმ. ბ, განსხვავება მაინც არის: გერმ. ბ-სთვის სიმები ულერს მხოლოდ ცოტას, სახელდობრ ბაგეთსკდომის დროს; ქართულისათვის-კი ხშვის დროსაც; ამიტომ გერმ. მელერი თანხმოვანები (მაგ. ბ) არაა იმდენად მელერი როგორც სხვა ენებში. როცა მაგ. ფრანგულ ბ-ს და პ-ს (ა) დ-ს და ტ-ს...) ვადარებთ, ჩვენ ყურადღებას პირველად იცვეს ბ-ს მელერობა და პ-ს ყრუობა, მაგრამ როცა გერმ. ბ-და პ-ს (დ-ს და ტ-ს...) ვადარებთ, ბ-ს მელერობა იმდენ უკ

რადღებას აღარ იქცევს, რადგან მას არა აქვს სრული მულერობა; ამიტომ გერმანული მელერის და ყრუს განსხვავება დამყარებულია მათ სისუსტე-სიძლიერებებ; ამბობენ: გერმანულში მელერი სუსტია (lenis), ყრუკი ძლიერიო (fortis).

უკვე აღნიშნეთ, რომ გერმ. და რუს. სიტყვის ბოლოში თანხმოვანები მხოლოდ ყრუდ გამოითქმის; ამას გარდა გერმ. ნამდვილი (სიტყვის ბოლოში) ყრუ გამოითქმის ოდნავი ფშვინვით (მაგ. p სიტყვის ბოლოში უდრის თითქმის ქართულ ფ-ს, t თითქმის ქართ. თ-ს (bot=bot) და სხვა.

საკმაო განსხვავებაა გერმან. h-ს (მაგ. haben) და ფრანგ. „h aspirée“-ს შუა: გერმ. h არის სუსტი ფშვინვითი შეტევა, ფრანგ. კი უფშვინვო წყნარი შეტევა (მაგ. ფრანგ. la hache-ში la-s და hache შუა არის მოკლე პაუზა, რომლის მიზეზია h).

გერმანულში გვხვდება უკანა ენის მიერი n: Finger ითქმის ჭინერ; აგრედვე შუაენის მიერი n: sinken ითქმის ზინკნ.

გერმ. და ინგლისურში განვითარდა ე. წ. წინაენის მიერთა (ტ, დ...) ალვეოლობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: წინაენა მიებჯინება ცის ჩამოლმართს არა იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ ტ და დ-სთვის (მაგ. ქართ.), არამედ ცოტა ზევით.

განსაკუთრებული გამოთქმა უნდა ინგლი. th-ს, რომელიც ხან მელერია (მაგ. that) და ხან ყრუ (მაგ. smith); მათი გამოთქმისათვის საჭიროა ენა მოემზადოს ზ-სა და ს-სათვის, მაგრამ ენის წვერი უნდა წამოიწიოს წინ და თითქმის კბილთა შუა უნდა მოხვდეს. ამგვარად თქმული ზ და ს იქნება th (მელერი) და th(ყრუ) ძლიერ განვითარებულია რუსულში შუაენის მიერი თანხმოვანები (ე.წ. რბილი) ამგვარივე ხმოვანების წინ (წარმოსთქვით მაგ. რუს. T და დ ე-ს და ი-ს წინ).

ამ მოკლე განხილვიდან ცხადად დავინახეთ, რომ თითქმელ ენას ქონია საკუთარი საფონაციო პაზისი, რის გამო ერთი და იგივე ბგერა ფრანგისაგან ერთნაირად ითქმის, ინგლისელისაგან მეორენაირედ და სხვა.

თუ ინგლ. და გერმანულის საფონაციო ბაზისი ერთი მეორეს წააგავს (მაგ. ბაგეთა პასივობა, ალვეოლობა წინაენის მიერთა...), ეს აიხსნება ამ ორ ენათა გენეტიური ნათესაობით. თუ ინგლ. და ფრანგულსაც აქვს საერთო რამ (მაგ. მულერითანხოვანები სიტყვის ბოლოში.), ეს გარემოებაც აიხსნება ფრანგული ელემენტების შესვლით ინგლისურში ნორმანელთა დაპყრობის შემდგომ.

ნათქვამიდან უკვე ცხადია, თუ რას ნიშნავს რომელიმე ენის საარტიკულაციო ანუ საფონაციო ბაზისი და როგორ უნდა გამოვიკვლიოთ იგი. ვთქვათ, ჩვენ გვსურს გვიგოთ, თუ როგორია ქართული ენის საფონაციო ბაზისი\*). ამისთვის საჭიროა მოვნახოთ ქართული ენის რამდენიმე ტიპიური წარმომადგენელი, ე. ი. ვისი გამოთქმაც „წმინდა“ გამოთქმად ითვლება, და გავუშინჯოთ და გავუზომოთ ენის შემდეგი ორგანოები: 1) **ფილტვები** (სუნთქვის სიძლერე და ხანგრძლივობა), 2. **ყრონტი** (სიმთა ყლერა და სხვა) 3. **ხასა** (თუ რაოდენის სიმტკიცით ებჯინება უკანა კედელს და კეტავს ცხვირის ფოსოში გასავალ გზას), 4. **ბაგეები** (თუ რაოდენის აქტივობით მონაწილეობს ბაგეები ბერითა წარმოებაში), 5. **ენა** (თუ რამდენად აიწევუდაიწევა ენა ვერტიკალი მიმართულებით, ან რამდენად გამოიწევა წინ ან უკან ჰორიზონტალი მიმართულებით; რომელი ნაწილით უფრო ხშირად არტიკულობს: წინა, შუა თუ უკანათი ..), 6. **ქვედა ყბა** (რამდენად უახლოვდება ზედა ყბას სხვადასხვა ბერის წარმოების დროს). ყველა ხსენებულ ორგანოთა საკვლევად არსებობს შესაფერი

\*) მართლაც, ეს საკითხი სრულიად უყურადღებოდაა დღემდის; ლინგვისტური საკითხის უმისოდ გადაჭრა კი ძნელი წარმოსადგენია ქართველურ ენათა (ქართ., მეგრ., სვან.) და კილოკავთა საფონაციო ბაზისი უეჭველად განსხვავებულია ერთი მეორესაგან, მაგრამ, როგორც ინგლისურს და გერმანულს აღმოაჩნდა საერთო რამ ამ მხრივ (იხ. ზევ.), აგრედვე საერთო ქართველურ ენათა საფონაციო ბაზისი უნდა მოინახოს.

სპეციალი იარაღები. კვლევის შედეგი იწერება და შემოწმდება რაც შეიძლება მეტ ინდივიდთა გამოთქმაში; ბერი უნდა იკვლეოდეს ცალკეც და ფრაზაშიც, როცა კვლევის ობიექტია არ იცის, რა ბერის „კვლევოთ. ყოველი ბერი უნტმა ან იცის, რა ბერის „კვლევოთ. ყოველი ბერი უნტმა და განვიხილოთ სხვა და სხვა მდგომარეობაში: სიტყვის თავში და ბოლოში, ფრაზის თავში და ბოლოში, ხმოვანის წინ და უკან, თანხმოვანთა წინ და უკან და სხვა. თითოეულ კილოკვევის საფონაციო ბაზისი ცალკე უნდა ვიკვლიოთ ამგვარად და ბოლოს. შედეგები ერთი მეორეს შევადაროთ. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია საერთო ქართველური საფონაციო ბაზისი დავადგინოთ.

#### ლიტერატურა:

1. Sweet, Handbook of Phonetics, Oxford 1877.
- 2 მისივე, A Primer of Phonetics, 1890.
3. Vietor, Elemente der Phonetik des Deutschen, Englischen und Französischen 1894<sup>3</sup>.
4. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, Lpz. 1913<sup>2</sup>.
5. Ершов, экспериментальная фонетика, Казань 1903.
6. Щерба, Русские гласные... СПБ. 1912.
7. Roudet, Eléments de Phonétique générale 1910.
8. Passy, Les sons du français, 1890.
9. იხილე აგრედვე წინა ლექციებში მოხსენებული სახელმძღვანელოები რუსულ ენაზე.

## ლექცია მეათე.

ლაპარაკის უცირესი კულტური. ბგერა და მარცვალი. მარცვალის საზღვარი. ექსპირიონის მარცვალი. სონორული მარცვალი. მარცვლობაზე თანხმოვანი. ბგერათა შეჯარებითი სონორობა. მახვილი: გაძლიერებული, დასუსტებული, გაძლიერ. დასუსტებული და დასუსტებულ-გაძლიერებული. ხმის ამაღლება: აღმაფალი, დამაფალი, აღმაფალ-დამაფალი და დამაფ.-აღმაფალი. სიტყვა თუ ტაქტი? ფონეტიურ-რითმიული პრინციპი. ზმა. ქნის რითმიულობა. საჭარო ლაპარაკი, ლექსი და სიმღერა.

ბგერათა და მარცვალთა ხანგრძლივობა. ხმოვანთა მუდმივი სიგძე-სიმოგდე ზოგ ქნაში. ირაციონალი ხმოვანები. ბგერათა შეუძლება. ჩამდგარი და გარდამაფალი ბგერები. ცხვირის ფოსქში მსკდარი თანხმოვანი. გრძელი თანხმოვანი. ლიტერატურა.

ლაპარაკის პროცესის უმცირესი შემაღებელი ნაწილი არის ბგერა (კ, ტ, ა, უ...); უფრო მსხვილი ელემენტია მარცვალი. მაგრამ სიტყვის მარცვლებად დაყოფია უფრო ადვილია ვიღრე ბგერებად: ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბგერითი წერა განვითარდა მარცვლოვანისაგან (სილაბურისაგან); ამასაც თავის მხრივ წინ უძლოდა სიტყვობრივი და იდეოგრაფიული წერა. მართლაც, გამჭრიახი ანალიზია საჭირო სიტყვიდან რომელიმე ბგერის იზოლაციისათვის, რადგან ყოველი ბგერი სიტყვაში განიცდის მეზობელი ბგერის გავლენას; ამიტომ მას სიტყვაში სხვა გამოთქმა აქვს, ცალკე კი სხვა. შეადარეთ მაგ. გ შემდეგ სიტყვებში: გული, გორი, მგელი. ზოგიერთ ენაში ბგერა იმდენად დაკავშირებულია მეორე ბგერით ენაში ბგერა იმდენად დაკავშირებულია: თუ გამოყოფთ რასთან, რომ გამოყოფა თითქმის შეუძლებელია: თუ გამოყოფთ გამოიცვლება; მაგ. რუს. დედა (დ ამ სიტყვაში შუაენისმიერია; როცა ცალკე იტყვით, წინაენის დ იქნება). ყოველ ბგე-

რას მრავალი ნიუანსი აქვს გარემოების მიხედვით; ამიტომ თეორიული რომ ვიანვარიშოთ, ყოველ ნიუანს თავისი ნიშანი უნდა ქონდეს. მეცნიერებაში მართლაც ბგერის ზოგი ნიუანსი განსაკუთრებული ნიშნით გამოიხატვის, მაგრამ მრავალი სხვა-და-სხვაობის აღნიშვნა თითქმის შეუძლებელიც არის პრაქტიკულად გამოუსადეგარიც: მეხსიერება ვერ დაიტევდა ყველა მათ, რადგან სიტყვის ეს უმცირესი ელემენტი (ბგერა) კიდევ უფრო მცირე ნაწილებად უნდა დაყოფილიყო; მაგ. თუ გ-ს წარმოვიდგენთ ერთ მთლიან ერთეულად, რომელიმე მარცვალში (მაგ გუ) მას ეძლევა მეზობელი ბგერის (უ) ელფერი; ამიტომ სხვა ბგერით შეფერილი გ იქნება უფრო მცირე ელემენტი, ვიღრე თეორიული, შეუფერავი გ.

ჩვეულებრივ წერაში მრავალგვარ გ-ს გამოვხატავთ ერთი ნიშნით; ამ გარემოების გამართლება შეიძლება იმით, რომ, რამდენი განსხვავებაც არ უნდა იყოს სხვადასხვაგვარ გ-ს შორის (გუ, გა, გო), გამოთქმის ფიზიოლოგიური პირობები მათ მაინც უფრო ერთნაირი აქვთ, ვიღრე სხვა ბგერასთან შედარებით, მაგ. ტ-სთან.

ბგერაზე უფრო მსხვილი ერთეული არის მარცვალი, რომლის საზღვრად ითვლება ხმის შესუსტების მომენტი: როცა ჩვენ ვამბობთ ორ მარცვლად ა-ა, ცხადად ისმის მათ შორის ხმის შეწყვეტა; ხოლო თუ არ შევწყვეტთ, მაშინ გავიგონებთ ერთ ა-ს, გრძლად თქმულს, მაშასადამე ერთ მარცვალს. როცა ამოსუნთქვის სიძლიერებები დამყარებული მარცვლის წარმოება, მაშინ ამ მარცვალს ეწოდება ექსპირატორული მარცვალი, რომელიც იმყოფება ხმის დასუსტების ორ მომენტს შუა. ჩვენ შეგვიძლია განსაზღვრულ ენაში მისი ჩვეულების მიხედვით სიტყვა მარცვლებად დავყოთ, მაგრამ აქ ექსპირატია როდი სწყვეტს საკითხს: აბა სცადეთ ერთი მთლიანი ექსპირატით (ე. ი. ერთ მარცვლად) სოჭვათ სიტყვა „აბა“. ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ ორი გ შეიძლება ითქვას ერთ მარცვლად (ე. ი. გრძლად) და ორ მარცვლადაც, თუ მათ შორის ხმას შევწყვეტთ; სიტ-

ყვა „აბა“ ში კი ხმა აუცილებლივ უნდა შეწყდეს, რადგან ბაკლებ ხმიერია (ნახლებ სონორია), ვიდრე ა; მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია „აბა“-ს ერთ მარცვლად თქმა. აგრეთვე ვერ ვიტყვით ერთ მარცვლად **აია**-ს, რადგან **ი** თუმცა ხმოვანია, მაგრამ მაინც ნაკლებ სონორია, ვიდრე **ა**. მაშასადამე მარცვლებად დაყოფვა უნდა ემყარებოდეს აგრედვე სონორობის პრინციპს.

ჩვეულებრივად მარცვლის ცენტრია ხმოვანი ბგერა, ესეიგი ისეთი ბგერა, რომელიც სონორობით იღემატება ამ მარცვალში ყველა სხვა ბგერას; მაგრამ ხშირად ხდება, რომ მარცვლის ცენტრიად ხდება რომელიმე **თანხმოვანი**; პრინციპი იგივეა: ამ თანხმოვანმა მიიღო თავის თავზე ეს ფუნქცია (მარცვლოვანობა), რადგან ის ამ მარცვალში ყველაზე სონორი აღმოჩნდა; მაგ. გერმ. *hatten* ითქმის ჰატნ, სადაც **ნ-მ** მარცვლოვანობა გასწია მეორე მარცვალში (ტნ), რადგან ეს დაკარგვის შემდეგ **ნ** უფრო სონორია ტ-ზე.

სიტყვა Vaterland-ში სამი მარცვალია, მაგრამ მეორე მარცვალში (-tr-) ე არ ისმის, მის მაგივრად **რ-მ** მიიღო მარცვლოვანობა: ითქმის ჭატრლანთ. რუსულში მაგ. დაბლა არ ითქმის: ითქმის დაბლა, რომელშიც მარცვალი სამია, მაგრამ მეორე მარცვალს წარმოადგენს მხოლოდ ერთი **ლ**.

რადგან სონორობას (ხმიერობას) ისეთი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა ბგერათა შედარებითი სონორობის გათვალისწინება. დავიწყებ ნაკლებ ხმიერებიდან:

1. ყველაზე ნაკლებ ხმიერია ყრუ ხშულ-მსკდომი: პ, ტ, პ-
2. ოდნავი „ხმიერობა“ აქვს ყრუ ღრიჭოვანების: ჭ, ს, ჟ, ხ.
3. კიდევ მეტად ხმიერია მულერი ხშულმსკდომი: ბ, დ, გ.
4. მულერი ღრიჭოვანები: ვ, ზ, უ,
5. ცხვირის მიერნი: ნ, მ,
6. ლ და რ (მდინარნი).

7. ვიწრო ხმოვანები: უ, ი,
8. საშვალო ხმოვანები: ო, ე,
9. ფართე: ა.

როგორც ხედავთ, ხმიერობის სხვა და სხვა საფეხურები იმყოფება პ-სა და **პ-შუ**. სონორობის მაქსიმუმია **პ-ში**, მინიმუმი პ-ში. ამ სონორობის მიხვედვით ექსპირაციასთან ერთად წესრიგდება მარცვალთა წარმოება\*). ყოველ მარცვალს აქვს 1) **მახვილი** ან 2) ხმის ამაღლება. **მახვილს** ვუწოდებთ ჩვენ იმ შემთხვევას, როცა მარცვალს აქვს მეტი ან ნაკლები ექსპირაციორული სიძლიერე; ამავე მოვლენას უწოდებენ ემფატურ ანუ დინამურ მახვილს.

ხოლო როცა მარცვლის თქმის დროს ჩვენ ხმის სიმაღლეს ვცვლით—ვუმაღლებთ ან ვუდაბლებთ, ამას ეწოდება მუსიკალი “მახვილი” (მელოდიური, ტონური ან ხრომატიული) ანუ **ხმის ამაღლება**. რამდენი მარცვალიც არ უნდა იყოს სიტყვაში, ყველას აქვს ამა თუ იმ სიძლიერის მახვილი ან ესა თუ ის მუსიკალი სიმაღლე, მაგრამ ერთი მარცვალი გამორჩეულია მათ შორის; ამ მარცვალზე მიგვითითებენ, როცა გვსურს გავიგოთ სიტყვის მახვილი; ნადვილად კი სიტყვაში იმდენივე მახვილი და ხმის ამაღლება-დადაბლებაა, რამდენიც მარცვალია. ამ მახვილ-სიმაღლეთა თანმიმდევრობა აძლევს სიტყვას მთლიანობას და ხშირად აზრსაც. აგრედვა **წინადადება** და **წინადადებათა** კრებული ერთიანდება მახვილ-სიმაღლეთა თან მიყოლით. მაშასადამე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მახვილზე (ან სიმაღლეზე), არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარცვლის მახვილი ერთია, სიტყვის მეორე და **წინადადების** კიდევ სხვა.

რაც შეეხება საკითხს, თუ რომელ ენაში რომელი მახვილია: ექსპირ. თუ მუსიკალური (ე. ი. სწორედ რომ ვთქვათ: მახვილი თუ ხმის სიმაღლე), აქ უნდა ვთქვათ, რომ თითქმის

\* ) დაწვრილებით ამის განხილვა ამ წლის კურსის საზღვრებს სიღლდება და შედის ექსპერ. ფონეტიკის ფარგალში.

ყოველ ენაში ორთავეს აქვს ადგილი, მაგრამ უპირატესობა ან მახვილს აქვს ან სიმაღლეს (ე. ი. ან ექსპირაციის სიძლიერეს, ან მუსიკალობას). მაგ. რუს., გერმან., ფრანგ. მახვილს აქვს უპირატესობა; ძველ-ინდურში და ძველ ბერძნულში — მუსიკალურ სიმაღლეს.

მარცვლის მახვილი (ექსპირ.) შეიძლება იყოს: **გაძლიერებული** (crescendo), თუ მარცვალს სუსტად ვიწყებთ და ძლიერად ვათავებთ; **დასუსტებული** (decrescendo); **გაძლიერ-დასუსტებული**, თუ სუსტად ვიწყებთ და სუსტადვე ვათავებთ, შეუა მომენტი კი ძლიერია; **დასუსტება-გაძლიერებული**, თუ ძლიერად ვიწყებთ და ძლიერადვე ვათავებთ, შეუა მომენტი კი ან სუსტია, ან სრული შეწყვეტა. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ მუსიკალი ამაღლება-დაღაბლების დროს მარცვალში: **აღმავალი**, როცა სიმაღლეს თანდა-თან უმატებთ მარცვლის ბოლოსკენ; **დამავალი**; **აღმავალ-დამავალი** და **დამავალ-აღმავალი**. რა თქმა უნდა, არც ერთ ენაში არაა სრულიად აღნიშნული ხმის ამაღლება ან მახვილი; მხოლოდ სიტყვის ერთ მარცვალს აღნიშნავდენ, მაგ. ბერძნები: აკუტით (¹) მუსიკალიად აღმავალს და ცირკუმფლექსით (²) აღმავალ დამავალს. შეად. ბერძნ. *tímáo* და *timô*; ლიტავური *véidas* „სახე“ და *sauñas* „მშრალი“ (ლიტავ. პირიქით: აკუტით აღნიშნება მუსიკალ. და ექსპირატ. დამავალი და გასუსტებული მარცვალი; ცირკუმფლექსით კი ისეთი მარცვალი, რომელიც მუსიკ. აღმავალია, მაგრამ ექსპირატ. დასუსტ.-გაძლიერებული ე. ი. შეუწყვეტილი).

ყოველ სიტყვაში ერთი მთავარი მახვილია (ან სიმაღლე) და ერთი ან რამდენიმე მეორე ხარისხოვანი. შესაძლებელია, რომ მთავარი მახვილი ერთ მარცვალზე იყოს (მაშასადამე, ეს მარცვალი ექსპირ. ძლიერია) და ხმის ამაღლება-კი მეორეზე. მაგ.. სიტყვა „გეძინა“ კითხვითი ნიშნით: ხმა ძლიერდება ჩვეულებრივ ე-ზე, მაგრამ მუსიკალურად მაღლდება ა-ზედ...

მახვილი ან სიმაღლე აძლევს ამა თუ იმ აზრს მთელ

წინადადებას; ასეთ მახვილს (ან სიმაღლეს) ეწოდება ლოგიური (ან ფსიქოლოგიური \*).

როცა წინადადებას ვყოფთ **სიტყვებად**, ჩვენ ვხელ-მძღვანელობთ **მნიშვნელობის** პრინციპით, ე. ი. ლოგიურ-მორფოლოგიური ანალიზით, მაგრამ ფონეტიურ პრინციპს კი ვლალატობთ, რადგან წინადადება ფონეტიურად სიტყვებად კი არ იყოფა, არამედ ტაქტებად, მარცვლებად და ბგერებად; მაშასადამე, მარცვალზე უფრო მსხვილი ფონეტიური ერთეული არის ტაქტი... „მაგრამ ერთმანეთზე‘ მისვლა/ხმალდა’ ხმალ არ დაიზარეს“. ამ წინადადებაში ოთხი ტაქტია, რომელთაგან თითოეულის ცენტრია მახვილი. არა მხოლოდ ლექსი, არამედ ყოველი ჩვენი ლაპარაკი რითმიულ-ფონეტიური ტაქტებისა-გან შესდგება: „ე’გ არის შენი ფა’რხმალი,“ ორი ტაქტისაგან შესდგება, თუმცა სიტყვა რამდენიმეა... თუ ენაში სიგრძე სიმოკლე ან სულ არ არის, ან სუსტად არის გამოხატული,

\* ) ჩვეულებრივად ექსპირატ. მახვილით აღინიშნება ენაში ფსიქოლოგიური შემასმენელი, რომელიც იმავე დროს შესაძლებელია არ იყოს გრამატიული შემასმენელი: მე თუ ვიცი, რომ თქვენ წუხელ შინ არ იყავით, მაგრამ არ ვიცი სად იყავით, როცა თქვენ მეტყვით: „მე ვიყავი ბიძიასთან“, ჩემთვის ახალი იქნება მხოლოდ სიტყვა „ბიძიასთან“; სწორებ ეს იქნება იმ მომენტში ფსიქოლოგიური შემასმენელი და მახვილიც ამ სიტყვაზე იქნება; ვიყავი“ კი ფსიქოლ. ქვემდებარება, რადგან მე მსმენელმა უკვე ვიცოდი, რომ სადმე „იყავით“. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ წინადადების უმთავრესი ნაწილი, ე. ი. წინადადების მიზანი ფსიქოლ. შემასმენელია.. როცა ჩვენ ბრახუნი გვესმის, მაგრამ არ ვიცით მიზეზი, „ბავშვი დაეცა“ იქნება ფსიქოლ. შემასმენელი, მაგრამ თუ ბრახუნზე მივხვდით, რომ ვიღაც დაეცა, მაშინ „ბავში“ იქნება ფსიქოლ. შემასმენელი... შევნიშნავ აქვე, რომ, როცა სკოლაში მოწაფეს კითხავენ: ვინ დაეცა? და სრული პასუხისათვის მას ათქმევინებენ „ბავშვი დაეცა“, ამას შეუძლია ზიანი მოუტანოს-რადგან სრულიად საკმაოა პასუხი: „ბავში“. მოწაფე გრძნობს, რომ მას ათქმევინეს ის, რაც საჭირო არ იყო, და ამგვარად მისი ნორჩი გრძნობიერი აზროვნება შეილახება.

მაშინ ტაქტის მატარებელია ექსპირატ. მახვილი (როგორც მაგ. თანამედროვე ევროპულ ენებში); ხოლო თუ ენაში განვითარებულია სიგრძე სიმოკლე, როგორც მაგ. ლათინ., ძვ-ბერძნ., ძვ-ინდურში, მაშინ მარცვლებისაგან ტაქტების შეღვენა დამოკიდებულია სიგრძე-სიმოკლეზე, ტაქტის ცენტრს იქ შეაღვენს უმთავრესად გრძელი მარცვალი.

ფონეტიურ-რითმიული პრინციპი რომ ხშირად ეწინააღმდეგება ლოგიურ—მორფოლოგიურს, ეს იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ, თუ ჩვენ ლაპარაკი გვესმის, მაგრამ შინაარსი ვერ გაგვიგია, მაშინ მსმენელისათვის ბგერები ჯგუფდება ტაქტების, და არა სიტყვების სახით. სთხოვეთ ვისმე სთქვას ოქვენთვის უცნობ ენაზე წინადადება ბუნებრივის გამოთქმით: ოქვენ ვერ გაარჩევთ სად იწყება, ან სად თავდება სიტყვები. სიტყვის ბოლოს, მაგ. მიაგნებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტაქტიც იქ თავდება. ქართულში არ სჩანს ეს მოვლენა ისე ცხადად, როგორც მაგ. რუსულში, რადგან არც მკაფიო ექსპირატ. მახვილია ჩვენს ენაში და არც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე; მაგრამ, ქართულშიც რომ ფონეტიურ-რითმიული გამოთქმა იჭრება სიტყვობრივში, სჩანს იმ კერძო შემთხვევიდან, როგორსაც ჩვენ ზმას ვუწოდებთ: „მაღლით წვიმა წამოვიდა, ნაბადმა ვერ დამფარაო; დამასველა თავიდან და ფეხებამდი მასხა რაო“ (თორნიკე ერთისთავიდან); მთელი კალამბურის შნო იმაზედაა დამყარებული, რომ ორი სიტყვა „მასხა რაო“ ითქმის ერთი ფონაციით, ერთ ტაქტად; ფრანგ. de bon thé—de bonté; მოიგონეთ ლათინური ლექსის კითხვა, სადაც რითმისათვის სიტყვები ნაწილდება და ერთი სიტყვის ნაწილი მეორეს უერთდება ფონეტიურად. ყოველ ენას სჩვევია განსაზღვრული რითმიულობა; თუ კალკე სიტყვის ხანგრძლივობა ვერ აკმაყოფილებს რითმის მოთხოვნილებას, მაშინ ხელოვნურად იქმნება მეტი მარცვალი სიგრძისათვის, ან აკლდება სიმოკლისათვის, ანდა შემდეგი სიტყვის მარცვალს მიითვისებს, ან თავის მარცვალს შემდეგ სიტყვას გადასცემს: მაგ. ქართულში ჩვენ ვხმა-

რობთ საჭიროებისდაგვარად კაცე-კაცა, კაცის-კაცისა. რადგან ქართულში გაძლიერებული მარცვლის შემდგომ ორი დასუსტებული მარცვალი უნდა მისდევდეს (ამას მოითხოვს ენის რითმიულობა), ამიტომ ხდება მრავალგვარი კომბინაციები, რათა რითმიულობა დაკმაყოფილებული იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთ ან ორ მარცვლოვან სიტყვასთან გვაქვს საქმე. ამას ჩავდივართ ჩვენ შეუგნებლად ბუნებრივ ლაპარაკში; ლექსში შეგნებულად და ხელოვნურად.

ბუნებრივ რითმიულობასთან ერთად არსებობს ენაში, როგორც ვიცით, ლოგიურ-ფსიქოლოგიურიც გარემოების მიხედვით. ორატორის საჯარო ლაპარაკში სჭარბობს ლოგიური ელემენტი; ლექსშიკი ფონეტიურ-რითმიული... ორივე შემთხვევაში ირლვევა ბუნებრივი რითმიული წყობა. ენის ბუნებრივობა ირლვევა აგრედვე სიმღერაში, სადაც ენის მუსიკალური მხარე განვითარებულია უკიდურესობამდი.

თუმცა ყოველი ლექსი და სიმღერა ენის თვალსაზრისით ბუნებრივი ენის დამახინჯებაა—ლოგიურ-ფსიქოლოგიური რითმიულობა უფრო უახლოვდება ბუნებრივს,— მაგრამ ლექსიც და სიმღერაც ესთეტიურ სიამოვნებას გვგვრის ისე, როგორც ზოგჯერ აზროვნების კანონების დარღვევა, მაგ. ოხუნჯობაში... ნათქვამიდან ცხადია, რომ მჭევრმეტყველობა (დეკლამაცია) მაშინ არის სასიამოვნო, როცა მოღაპარაკე ნაკლებ სცდება ენის ბუნებრივ რითმიულობას; მაგრამ ამასთანავე ზომიერად სარგებლობს ენის ხელოვნური რითმით, მახვილით და მუსიკალობით.

ბგერათა და მარცვალთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია 1) ლაპარაკის მეტ-ნაკლებ სიჩქარეზე და 2) ენის ფონეტიურ რითმიულობაზედ. თუ ჩვენ, მაგ. ცხარედ ვლაპარაკობთ, თითოეულ ბგერასაც აკლდება ხანგრძლივობა; პირიქით, ავადმყოფის ბგერები უფრო გრძელია. ზოგიერთ ენაში არსებობს, როგორც ვაკით, მუდმივი სიგრძე-სიმოკლე ხმოვანთა; როცა, მაგ., ჩქარა ნა-

თქვამ სიტყვაში მოკლდება გრძელი ბერა, მოკლდება აგრედვე მოკლეც: პროპორცია მათ შორის არ იცვლება. უმჩნეულია ზოგ ენაში ნახევარსი გრძელია და ზესი გრძელია; მაგ. გერმ. Kam და Kamen: ორივე ა გრძელია, მაგრამ პირველი უგრძესია. ალვნიშნავ ე. წ. ირაციონალ, ე. ი. მოკლეზე უფრო მოკლე ხმოვანებს: ფრანგ. petit-ში ე ძლიერ მოკლეა (ე. ი. ირაციონალია); რუს. პირველი უმახვილო 0 ირაციონალია ГОДОВОЙ-ში.

როც შეეხება რითმიული ელემენტის გავლენას მარცვლის სიგრძე-სიმოკლეზედ, ის გამოიხატება შემდეგში: ლაპარაკის დროს ჩვენ უნებლიერ ვცდილობთ თითოეული ფონეტიურ-რითმიული ტაქტის თქმას ერთნაირი დრო მოვანდომოთ, ე. ი. ერთნაირის ხანგრძლივობით ვთქვათ; ამიტომ საჭიროების მიხედვით ზოგ მარცვალს ვაგრძელებთ, ზოგს ვამოკლებთ; მაგ , თუ წინადადება ისე მოეწყო, რომ ერთმა მარცვალმა უნდა გამოხატოს მთელი ტაქტი, მაშინ ამ მარცვალს ჩვენ ვაგრძელებთ; თუ იმავე ლაპარაკში ერთ ტაქტში მოექცა მრავალი მარცვალი, მაშინ მარცვლებს ვამოკლებთ.

დასასრულ, ვიდრე ბერათა ცვლილებებს განვიხილავდეთ, შევეხები თანხმოვანთა და ხმოვანთა შეუღლებას და შეუღლების შედეგებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველი ბერის ცალკე სათქმელად საჭიროა სამი მომენტი: ეკსკურსია, დაყოვნების ხანა და რეკურსია; სრულ აკუსტიურ ეფექტს ახდენს ბერი მეორე მომენტში, რომელსაც ის აღწევს **თანდათანობით** ექსკურსიის დაწყებიდან; აგრედვე თანდათან სუსტდება ბერი დაყოვნებიდან რეკურსიამდი. როცა ჩვენ გრაფიულად (წერით) გამოვხატავთ რომელიმე ბერის (პ, დ, ს...), ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ დაყოვნების ხანა, როგორც აკუსტიურად განსაზღვრული ბერი; ამას ვუწოდებთ **მდგარ ან ჩამდგარ** ბერის (Stellungslaut); ეკსკურსიის და რეკურსიის მომენტები, რომელსაც ვუწოდებთ **გარდამავალ** ბერის (übergangslaut, ინგლ. glide), ჩვეულებრივ არ იწერება, მაგრამ ისმის კი ოდნავ

როცა ორი ან რამდენიმე ბერია ერთად ითქმის, საქმე რთულდება: ორი შეუღლებული ბერისათვის საჭიროა არა ექვსი მომენტი, არამედ ხუთი, რადგან პირველი ბერის რეკურსია ერთვის მეორე ბერის ეკსკურსიას. რადგანიც სხვადასხვა ბერის სხვადასხვა რეკურსია აქვს, ცხადია, თუ რატომ მიიღებს მეორე ბერია პირველის ამა თუ იმ ელფერს (გა, გუ...); იმავე დროს პირველიც განიცდის მეორის გავლენას ეკსკურსიის შესაფერად. ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ რომელიმე სიტყვას, მაგ. „ბალი“, ბ სა და პ-ს შეა ისმის **გარდამავალი ბერია**, რომელიც წარმოადგენს ბ-ანის რეკურსიის და პ-ნის ეკსკურსიის შერთვას, ამგვარადვე პ-ნსა და ლ-ს შეა, ლ-ს და ი-ნს შეა. ხშირად გარდამავალი ბერია თანდათან ძლიერდება სხვადასხვა მიზეზებული იმ ჩამდგარი ბერისაგან, რომლის ნაწილს (ეკსკურსიის ან რეკურსიის) ის შეადგენდა, როცა ჯერ მხოლოდ გარდამავალი იყო: რუს. НДРАВЪ; ფრანგ. vendredi „პარასკევი (ლათ. veneris dies).“

როცა ორი ისეთი ბერია შეუღლდება, რომელთაც წარმოების მხრივ საერთო რამ აქვსთ, მაშინ საერთო არტკულაცია მხოლოდ ერთჯელ წარმოებს, დანარჩენი არტკულაციები კი ცალ-ცალკე. მაგ. სიტყვა „დამბადა“-ში მ-ანისა და ბ-ანისათვის ბაგეები მხოლოდ ერთხელ იხშვის: მ-ანისათვის დახშული გაიღება მხოლოდ ბ-ანისათვის; აგრედვე სიმები უღერსორივესათვის განუწყვეტლივ. სასის არტკულაციაკი, რომლითაც მ განსხვავდება ბ-საგან, თითოეულისათვის ცალკე წარმოებს: მ-სათვის მოღუნებით ჩამოშვებული სასა, ბ-სათვის უკანა კედელს ებჯინება. აქედან გამომდინარეობს ერთი საყურადღებო მთვლენა: როცა ორი თანხმოვანი ბერია — ერთი ხშულ-წარმოება, მეორე ცხვირის მიერი — შეუღლდება, ხშულმსკდომის ცოტა იცვლება, სახელდობრ: მისი ხშვა ხდება სადაც წესი და რიგია, სკდომაკი სასით. სთქვით სიტყვა „დაბმა“ და შეამჩნევთ, რომ ბ-სათვის ხშვა ხდება ბაგეებით, მაგრამ სკდომა სასით, რომლის სწრაფი ჩამოშვება საჭირო იყო მ-ს

სათქმელად; როცა თქვენ ბ-ს ცალკე ამბობთ და მ-ს ცალკე, მაშინ თქვენ ვერ გრძნობთ სასის მოძრაობას; ხოლო როცა ამბობთ ბმ-ს ერთად, მაშინ კი როგორც ხედავთ, ჩვეულებრივად ნათქვაში ბ განსხვავდება ამ ბ-საგან, რომელზედაც ცხვირის მიერმა მ-მ გავლენა იქონია. ამგვარივე მოვლენაა ტნ-ში, დნ-ში, კპ-ში...

როცა ვაუდლებთ ორ ერთნაირ თანხმოვანს, ჩვენ ვიმოვთქვამთ არა ორს, არამედ ერთ გრძელ თანხმოვანს მეტის სიძლიერით, ვიდრე ერთ მარტივს: სიტყვა „წამბა“-ში ისმის არა ორი მ-ანი, არამედ ერთი, რაღან პირველი მ-ანისათვის ჩვენ არ ვახდენთ სკლომას, ე. ი. ხუთი მომენტის მაგივრად არის სამი — იმ განსხვავებით ჩვეულებრივისაგან, რომ მეორე მომენტი (დაყოვნების) უფრო ხანგრძლივია მმ-სათვის, ვიდრე მ-სათვის.

### ლიტერატურა.

1. Китерман, Несколько соображений по физиологии речи (Жур. Мин. Нар. Просв. 1902 г. Июль).
2. С. გორგაძე, ქართული წყობილიტყვაობა, „გრძემლი“ №1. 1912 წ.
3. O. Broch, Slavische Phonetik, 1911.

იხ. აგრედვე წინა ლექციებში ხსენებული ლიტერატურა.

---

### ლექცია მათერიალები.

ფონეტიური კანონები. ინდივიდუალი საარტიკულაცია ბაზისი. ძალათა ეკონომია. ფსიქიური ანტიციბაცია. ასიმილაცია და დისიმილაცია.

ხმოვანთა და თანხმოვანთა განსხვავებული განვითარება. მახვილიან და ინტონაციან ენათა ხმოვანების ცვლა. თანხმოვანების ცვლა: შედერთბის, ნაზალობის, ადგილის და გვართბის მიხედვით. რთული ასიმილაცია. ფონეტიური კანონი განსაზღვრულ ენაში. შორეული ასიმილაცია და დისიმილაცია. ენაში უცხო ბეჭრის შემთხვანა: ასური ე. ახალი ბეჭრის განვითარება ენაში: პლაზმური ძალა 1.ხდა. შეტაცება. ბეჭრათა დაკარგვა დასუსტების გამო: ბერძნულში, ქართულში.

მას შემდეგ, რაც გავითვალისწინეთ წინა ლექციებში ბეჭრათა სხვა და სხვაობა და მათი ბუნება, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ბეჭრათა ცვლილებებზე და ამ ცვლილებათა „კანონებზე“, რასაც ჩვეულებრივ ფონეტიურ კანონებს (იხ. ლექ. XII) უწოდებენ. ჩვენ უკვე ვცით, რომ დროთა განმავლობაში ყოველი ენა იცვლება როგორც შინაგანი, აგრედვე გარეგნული მხრივ; განსაკუთრებით იცვლება ენის გარეგნობა, გამოთქმა: ვითარდება ძველი ბეჭრისაგან ახალი (Lautwandel, ბეჭრათ ცვლა), ეცვლება ერთი ბეჭრა მეორეს უკვე ენაში არსებული თანხიდან (Lautwechsel, ბეჭრათ მონაცვალეობა), შედის ენაში სრულიად ახალი ბეჭრა უცხო ენიდან, ან და იკარგვის ენაში რომელიმე ბეჭრა. რა მიჩევებით აიხსნება ყოველივე ეს?

უკვე მეორე ლექციაში შევეხე გაკვრით ცვლილებათა ზოგიერთ ფაქტორს. აქ გამოვიყენებ იმ და სხვა ლექციებში ნათქვამს და საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავ.

ყოველგვარი ცვლილება ენაში — და მათ შორის ფონეტიურიც — იწყება ერთი ინდივიდიდან ან ჯგუფიდან. ჩვენ ვიცით,

რომ ბგერათა სხვა და სხვაობა, ერთი ბგერის მრავალგვარი ელფერი, დამოკიდებულია ორგანოთა სხვა და სხვაგვარ მოძრაობისაგან და სხვა და სხვაგვარ მოწყობისაგან, ე. ი. საარტიკულაციო ბაზისისაგან; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რამდენი მსგავსებაც არ უნდა იყოს ორ აღამიანს შორის, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან სხეულის ნაწილებით, მანერებით და სხვა... ჩვენ ვცნობილობთ აღამიანს ხმით: მაშასადამე, მას ქონია ინდივიდუალი საარტიკულაციო ბაზისი, რადგან იმავე სიტყვის მთქმელ უცნობ აღამიანს ნაცნობად არ მივიღებთ. . აი აქ არის ფონეტიურ ცვლილებათა ერთი სათავეთაგანი: ჩვეულებრივი ლაპარაკის ნორმისაგან ინდივიდუალი გადახვევა თანდათან ძლიერდება, თუ ამ ინდივიდს ეს ნაცვალი უფრო ემარჯვება, ნორმალურზე მეტ სიამოვნებას აგრძნობინებს მისი თქმა და სხვა... თუ ახალმა ნიუანსმა შესაფერი ნიადაგი იპოვა, ის ვრცელდება საზოგადოებაშიც და ამგვარად იქმნება ახალი ბგერა. თუ ჩვენ ძველ ბგერაზე უფრო ხშირად ახალი გვესმის, შეუგნებლად გვეცვლება ძველი ბგერის სმენითი წარმოდგენა ახალზე; ხოლო სმენითი წარმოდგენის შესაფერად ჩვენ ვათანასწორებთ გამოთქმასაც (ამ პროცესს გავეცანით ბავშის ენის შესწავლის დროს). ნორმალურ გამოთქმიდან გადახვევის შესაძლებლობა იზრდება ერთი და იმავე საარტიკულაციო ბაზისის მქონე ინდივიდის სხვადასხვა გვარი სულიური განწყობილების ზეგავლენით, მაგ. გაჯავრების ან მხიარულების, დაღლილობის, ან გაღიზიანების მოძენტში... ცვლილებათა ამ მიზეზებს ვუწოდებთ საერთო სახელად ფიზიოლოგიურ ფაქტორს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბგერის წარმოებისათვის საჭიროა I) ორგანოთა კუნიების ფიზიოლოგიური მუშაობა და 2) ამ ორგანოთა აღძვრა, იმპულსი თავის ტვინის შესაფერ ცენტრებიდან, ე. ი. ფსიქიური მოძენტი.

სხვადასხვა ენაში განსხვავებულ ბგერათა არსებობა აიხსნება ფიზიოლოგიური საარტიკულაციო ბაზისის სხვადასხვაობით; ცხადია, რომ, თუ თითოეულ ენაში იცვლება ბაზისი, იცვლე-

ბა ბგერაც, იცვლება ენის ბგერითი მთელი სისტემა: ენაშ ითვისა ორგანოთა მოძრაობის სხვა ახალი ჩვეულება, რომელიც მას ძველზე უფრო ემარჯვება, მეტად ესიამოვნება და ნაკლებ ძალას ხარჯავს. მაშასადამე, ეს შეუგნებელი მიღრეკილება ჩეტის მომარჯვებისადმი არსებითად ძალთა ეკონომია. რაც შეეხება ფსიქიურ ფაქტორს ბგერათა ცვლილებაში, ეს ხდება ამგვარად: როცა ერთი ბგერის ინერვაცია (იხ. ლექ. V) უკვე მოხდა და მას ვაწარმოებთ, ამ წარმოების მოძენტში ხდება შემდეგი ბგერის უნერვაცია, ე. ი. ერთი ბგერის თქმის დროს ორგანოები უკვე ემზადება შემდეგის სათქმელად; აქედან ცხადია, თუ რატომ აქვს გავლენა შემდეგს წინაზე. ხშირად პირველის მაგიერ მეორეს გამბობთ ამ, ასე ვსთქვათ, ფსიქიურ ანტიციპაციის ზეგავლენით. ამგვარი გავლენა ხდება არა მხოლოდ მეზობელ ბგერათა შორის, არამედ ერთი სიტყვის სხვადასხვა მარცვალთა შორისაც, რადგან, როგორც ვიცით, ლაპარაკის დროს თითოეული ბგერის იმპულსს გარდა არსებობს იმპულსი მარცვლისათვის. ანტიციპაციას გავლენა აქვს მთელ ფრაზაშიც: თუ ერთი სიტყვის თქმის დროს ჩვენს უურადღებას ამა თუ იმ მიზეზით შემდეგი სიტყვა იპყრობს, ჩვენ ხშირად ვიტყვით პირველის მაგიერად მეორეს, ან მეორის ნაწილს პირველში გადმოვიტან (ფერი და ხეხი—ხელი და ფეხი, ეკლე მონა—ენა მოკლე, იხმ იხმერ—დომ იხმერ); ამ მოვლენას წაცდენას ვუწოდებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ ფიზიოლოგიურ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ ფაქტორებით აიხსნება ე. წ. ასიმილაცია და დისიმილაცია, რომელიც ყოველ ენაში გავრცელებულია. როცა პირველი ემსგავსება მეორეს, ამას ეწოდება რეგრესიული ასიმილაცია—სრული ან ნაწილობრივი; როცა მეორე ემსგავსება პირველს, ამას ეწოდება პროგრესიული—სრული ან ნაწილობრივი. ბგერათა ურთიერთ გავლენა გამოიხატება აგრედვე დისიმილაციაში, მაგრამ ეს გავლენა უარყოფითია: ორ ერთნაირ ბგერაში ერთი ან სრულიად არ ითქმის, ან ითქმის სხვა გვარი ბგერა (ზარალი,

უნდა იყოს ზარარი, გრიგოლ, უნდა იყოს გრიგორ; სეკლე-  
ტარი; უკრაინული ლებრი—რებრი-ს მაგივრად). ამაზედაა  
დამყარებული ყოველი ე. წ. „ჩქარა სათქმელის“ სიძნელე; მავ.  
ჩვენ გვიჭირს სწორედ თქმა: თეთრი თრითინა თეთრ რთვილზე  
თრთოდა, რადგან დისიმილაციისადმი მიღრეკილების გამო ჩვენ  
ვერ ვიმეორებთ ბევრ ერთნაირ ბგერას ერთად. განვიხილოთ  
ხსენებული პროცესები ჯერ წმინდა ანატომიურ-ფიზიოლოგი-  
ური თვალსაზრისით.

როგორც უკვე ვიცით, ხმოვანთა და თანხმოვანთა არტი-  
კულაციის შორის დიდი განსხვავებაა; განსხვავება უმთავრე-  
სად იმაში მდგომარეობს, რომ ხმოვანებისათვის პირი ლიაა, თან-  
ხმოვანებისათვის დახურული; ამიტომ ხმოვანთა ცვლილება  
უმეტეს ნაწილად გამოიხატება მათ დავიწროვება-გაფართოვე-  
ბაში: მაგ., თუ ძველი և ბერძნულში ფონეტიურად შეიცვალა  
შ-დ, აქ მოხდა დავიწროვება... თანხმოვანების ფონეტიური  
ცვლა კი არ გამოიხატება დავიწროვება-გაფართოვებაში; სამა-  
გიეროდ თანხმოვანები იცვლება სხვა სალაპარაკო ორგანოების  
შერიც: სიმების, სასის, ცის, ბაგეთა და ენის; მაგ. თუ სლავუ-  
რში კ იცვალო ჩ-დ (человѣче), აქ მოხდა ენის და სასის ხშვა-  
სკდომის ადგილის გამოცვლა და სხვა. მაშასადამე, განვიხილოთ  
ჯერ ხმოვანების ფონეტიური ცვლილებები, შემდეგ თანხმო-  
ვანების.

**ხმოვანები.** იმ ენებში, რომელთაც ექსპირატული მა-  
ხვილი აქვთ, უმახვილო ხმოვანები სუსტდება\*) და ხშირად სრუ-  
ლიერ იკარგვის: ასე მოხდა, გაგ. სომხურში, რომელმაც მრა-  
ვალი ხმოვანი დაკარგა ამ კანონის ძალით; ასე მოხდა ფრან-  
გულშიც, სადაც სიტყვის ბოლოს მახვილი მით აიხსნება, რომ  
ამ მახვილიანი მარცვლის მიმყოლი ხმოვანები დასუსტდა და

\*) როცა გამბობ „უმახვილო“, ვგულისხმობ სუსტ, მეორე ხარ-  
ისხმან მახვილს, მთავარ ძლიერ მახვილთან შედარებით (იხ. ლექ-  
X).

დაიკარგა; ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1)  
ისტორიული მართლწერით ჯერ კიდევ იწერება, მაგრამ არ  
გამოითქმის, 2) ლათინურში, რომლის შთამომავალიცაა ფრან-  
გული, იწერებოდა და ითქმოდა კიდეც ის ხმოვანები, რომლე-  
ბიც ფრანგულში აღარ გამოითქმის\*). ასე ხდება დღეს რუ-  
სულში, რომელშიც თანდათან იკარგვის უმახვილო ხმოვანები:  
რომ მათ ისტორიული მართლწერა არ იფარავდეს, სრულიად  
დასაწერი არ არის, მაგ. ა თაკოვიЙ-ში; ა-ს მაგივრად უნდა  
ვწერდეთ ზ-ს (ირაციონალ ხმოვანს); პირველი ი-ს მაგივრად-  
კი უნდა ვწერდეთ ა-ს. ასეთია ექსპირატული მახვილის გა-  
ვლენა.

თვით ლათინურში მრავლად გვაქვს მახვილის გავლენის  
საბუთები: უმახვილო ა იცვლება i-დ (ვიწროვდება ა), უმახვ-  
ილო ი იცვლება u-დ (აქაც ვიწროვდება): accido „მივვა-  
რდები“, სადაც cido წარმოსდგა cado-საგან „ვვარდები“;  
équis „ცხენი“, სადაც უ წარმოსდგა o-საგან (იყო ébusos).  
იმის დასამტკიცებლად, რომ მახვილი აძლიერებს, აფართოვებს  
ხმოვანს, მოვიყვან მაგალითს სლავური ენებიდან: ძველ სლავურ  
სის და დანართი პირველი ხ და ხ სუსტი და ვიწრო ირა-  
ციონალი ბგერა იყო; რუსულში ისინი მახვილმა გააძლიერა  
და გააფართოვა: სის, დენ; სესტულში და პოლონურშიც  
გაფართოვდა ზ დ ხ, მაგრამ სხვა გზით, ამ ენათა საარტიკულაციო  
ბაზისის შესაფერად: სერბ. сап. დენ; ჰელ. sen, dziefi

\*) ლათინურშიც ექსპირატული მახვილი იყო, ბოლოდან მეორე  
ან მესამე მარცვალზე, მაგრამ ეს მახვილი არ იყო ისეთი სიძლიერის,  
რომ შემდეგი ხმოვანები დაესუსტებია და დაეკარგა. დროთა განმავ-  
ლობაში ვიდრე ლათინურის განვითარება დღევანდელ ფრანგულ-  
ამდე მოაღწევდა, მახვილი თანდათან ძლიერდებოდა და შემდეგი მარც-  
ვლები შესაფერის თანდათანაობით სუსტდებოდა... ამიტომ შეგვიძ-  
ლია ვიფიქროთ, რომ ფრანგულის ძველ რომელიმე საფეხურზე ის-  
მოდა ის ბგერები (თუმც სუსტად), რომელიც დღეს დაკარგულია  
გამოთქმაში.

რაც შეეხება იმ ენებს, სადაც უპირატესობა ხმის სიმალლეს ქონდა, იქ ხმოვანების ცვლა სხვაგვარი იყო: ხმოვანები იქ იმდენად იშვიათად იცვლებოდენ, რომ სრული დაკარგვისაგან გადარჩენ; სამაგიეროდ მათი ცვალებადობა გამოიხატებოდა სიგრძე-მოკლეობის და ინტონაციის ცვლაში. მაგალითად, ძვ.-ბერძნულში, რომელშიც უპირატესობა ხმის სიმალლეს ქონდა, ხმოვანთა ამგვარ ცვლილებას ვხედავთ: თუ რაიმე მიზეზით ორი ხმოვანი ერთი მეორეს მოხვდებოდა, ჩვეულებრივ ისინი ერთ გრძელ ხმოვნად გადაიქცეოდენ: ადა ი შეადგენდენ გრძელ ი-ს: *kéraos=kérōs* (ი გრძელია): *e+o=გრძელ* ი-ს იწერება ბერძნულიდ იუ: *génēos - génous* (იუ=გრძელ ი-ს)\* და სხვა. ინტონაციის ცვლა ხდება მავალითად სერბულში: ძველი აღმავალი ინტონაცია იცვალა გრძელ დამავალად: იუ სнეგъ(ე იუ გრძელი აღმავალი ინტონაციით), იცვალა სნეგ-ად (ე ისევ გრძელია, მაგრამ დამავალი ინტონაციით); მაგრამ სიტუა ვიდა-ში იმავე გრძელმა აღმავალმა ადგილი გამოიცვალა და სხვა მარცვალზე გადავიდა: იუ ვიდა, იცვალა ვიდა-დ (ი-ზე მოკლე აღმავალი ინტონაციაა).

აღსანიშნავია აქვე ე. წ. ცხვირისმიერ (ნაზალ) ხმოვანთა განვითარება\*: მაგ., თუ რომელიმე ლათინურ სიტუაში გვხვდება ხმოვანი+ი, ფრანგულში ამავე სიტუაში ხმოვანი ნაზალია და ი დაკარგულა: ლათ. *unda* „ტალლა“ = ფრანგ. *onde* (იუქმის იდ, მხოლოდ ი ცხვირში, ე. ი. ნაზალად). ცხადია, აქ ანტიციპაციის ქონია ადგილი: ი-ს თქმის დროს სასა მოდუნებულა და ჩამოშვებულა და ამგვარად. ი-ს მისცემია ნაზალი ელფერი: როცა ნაზალი ი გათავებულა, სმენითი

\*) ბერძნული ბეგერებისა და სიგრძე-სიმოკლის ნიშნები ტიპოგრაფიის არ აღმოჩნდა. სახელ. „*Kéras*“ „რქა“, *génos*. ტომი, მუხლი“ ნათეს. *kéros* *génus* (გრძელი ი და უ).

\*\*) მახვილის და ინტონაციისაგან დამოუკიდებლად.

შეგრძნება, ასე ვსთქვათ, დაკმაყოფილებულია ამ სუსტი ნაზალობით და შემდეგი ი-ს თქმა საჭიროდ იღარ ცნობილია—ამიტომ ი-ს შემდეგ პირდაპირ ქ-ს ინერვაცია მომხდარა...

როგორც ვიცით; ნაზალი ხმოვანები განვითარდა აგრძევე ძვ.-სლავურში; პოლონურს დღემდი მოყვა, სხვებსკი დაეპარგა: პოლ *pons* (ი ნაზალია) უდრის რუს. პუტ, ძველ-სლავურ პოტ (ნაზალი ი გამოიხატება დიდი მუჟით); სამივე სიტყვა უდრის ლათ. *pons, pontis* „ხიდი, გზა“, სადაც ი და ი ერთ მარცვალში მოხვდა; ამიტომ სლავურ ენებში განვითარდა (როგორც ფრანგულში) ნაზალი ი, ნ-კი დაიკარგა\*...

ერთგვარ ანტიციპაციასთან გვაქს საქმე დიფტონგების ცვლის დროს: მაგ. ლათინურში იყო დიფტონგი *au* (*Claudius*), რომელიც გამოითქმოდა ერთ მარცვლად, ერთი მთლიანი ექსპირაციით; თანდათან ა-მ დაკარგა თავისი სახე (გამოთქმა) შემდეგი ი-ს გავლენით, რადგან ა-ს თქმის დროს ორგანოები უკვე ი-სათვის ეწყობოდნენ, ე. ი. ხდებოდა ლაბიალიზაცია ა-ს თქმის დროს. მართლაც ა-მ ი-მდი ვერ მიაღწია, მაგრამ ი-ს კი დაემსგავსა (ი-სათვის უფრო ძლიერი ლაბიალიზაცია იყო საჭირო, ვიდრე ი-სათვის); მაშასადამე, მოხდა ნაწილობრივი რეგრესიული ასიმილაცია ფსიქიური ანტიციპაციის ძალით\*). მართლაც, ლათ. *Claudius* ისაგან განვითარდა ამგვარად ფრანგ. *Claude* (აქ *au* გამოითქმის, როგორც გრძელი ვიწრო ი). ხმოვანთა ნაწილობრივ რეგრესიულ ასიმილაციას ვხედავთ იმერულ დო-უძახე-ში, სადაც ა-ნის ლაბიალიზაციამ (შემდეგი უ-ს გავლენით) თ-მდი მიაღწია; გვხვდება ზოგჯერ დუუძახე, სადაც უკვე სრული დამსგავსება მოხდა. ამგვარივე მოვლენაა იმე-

\*) რუსულში ნაზალი ხმოვანები მოიშალა ფონეტიურად: ნაზალი ი-ს მაგივრად გვაქვს უ(პუტ) და ნაზალი ე-ს მაგივრად ე(პიტ).

\*\*) სრული რეგრ. ასიმილაცია იქნებოდა მაშინ, ა-ს რომ დამსგავსებოდა.

რულ მევიდა-ში და სხვა ამგვარ შემთხვევებში, სადაც შემ-  
დეგი მარცვლის ინმა გავლენა იქონია წინსართის ა-ნზე და  
ე-მდი დაავიწროვა.

ხმოვანთა სრულ პროგრესიულ ასიმილაციას ვხედავთ  
სიტყვებში: მე-ორე, მე-სამე, მე-ცხრე, სადაც წინსართის ე-ნმა  
მიიმსგავსა ა და ი (მაშასადამე, ა დავიწროვდა და ი გაფარ-  
თოვდა ე-ნამდი); აგრედვე მეგრული მა-უირა „მეორე“: აქ წინ-  
სართის ა-ნმა გააფართოვა დაბოლოების ი.

**თანხმოვანები.** თუ ხმოვანები უმეტესად იცვლებოდენ  
სივიწროვე-სიფართოვის მხრივ, თანხმოვანები იცვლება ორგა-  
ნოთა მოძრაობის ადგილის ან გვარობის მხრივ. აქაც იმავე  
ასიმილაციასთან გვაქს საქმე, უმეტესად რეგრესიულთან. მაშა-  
სადამე, აქაც იმავე ფსიქიურ ან \*იკიპაციას ვხედავთ; მაგ.  
ლათინურში b+t=pt: scriptus „დაწერილი“, სადაც p  
წარმოსდგა ძველი b-საგან (scribo „ვსწერ“). განვიხილოთ ამ-  
გვარი ცვლილებანი სხვადასხვა ორგანოთა მიხედვით:

ა) ხმის სიმთა უღერის მიხედვით. თუ ერთიმეორეს ხვ-  
დება ორი თანხმოვანი, რომელნიც ერთმანეთს გვანან გარდა  
უღერისა, მაშინ ხდება სრული ასიმილაცია: ლათ. ad+teneo-მ  
მოგვცა attineo „ვაკავებ“, სადაც შეხვდენ თანაბარი თანხმო-  
ვანები d და t; ერთად ერთი განსხვავება მათ შორის გამოი-  
ხატებოდა პირველის მეღერობაში და მეორის სიყრუვეში; ამი-  
ტომ როცა t-მ დააყრუვა d, მათ შორის სრული მსგავსება  
დამყარდა. ნაწილობრივ ასიმილაციას ვხედავთ ლათინურ scri-  
psi „დავსწერე“ და scriptus-ში, სადაც b უაყრუვა შემდე-  
გმა s-მ და t-მ; სრული ასიმილაცია არ მოხდა, რადგან b და  
s, t განსხვავებულია არა მხოლოდ სიმთა უღერის მხრივ, არა-  
მედ წარმოების ადგილითაც. სრულ პროგრესიულ ასიმილა-  
ციას ვხედავთ ლათ. miserrimus „უუბედურესი“-ში, რომე-  
ლიც წარმოსდგა misertimus-საგან; აგრედვე ferre წარმო-  
სდგა ferse-საგან.

ხშირიდ ყრუ თანხმოვანი იცვლება მეღერად, როგორი

წინა, აგრედვე შემდეგი ხმოვანის მულერობის გავლენით (პრო-  
გრეს.-რეგრეს. ასიმილაცია): ფრანგ. abeille „ფუტკარი“ წარ-  
მოსდგა ლათ. apicula-საგან

ქართულში გვხვდება ნაწილობრივი ასიმილაცია, მაგ.  
სიტყვა **მჷგავს-ში**, სადაც ყრუ ს იქცა მეღერად შემდეგი გ-ა-  
ნის გავლენით; აგრედვე—ლწევა— ხწევა, სახლიდგან—თ-  
გან... მეგრ. ლუდქ—ლუთქ... ქართულსა და მეგრულს არ  
უყვარს მრჩობლი თანხმოვანები, ამიტომ ხდება ნაწილობრივი  
და არა სრული ასიმილაცია (ქართულში სიტყვა „გქონდა“,  
გამოირქმის „ქქონდა“: მოხდა სრული ასიმილაცია; მაგრამ ასე-  
თი მოვლენები ძალიან ცოტაა).

ბ) რბილი სასის მიხედვით. როცა ორ მეზობელ თანხმო-  
ვანში მეორე ნაზალი თანხმოვანია პირველი ემსგავსება  
მას 1) ან სრულად, თუ განსხვავება მათ შორის ცოტა იყო  
(ლათ annoto „შევნიშნავ“ წარმოსდგა adnoto-საგან: მოხდა  
სრული რეგრესიული ასიმილაცია, რადგან d-სა და n-ს შო-  
რის განსხვავება მხოლოდ ნაზალობაში,— წარმოების ადგილი  
კი მათ ერთი აქვს), 2) ან ნაწილობრივად, თუ განსხვავება  
მათ შორის დიდია (ლათ. scamnum „სკამი“ წარმოსდგა  
scabnum-ისაგან: მოხდა ნაწილობრივი ასიმილაცია, რადგან  
b-სა და n-ს შორის ორნაირი განსხვავება იყო: ერთი—n ნა-  
ზალია, b არა; მეორე—n წინა-ენის მიერია, b პაგეთ მიერი.  
ამიტომ, როცა b იცვალა m-დ, ბაგეთ მიერობა შერჩი მას,  
ნაზალობა-კი n-საგან მიიღო).

გ) ბაგეთა და ენის მიხედვით. ხშირიდ ასიმილაცია ხდე-  
ბა ორ სხვადასხვა ორგანოთა შორის; მაგ. წინაენის მიერი  
ემსგავსება ბაგე-კბილისმიერს: ლათ. difficultis „ძნელი“ წარმოსდგა  
disfacilis-საგან; მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა ორ-  
განო არ გამოიცვლება, ადგილი კა; მაგ. ლათ. accido წარ-  
მოსდგა adcado-საგან: d-ც ენის მიერია (მხოლოდ წინაენის)  
და c-ც (უკანაენის). ასიმილაციის კანონის ძალით იცვლება  
აგრედვე ბგერის გვარობა (მაგ. ხშულმსკლომი იცვლება ლრო-

ჭოვნად შემდეგი ლრიჭოვანის გავლენით): ლათ. assideo „ახლოს ვზივარ“ წარმოსდგა adsedeo-საგან, suffero „გადა-მაქს“ subfero-საგან, სადაც ხშულმსკლომი ძ და ხ იქცა ლრიჭოვან ს და f-დ.

ღ) რთული ასიმილაცია. ამგვარი ასიმილაცია გული-სხმობს ყველა ზემოქამოთვლილს, მხოლოდ დროთა განმავ-ლობაში განსაზღვრულის თანამიმდევრობთ განხორციელე-ებულს: ჯერ მიემსგავსება უღერის მხრივ, შემდეგ სასის მოქმედების მხრივ და ბოლოს ადგილის ან გვარობის მხრივ: მაგ. ოტალიურ sonno-ში „ძილი“ nn განვითარდა -pn-საგან შემდეგის თანამიმდევრობით: -pn-მ პირველდ მოგვცა -bn-; bn-მ შემდეგ მოგვცა .mn-;-mn-მ nn\*): pn -bn-mn -nn.

უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ ასიმილაცია და დისიმილაცია, საერთო ფონეტიური კანონია ყოველი ენისათვის, — ამ კანო-ნის კერძო შემთხვევების მოქმედება შესაძლებელია გვხვდებო-დეს მხოლოდ განსაზღვრულ ენაში; მაგ. ჩვენ ვიცით, რომ ლათ. pt ოტალიურში იცვალა tt-დ ასიმილაციის კანონით (ლათ. septem, ოტალ. sette), მაგრამ ბერძნულში იგივე pt იცვალა ft-დ (heptá „შვიდი“, ახალი ბერძნული jeftà . ეს მოვლენა დამოკიდებულია განსაზღვრული ენის საარტიკუ-ლაციო ბაზისზედ: იქ, სადაც იტალიურში მოხდა ასიმილაცია ბერძნულში ვხედავთ დისიმილაციას...

ასიმილაციას და დისიმილაციას აქვს ძალა არა მხოლოდ მაშინ, როცა ბერძნული მეზობლად არიან (ამას ეწოდება კონ-ტაქტური ასიმ.-დისიმ.), არამედ მაშინაც, როცა ისინი დაშო-რებულია ერთი ბერძნით ან მარცვლით და მეტითაც; ამას ეწოდება შორეული ასიმილ. ან დისიმილ. (Fernassimilation, – dissimil.):

\* ) ფორმები p-თი და t-თი გვხვდება ნამდველად (sopor «ძი-ლი», ბერძნ, ήύρνος, ლათ. somnus), ხო კი ჰიპνოტეტურია.

შემა წარმოსდგა ალბად სეჭა-სგან; შეად. მეგრ. დიშქა; ცეცხლი სეცხლი-საგან...

შორეულ დისიმილაციის ვხედავთ ქართულ თროლი-ში =თრორი; მოლოზონი წარმოსდგა მონოზონი-საგან, ზარალი ზარარისაგან.

კახური, მაგრამ რაჭული; ქუთათური, მაგრამ მეგრული და სხვა...

ძნელად გამოსათქმელ ბერძნით კომპლექსის გაადვილება ხდება არა მხოლოდ დისიმილაციის საშვალებით, არამედ მათი სხვადასხვა ადგილის გადასმით: ამ მოვლენას ეწოდება მეტა-თეზა. აქ ცვლილება ბერძნში არ ხდება, მხოლოდ იგივე უცვლელი ბერძნები ადგილს იცვლიან. ამ მოვლენას უმეტეს ნაწილად მაშინ აქვს ადგილი, როცა სიტყვას უცხო ენიდან ვსესხულობთ: რაც უცხო ენის საარტიკულაციო ბაზისისთვის ადვილად სათქმელი იყო, ის ჩვენი ბაზისისთვის ძნელი გამო-დგა. თუ ჩვენივე ენის სიტყვაშიც ხდება მეტათეზა, ეს იმის მომასწავებელია, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი საარტიკუ-ლაცი ბაზისიც იცვლება: რაც წინედ გვეადვილებოდა, ის შე-საძლოა გაგვიძნელდეს. ამ მოვლენის ფსიქიური ახსნა ისეთივეა, როგორიც ასიმილაციის და დისიმილაციის, სახელდობრ: მთელი წინადადების შეუყენებლივ თქმა შეგვიძლია მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი წინადადების ელემენტები უკვე (ბუნდოვანად მაინც) წინადაწინ წარმოდგენილი გვაქვს; ამიტომ სხვადასხვა-მიზეზების გამო ზოგი ელემენტი (ბერძა ან სიტყვა) ნაადრე-ვად შედის ფიქსაციის ნათელ წერტილში და მორიგ ელე-მენტზე უწინ გამოითქმის, მორიგი კი იგვიანებს; ხოლო, რამ-დენჯერმე თუ ასეთი პროცესი განმეორდა, შედეგი სამუდა-მოდ რჩება ენაში. მეტათეზის მაგალითები ასეთია: მეგრ. წინგი (ნასესხებია ქართ. წიგნისაგან), ფირქი (ქართ. ფიქრი); საკუ-თარ მეგრ. სიტყვებში: წრომი — რწომი „ჭოტი“; წიმო — მიწო (გემიწოციის „წამოხტენ“). რუს. ладонь — долонь (ძვ. —


სლავ. длань); რუს. тарелка — талерка (გერმ. Teller);  
ფრანგ. réglisse — лац. liquirita „ძირტკბილა“, ისპან. —  
პორტუგ. palabra — parabola „იგავი“...

ხშირად მეზობელი ერის ენის გავლენით ჩვენ ვიძენთ  
ახალ ბგერას, რომელიც გენეტიურად არ არის განვითარე-  
ბული ჩვენი ენის ბგერათა თანხიდან; მაგ. ოსურმა შეიძინა  
ქართულისაგან შ ისეთ სიტყვებში, სადაც უკანა ენის მიერი  
უნდა ყოფილიყო: მაგ. ოსური ყარმ „სითბო“ ენათესავება  
ავესტის garema-ს, სანსკრიტულ gharmā-ს; ოსური ყუს  
„ყური“ ენათესავება ავესტ. ghoša-ს და სანსკრ. ghoṣa-ს. ამ  
შემთხვევას ვხსნით ამგვარად: ოსს ხშირად ესმოდა ქართული  
სიტყვები, სადაც შ იყო; მაშასადამე, მას გაუჩნდა ახალი ბგე-  
რის აკუსტიური წარმოდგენა; ჩვენ კი ვიცით, რომ მოლაპა-  
რაკე ადამიანი შეუგნებლად ცდილობს ბგერის მოტორული  
წარმოდგენა შეუთანასწოროს აკუსტიურს. ამას ხელს უწყობ-  
და ოსური სიტყვების ქართველისაგან გამოთქმა, როცა ქარ-  
თველი ოსური ბგერის მაგივრად შ-ს ამბობდა თავის ბაზისის  
მიხედვით, ეს კი ოსს ესმოდა და შ-ს აკუსტიური წარმოდგენა  
უმაგრდებოდა; კერძოთ ამ პროცესს ხელს უწყობდა ისეთი  
შემთხვევითი მსგავსება, როგორსაც ყუს-ში ვხედავთ. ანალო-  
გიური პროცესი ხდება მუდამ, როცა ერთი ენა მეორე ენის  
ბგერებს ითვისებს.

უცხო ენისაგან დამოუკიდებლადაც ვითარდება ენაში ახა-  
ლი ბგერა: პოლონურში განვითარდა ძ (dziem' „დღე“), რუ-  
სულში შუაენის „რბილი“ თანხმოვანები და სხვა. ასეთი  
პროცესი აიხსნება შემდეგი ბგერის (ამ შემთხვევაში ხმოვანის)  
გავლენით; შესაძლებელია ვითიქროთ, რომ ქართულშიდაც  
ზოგიერთი ბგერა (მაგ. ჯ, ძ, წ ..) ამგვარი პროცესის შედეგი  
იყოს...

ხშირად ბგერის ცვლილება მიღის ბგერის სრულ დაკარ-  
გვამდი: მაგ. ძველ-ბერძნულ ენას სჩვევია (აგრედვე ბევრ სხვა-  
საც) ს-ს ხმოვანთა შუა ფშვინვად (h) ქცევა და შემდეგ სრული  
დაკარგვა: მაგ. ბერძნ. génē-os-ში e-სა და o-ს შუა უნდა იყოს  
ს ან h, რის მოწმეც ლათინური generis არის (ლათ. ხმო-  
ვანთა შუა s იქცა r-დ).

მაგ. ქართულში ხშირად იკარგვოდა ბოლო დ (ალბად  
დასუსტების გამო): კარგა (დ) და სხვა.



## ლექცია მეთორმეტე

(გაგრძელება).

ფსიქო-აკუსტიური ფაქტორი. ერთბაში (სიმულტანური) და ზედმიუთლებითი (სუპტენიური) ასთრიაციები. გამოთქმის მერყეობა და ამ მერყეობის საზღვარი. განსხვავების მერთადი წარმოდგენა: გამოთქმის შეუმჩნეველი ცვლა. ბგერათა ურთიერთშორის ფიზიოლოგიური ნათესაობა: აკუსტიურ შთაბეჭდილებათა ერთგვარობა. ასეთ ბგერათა სუბსტიტუცია. უცხო ენებიდან სესხება. განსხვავება ფიზიოლოგიურ ცვლასა და აკუსტიურ სუბსტიტუციას შორის.

სუბსტიტუცია: ურუ ხშ.-მსკდომთა, მჟღერ ხშ.-მსკდომთა, ურუ დრიჭოვანთა, მჟღერ დრიჭოვანთა, აფრიკატების, მდინართა ნაზალ თანხმოვანთა. სემასიოლოგიური ფაქტორის შექრა ამგვარ ცვლილებები: დაბრკოლება და ხელასშეწყობა. ფონეტიური კანონები: განსხვავება ჩვეულებრივი მეცნიერული კანონისაგან; ენის პროცესთა სირთულე. დიტერატურა.

წარსულ ლექციაში ჩვენ განვიხილეთ ბგერათა ცვლილების ფსიქოურ-ფიზიოლოგიური ფაქტორი; მაშასადამე, სახეში გვყვავდა თვით **მოლაპარაკე** და მისი ფსიქიური და ენის ორგანოთა მოძრაობის პროცესები. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ლაპარაკი ჩვეულობრივ გულისხმობს **მსმენელსაც**; გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად არის მსმენელი ბგერათა ცვლილების მონაწილე.

გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ჩვენი გამოთქმა (ე. ი. ბგერის ან სიტყვის მოტორული წარმოდგენა) მუდამ მტკიცედ დაკავშირებულია სმენასთან (ე. ი. ბგერის ან სიტყვის აკუს-

ტიურ წარმოდგენასთან): ჩვენ გამოვთქვამთ ბგერას იმ ელფერით, როგორითაც ის გვესმის და ჩაბეჭდილი გვაქვს ვერნიკეს ცენტრში; მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხსენებულ, სხვისი ნათქვამისაგან შემდგარ აკუსტიურ წარმოდგენას ემატება ჩვენგანვე ნათქვამის შეგრძნება... აქ წავადგებით ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მოვლენას, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

საქმე ის არის, რომ, თუ რომელიმე ბგერათა კრებულს (სიტყვას) ჩვენს ცნობიერებაში რამდენჯერმე აღუძრავს შესაფერი წარმოდგენა, — ბოლოს ბოლოს როდია აუცილებლად საჭირო იმავე წარმოდგენის აღსაძრავად შესაფერ ბგერათა **სრული** გამეორება: საკმარისია მხოლოდ რამდენიმე ელემენტი უკვე განცდილ შეგრძნებათა, რომ იგივე წარმოდგენა აღგვეძრას. ამაზედ ემყარება სიტყვათა ყოველი ქარაგმული შემოკლება: ქ. შ. (ქრისტეს შემდეგ), ქ. წ., უდ (ყოვლად) და სხვა. როცა ჩვენ ვკითხულობთ (ან ვუსმენთ), აზრი გვესმის იმ შემთხვევაშიც, როცა ნაწერში (ან ნათქვამში) შეცდომებია: ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ შეცდომებს, ე. ი. ჩვენ აღგვეძრის სწორი და სრული წარმოდგენა მაშინაც კი, როცა სიტყვები დამახინჯებულია ან აკლია რამ; ხშირად ჩვენ ვერ ვამჩნევთ შეცდომებს მაშინაც კი, როცა რასმე განგებ გასასწორებლად ვკითხულობთ ან ვუსმენთ. აქედან გამომდინარეობს ჩვენი დებულების ერთი დეტალი: წარმოდგენის ორჯერ აღსაძრავად არ არის საჭირო შეგრძნებათა **აბ:ოლუტური იდენტობა** (ერთი და იგივეობა) პირველად და მეორედ; მაგ. მე გავიგონე სიტყვა „კვალი“ ორგვარი გამოთქმით: პირველად „კვალი“ (პ აქ არის კბილბაგის მელერი ლრიჭოვანი), მეორედ „კვალი“ (იწერებოდა „კუალი“; აქ კ არის **წყვილბაგის** მელერი ლრიჭოვანი), მაგრამ მნიშვნელობის წარმოდგენა ორივე შემთხვევაში ერთია. მაშასადამე, ჩვენ ვამსგავსებთ ორ (ან რამდენიმე) ისეთ შეგრძნებას, რომლებიც ობიექტურად განსხვავებულია; ხდება ე. წ. ერთბაში ასოციაცია, რო-

მელსაც პუნდტი უწოდებს Simultane Assoziation-ს მეორე გვარ ასოციაციისაგან განსასხვავებლად, რომელსაც ის უწოდებს Sukzessive Assoziation-ს (ე. ი. ზედმიყოლებითი).

აქედან დასკვნა: ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირი გამოთქმა არაა ჩვეულებრივ დაკავშირებული სხვადასხვა წარმოდგენასთან: გამოთქმაში შესაძლებელია არსებობდეს განსაზღვრული მერყეობა, რომელიც მსმენელს არ უშლის აზრის გავებას, რადგან გამოთქმათა განსხვავება ვერ აღწევს შემეცნების ნათელ წერტილამდი; მაგრამ მკრთალი წარმოდგენა ამ განსხვავებისა მაინც არის ჩვენს შემეცნებაში, სახელდობრ, აკუსტიური ცენტრის სფეროში; ეს სჩანს იმ გარემოებიდან, რომ ჩვენ შეუმჩნევლად ვიცვლით გამოთქმას, რომელიც, როგორც ვიცით, დამოკიდებულია აკუსტიურ წარმოდგენის ცვლილებისაგან. ავილოთ ისეთი მცირე განსხვავება დონის (სიტყვის ბოლოს) გამოთქმაში, როგორიცაა ქართლელსა და იმერელს შორის: ქართლელი ჩვეულებრივ ამბობს ნამდვილ დონს (მელერ ხშულმსკდომს), იმერელიუკი თანს (ყრუ მფშვინავ ხშ-მსკდომს). წარმოვიდგინოთ, რომ იმერელი ხანგრძლივად მოხვდა ქართლელთა წრეში; როცა იმერელს ესმის სიტყვა „შავად“ (დონით), 1) მას ალექსანდრის იგივე წარმოდგენა, როგორიც ქონდა ქართლელს, 2) ის ვერ გრძნობს განსხვავებას „შავად“ და „შავათ“ ის შორის, რადგან ამ გნსხვავებამ ვერ მიუწია მისი ცნობიერების ნათელ-წერტილამდი; მაგრამ ამ განსხვავების რკრთალი წარმოდგენა მაინც უჩნდება იმერელს, რაც სჩანს იქედან, რომ ის უნებურად ბოლოს ბოლოს დონს იტყვის თანის მაგივრად. ასე გამოეცვლება დაბოლოვების დონი ქართლელს, რომელიც იმერელთა წრეში მოხვდება. მაგრამ ასეთ მერყეობას (მაგ. დონსა და თანს შუა) საზღვარი აქვს, რომლის იქით ურთიერთშორის გავება ძნელდება და ბოლოს სიძნელე გაუგებრობამდი მიდის. მაგ, როცა იმერელი ამბობს „წევიდა“, აქ უკვე ქართლელი აშკარად გრძნობს განსხვავებას, მაგრამ, თუ მას ალექსანდრის იგივე წარმოდგენა, როგორიც

„წავიდა“- საგან, ეს იმიტომ, რომ 1)დანარჩენი ელემენტები (ეს გარდა) ერთნაირია, 2) მან იცის, რომ იმერეთში „ეობთ“ ლაპარაკობენ. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ქართლელმა არ იცის იმერული „ეობა“: მაშინ მას გაუჭირდება აზრის გავება, რადგან ასოციაციას გაუადვილებს მას მხოლოდ დანარჩენ ელემენტთა ერთგვარობა (წვიდა)...

როცა ჩვენ ვამბობთ: ამ კაცის ნალაპარაკევი მესმის და კარგი გამოთქმაც აქვსო, აქ მერყეობა მინიმალია; თუ ვამბობთ: აზრი მესმის, მაგრამ ცუდი გამოთქმა აქვსო— აქ არის მაქსიმალი მერყეობა; თუ ვამბობთ: იმდენად ცუდი გამოთქმა აქვს, რომ აზრიც არ მესმისო— აქ მერყეობის საზღვარს გადასულა და იმ დონემდი მიუღწევია, სადაც იწყება ახალი დიალექტი (თითქმის ახალი ენა).

მინიმალი მერყეობა არსებობს ყოველ ენაში: სიახლოვე და ხშირი მისვლა-მოსვლა ურთიერთ შორის წინუდგება ამ მერყეობის ზრდას; პირიქით: სიშორის და იშვიათი მისვლა მოსვლის გამო მერყეობა მაქსიმალი აღწევს და ხშირად საზღვარს გადადის.

აკუსტიურ ფაქტორს სხვა გზითაც შეაქვს ცვლილება ენაში.

მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მთელი რიგი ბგერათა, რომელნიც ფიზიოლოგიური წარმოების მხრივ ენათესავებიან და ასე თუ ისე ემსგავსებიან ბევრს სხვას; აქედან ცხადია, რომ აკუსტიური შთაბეჭდილების მხრივაც ისინი რამდენადმე უნდა ემსგავსონ ერთიმეორეს. როცა ჩვენ ლაპარაკს ვუსმენთ, ხშირად ვერ გავიგონებთ მოლაპარაკის ყოველ წვრილმანს; მაგრამ, თუ ჩვენი ცნობიერებისათვის ჩვეულებრივია ლაპარაკის შინაარსი, მაშინ, რაც ვერ გავიგონეთ, იმას ჩვენვე ვუმატებთ შეუგნებლად; ხოლო, თუ საუბრის შინაარსი ჩვენთვის უჩვეულოა, იმ შემთხვევაში შესაძლებელია ცვლილება შევიტანოთ გაგონილში. აი რატომ: გაურკვეველი ლაპარაკი, ან შორი მანძილიდან გაგონილი, ან სუსტად ნათქვამი ვერ

ახდენს ჩეენზე ისეთ სწორ შთაბეჭდილებას, რომ რომელიმე ბგერა მისი მონათესავე ბგერისაგან განსხვავებულად განვიცადოთ; ამიტომ ერთი ბგერის ნაცვლად მეორე ბგერას განვიცილოთ, და შესაძლებელია სამუდამოდ შეგვრჩეს ასეთი უსწორო აკუსტიური წარმოდგენა; ხოლო, რადგან ჩვენი გამოთქმა მუდამ უთანასწორდება აკუსტიურ წარმოდგენას, ცხადია, რომ გამოთქმაშიც უნდა ნორმას გადავუხვიოთ. მსმენელის სმენის სისუსტე ამგვარ ერთი ბგერის მეორის ნაცვლად სუბსტიტუციას (შეენაცვლებას) ხელს უწყობს. უნდა ვთქვათ მხოლოდ, რომ ბგერათა აკუსტიური სუბსტიტუცია უფრო შემთხვევითი ხასიათისაა, ვიღრე ბგერათა ფიზიოლოგიური ცვლა, რომელიც განსაზღვრულ ენაში მტკიცედ ემორჩილება ფონეტიურ წესებს; თუმცა აკუსტიური სუბსტიტუციისათვისაც შეგვიძლია ამგვარი სავალდებულო წესი დავადგინოთ: თუ ორ ბგერათა შორის არავითარი აკუსტიური მსგავსება არ არსებობს, უმცლად შეუძლებელია მათი ურთიერთ სუბსტიტუციაც; მაგ., მ და ტ, ლ და წ არასოდეს არ შეენაცვლება ერთი-მეორეს.

აკუსტიური ფაქტორი მოქმედობს აგრედვე უცხო ენიდან სიტყვების სესხების დროს: თუ გვესმის უცხო ბგერა ან მათი კომპლექსი, რომლის გამოთქმა უჩვეულობის გამო გვიჭირს, მაშინ ჩვენ გამოვთქვამთ ისე, როგორც გვეხერხება, ე. ი. ჩვენს ცნობიერებაში ხდება ასიმილაცია იმ უცხო ბგერის წარმოდგენასა და ჩვენთვის ჩვეული ბგერის წარმოდგენას შორის. მაგ. ევროპული და რუსული ენის არმცოდნე ქართველისაგან გამიგონია „ანდერძი“, „ადრესი“-ს მაგივრად. გარემოების მიხედვით „ანდერძი“ აღუძრავს მას იმავე წარმოდგენას, როგორსაც ჩვენ „ადრესი“: სჩანს მან იხმარა მისთვის ბგერათა ჩვეული კომპლექსი. აღვნიშნავ აქვე, რომ აკუსტიური სუბსტიტუციის დროს ხდება მხოლოდ ბგერათა მონაცვალეობა (Lautwechsel), ფიზიოლოგიურ ცვლილებათა დროს კი შესაძლებელია ახალი ბგერაც გაჩნდეს ენაში (Lauwantdel).

შევდივარ იმის განხილვაში, თუ რომელი ბგერა რომელს შეიძლება შეენაცვლოს, ე. ი. განვიხილავ ბგერათა ფიზიოლოგიურ და აკუსტიკურ ამა თუ იმ მსგავსებას.

ა) ყრუ ხშულ-მსკდომთა — არა მფშვინავთა (პ, ტ, კ, უ) და მფშვინავთა (ფ, თ, ქ) — სუბსტიტუცია: ა) ურთიერთშორის: მეგრ. ხოპი — ხოფი, ბერტი — ბერთი, სკანი — სქანი, კებური — კებური „კერა“; უკრაინ. კიсто — ტიсто „კომი“; რუს. ხალხური კიატრ — თეატრ; ლიტავ. sekmas „მეშვიდე“ უნდა იყოს septm —, ან septm — .. ბ) შეენაცვლებიან თანაბარ მუღერთ (ბ, დ, გ): მეგრ. ტურინი — დურინი — (ფურინი) „ფრენა“, კვიკვილი — გვიგვილი „კვირტი ხეზე“; რუს. ედაკ — ეთაკ... ც) შეენაცვლებიან თანაბარ ყრუ ლრიჭოვანებს: ბერძნული th-მაგივრად სლავებმა სთქვეს ჭ: ბერძ. anáthema — რუს. ана-თემა (Theta გამოთქმაში = ჭ-ს), kathédra — კათედრა... დ) პ ან ჰ ენაცვალება ნაზალ ბ-ს: ნებსი — ნეფსი (ხალხური); რუს. მчела — პчела.

ბ) მეღერ ხშულმსკდომთა (ბ დ გ) სუბსტიტუცია: ა) ურთიერთშორის: რუს. ხალხ. გля — დლა, ანდელ — ანгел; ლიტავ. bugnas — bubnas „დაირა“. ბ) თანაბარ ყრუ ხშულ-მკდომებთან: მეგ. იხ. ზემო; პოლონ. drzazga — trzaska „ნაფოტი“; რუს. ბრივგატი — პრისკატი. ც) ლ — ნ: მეგ. ჯულა — ჯუნა „კოცნა“ დ) შეენაცვლებიან თანაბარ აფრიკატებს (ზოგჯერ ყრუსაც), მაგ. მეგრულში: დვალა — დვენა „დადება“, ჭანდი — ჭანჯი „ბუზი“...). არის შემთხვევები, როცა ლ-ს შეენაცვლება ლ, მაგ. ლათინურში: Lingua — ინგ. tongue, გერი. Zunge „ენა“ (ამ ორ სიტყვაში t და z ძველი d ს ჩამომავალია); lacrima — ბერძნ. dákru „კრემლი“.

გ) ყრუ ლრიჭოვანთა (ჭ, ხ, ს, ჟ, th\*) სუბსტიტუცია: ა) ურთიერთშორის: მეგრ. შქასერი — სქასერი „შუალამე“;

\*), th ამ შემთხვევაში კბილთა შუა ლრიჭოვანია, როგორც მაგ. ინგლისურში და ახალ-ბერძნულში.

უკრაინ. (хв—ф) хвакт—факт; სომხ. hayr - ლათინ. rater „მამა“, (hayr წარმოსდგა fayr-ისაგან, სადაც f განვითარდა ინდო-ევროპ. p-საგან)... в) შეენაცვლებიან ყრუ ხშულმსკდომებს: მეგრ. ხვიხვილი—კვიპვილი, უკრაინ. Пилип—Филип; მეგრ. სუნდი—ცუნდი „ნამი“... с) მეღერ ლრიჭოვანებს: მეგრ. (და ქართული) რახან—რაღან: ახ.—ბერძნული vrakti=fraktes „ღობე“... д) ჟ—რ: მეგრ. კეში—კერი „გარეული ღორი“.

დ) მეღერი ლრიჭოვანების (ზ, ჸ, ჟ, ლ, ჱ, ვ) სუბსტიტუცია: а) ურთიერთშორის: მეგრ. შინოსქუა—ზინოსქუა „აზნაური“; სერბული ჯnam—знам „ვიკი“, ახ.—ბერძნ. ლლებო—ძვ. ბერძნ. blépô „ვხედავ“ (ახ.—ბერძნულში უნდა იყოს ვლებო)... б) ზ—ს: მეგრ. ზიტყვა—სიტყვა; ე) არის შემთხვევა, როცა მეღერი ლრიჭ. შეენაცვლება ყრუ შიშინა აფრიკატას (ვ), ან მეღერს (ჰ): მეგრ. ლურქული—ჭურქული „ჭიჭიკი“, უინოსქუა—ჯინოსქუა „აზნაური“. დ) ჱ—ლ: მეგრ. ძალამი—ძალიან „ძალიან“. ე) ვ-ს ხშირად ენაცვლება მ 36-ში: ბულგარ. МНУКЪ—ВНУКЪ; ჟ-ს—რ: სერბ. морем—можем.

ე) აფრიკატების ანუ რთულ ხშულმსკდომთა (ყრუ: ზ, ჸ; მეღერი: დ, ჰ; ყრუ მფშვინავი: ვ, ჩ) სუბსტიტუცია: а) ურთიერთშორის: მეგრ. წენიწყარი—ჭანიწყარი; ჭიჭილავი—ჩიჩილავი; წალამი—ჩალამი—(კალამი); ბ) ყრუ აფრიკატა ენაცვლება ყრუ ხშულმსკდომს, მეღერი—მეღერს: ხაცეცი—ხათეცი „ახალი ჯვარდაწერილი ქალი“; ჯახე—დახე; ც) თანაბარ ლრიჭოვანებს: ცუნდი—სუნდი „ნამი“; რძია—რზია „მიცემა“; ჯინოსქუა—უინოსქუა...

ვ) მდინართა (რ, ლ) სუბსტიტუცია: а) ურთიერთშორის: მეგრ. კარაჩხა—კალაჩხა „კალათა“; ფრანგ. titre—ლათ. titulus (ნასესხებია)... б) ენაცვლებიან ნაზალ ნ-ს: მეგრ. ლამოსი—ნამუსი; ქართ. (იმერ.) ლეფსი—ნეფსი; ფრანგ. niveau—იტალ. libello „თარაზო“; მეგრ. გირძე—გინძე „გრძელი“; რუს. ხალხური յარმანკა—ярмарка.

ზ) ნაზალ თანხმოვანთა (გ, ნ) სუბსტიტუცია: а) ურთიერთშორის: ფრანგ. nappe—ლათ. mappa „სუფრა“; რუს. Микита—Никита; б) გ ენაცვლება ბ-ს: სლოვინური bramor—mramor; ც) ნ ენაცვლება ლ-ს (ხან რ-ს და ლ-საც): მეგრ. ნამუსი—ლამოსი; გინძე—გირძე; ბულგ. და სერბ. მлого—много; პოლონ. lumer—numer; იტალ., ისპან., პორტუგ. alma—ლათ. anima—პროვანს. arma „სული“; ლიტავ. debesis—უნდა იყოს nebesis „ღრუბელი“ (ლათ. nebula).

მოყვანილი შაგალითები საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ აკუსტიური სუბსტიტუცია ხდება ისეთ ბეგრათა შორის, რომელთაც რაიმე ნათესაობა აქვთ ურთიერთშორის. მაგრამ ამას გარდა, კიდევ ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ მოყვანილი მაგალითებიდან: აკუსტიური სუბსტიტუცია მოქმედობს უმეტეს ნაწილად ისეთ სიტყვებში ან სიტყვების ისეთ ნაწილებში, სადაც მორფოლოგიური ცვლილება არ ხდება—და თუ ხდება იშვიათად; ასეთი სიტყვებია საკუთარი სახელები და განცალკევებული სიტყვები: მიკითა, რაღან... აგრედვე სიტყვის მორფოლოგიურად უცვლელი ნაწილები, უმეტესად დასაწყისი: lacrima—ბერძ. dakru. ეს ვარემოება აიხსნება ამგვარად: ნათესავი ფორმების ბეგრები იფარავს ცუდად გაგონილ ბეგრას ცვალებადობისაგან; მაგ., ჩვენ რომ დ-ს მაგივრად გავიგონოთ ტან ჯ სიტყვა „სწერდა“-ში, აქვერ დამკვიდრდება ტან ჯ, რადგან დ არის წარსული დროს ნიშანი, რომელიც ძალიან ხშირად იხმარება როგორც ამ დროის სხვა პირებში (ვსწერდი, სწერდენ...), ისე სხვა კილოშიც (ვსწერდე...); ტ-ს ან ჯ-ს დამკვიდრებას ხელს უშლის კიდევ მეტის ძალით ის გარემოება, რომ ყოველ ზმნაში გვხვდება ამ წარსულ დროში ეს დ. მაშასადამე, აქ ხდება ერთგვარი ანალოგია (იხ. შემდეგი ლექციები), რომლის ძალითაც ჩვენ ვასწორებთ ცუდად ნათქვამს ან გავონილს. აქ იჩენს თავს ცვლილებათა ახალი ფაქტორი, რომელსაც ვუწოდებთ ფსიქო-სემასიოლოგიურ ფაქტორს: ზოგჯერ

ეს ფაქტორი აბრკოლებს ფიზიოლოგიური და ოკუსტიური ფაქტორების მოქმედებას, ზოგჯერ კი თავისებური ცვლილება შეაქვს ენაში:

მაგ., ჩვენ ვიცით, რომ გერმანულში ხდება ფიზიოლოგ. ასიმილაცია, როცა წინაენის n-ს შემდეგ ზის უკანა ენის g: Finger „თითი“; უ აქ გამოითქმის უკანა ენისმიერად, მაგრამ არის შემთხვევა, როცა n და g ერთიმეორეს მოხვდება, მაგრამ ასიმილაცია არ ხორციელდება, მაგ. angekommen-ში n (g-ს წინ) არ გამოითქმის უკანაენით. ეს მოვლენა აიხსნება ფსიქო-სემასიოლოგიური (ე. ი. მნიშვნელობითი) ფაქტორის გავლენით: an და gekommen წარმოადგენდა ორ ცალკე, დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულს. რომელთაც უერთიმეორესოდაც მნიშვნელობა ქონდა ენაში; ამიტომ an-ის ორტიკულაცია და იმის წარმოადგენა იმდენად არის ჩაბეჭდილი ჩვენს ფსიქიკაში, რომ ფიზიოლოგიურ ასიმილაციას არ დაემორჩილო.

პირიქით: თუ რაიმე მიზეზის გამო სიტყვის სემასიოლოგიური მხარე სუსტდება ჩვენს ცნობიერებაში, მაშინ ფსიქო-სემასიოლოგიურ ფაქტორს თვითონ შეაქვს ცვლილება ენაში, ე. ი. ხელს უწყობს ფიზიოლოგიურ ცვლას და ოკუსტიურ სუბსტიტუციას. მაგ. ყოველ-დღე სახმარი სიტყვების შემკლება ამგვარად აიხსნება. იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს ნათექვაში ადვილად გაიგებს მსმენელი, ჩვენ ნაკლებ ვფიქრობთ სიტყვის სემასიოლოგიურ შემადგენლობაზე და ნაკლებ მკაფიოდ გამოვთქვამთ სიტყვის ზოგიერთ ნაწილს; ამიტომ ზოგიერთი სიტყვა იმდენად მოკლდება, რომ სრულიად უშინაარსოდ იქცევა. რა თქმა უნდა, აქ გადაიხლართება მრავალ ფაქტორთა მოქმედება, მათ შორის ენის რითმიულობა (იხ.). მაგალითები: აქ მო! (მოდი); ბიჭო! (ბიჭო სცან); მიე! (მიეცი); გენაცვა! დახე!.. მეგრ. მახა (მახარია „გამხარებელი“); გიო (-რგი), დრიმი (-ტი), ქომუ (ქომაჩი „მომეცი“), მოლა (მოლართი) „წამო ჩემთან“... გერმ. gun morgen (=guten Morgen), იხმარე-

ბა ამის მაგივრად მხოლოდ morgn, ზოგიერთ დიალექტებში moin; რუს. ვძრავს უემოკლდა ვძრას्तა — ად; რუს. სუდარ უემოკლდა — სъ-დ, მაგ. როცა ამბობებ: და-სъ (იგულისხმე და სუდარ).

განვიხილეთ ბერათა მრავალგვარი ცვლილება. იბადება საკითხი: შემთხვევითია ენაში ამგვარი ცვლილებები, თუ აუცილებლობის გამო წარმომდგარი? ე. ი. არსებობს თუ არა ფონეტიური „კანონები“? ამ საკითხს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს (იხ. ლიტერატურა): ზოგი მეცნიერი უარყოფდა ფონეტიური კანონების არსებობას; უმთავრესი მათი საბუთი ის იყო, რომ ფონეტიურ კანონების მოქმედებას აბრკოლებს ენის სხვაგვარი ცვლილება: მორფოლოგიური, სემასიოლოგიური, ეთიმოლოგიური და სხვა. ცხადია, რომ, თუ ჩვენ ძალა შეგვწევს ვუჩვენოთ — რომელ შემთხვევაში დაბრკოლდა ფონეტიური კანონის მოქმედება, ე. ი. გავსაზღვროთ ფონეტიკის სფერო სხვა ცვლილებათა სფეროსაგან, — მაშასადამე, უნდა ვსცნოთ ფონეტიური კანონები; ამგვარი გასაზღვრა რომ შესაძლებელია, ეს უკვე ვიცით თქმულიდან. უნდა შევნიშნო მხოლოდ, რომ „კანონის“ განსაზღვრა ლინგვისტიკაში ცოტა განსხვავდება ჩვეულებრივი განსაზღვრისაგან, მაგ. ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა. ეს განსხვავდება გამომდინარეობს ლინგვისტიკის ობიექტის (ენის) სპეციფიურ თვისებათაგან. თუ მეცნიერების სხვა დარგში ჩვენ ვამბობთ: ამა და ამ კანონის ძალით ესა და ეს ასე უნდა მოხდეს, ლინგვისტიკაში ჩვენ ვამბობთ: ესა და ეს მოვლენა ამა და ამ კანონის, მიზეზის გამო მოხდა; ე. ი. ლინგვისტიკაში ჩვენ ვიკვლევთ უკვე მომხდარ ფაქტს, ვხსნით მიზეზს და ამგვარად ვაღასტურებთ ცვლილებათა თან შეზომილობას ისტორიულის თვალსაზრისით. მომავალი ცვლილების შესახებ ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ მხოლოდ საერთო დებულება: ობიექტურ პირობათა (სოციალურ, გეოგრაფიულ, ფსიქო-ფიზიოლ., ოკუსტიურ და სემასიოლოგიურ) გავლენით უნდა მოხდეს ცვლილება ამა და ამ გვარი ხასიათის; მაგრამ ცვლილებათა წვრილ-

მანების წინ-და-წინ თქმა ძნელია, რაღაც თქმა-სმენის პროცესი იშვიათი სირთულის მოვლენაა... თუმცა ზოგჯერ წვრილ-მანების გათვალისწინებაც შესაძლებელია.

რაც შეეხება ენის წარსულ ცვლილებათა განხილვას, იქ უტყუარის სისწორით ვითვალისწინებთ ყოველ წვრილმანს; მა-შასადამე, იქ კანონს გარდაუვალი ძალა აქვს. ჩვენ ვამბობთ: განსაზღვრულ ენაში (ან კილოში) **ამა და ამ დროში, გან-საზღვრულ პირობებში** ასეთი ცვლილება მოხდა. ამგვარმა ფონეტიურმა კანონმა გამონაკლისი არ იცის.

თავისთავად ცხადია, რომ ფონეტიური კანონის გარდა-უვალობა შეეხება ბგერათა მხოლოდ იმ ცვლილებებს, რო-მელსაც ჩვენ ბგერათცვლა (Lautwandel) ვუწოდეთ: ასეთი ცვლილებები შედეგია ენის ფსიქო-ფიზოლოგიურ მოვლენათა. ბგერათ მონაცვალეობა-კი (Lautwechsel) შედეგია დანარჩენ ფაქტორთა მოქმედების. რაც შეეხება ენის სპორადიულ, ზოგ-ჯერ ინდივიდუალ ცვლილებებს, ისინი, თუ ვერ ვრცელდებიან მთელ ენაში (ან კილოში), ვერც ენას შესცვლიან.

მე-XI და მე-XII ლექციებში აღმრულ საკითხთა ლიტე-რატურა:

1. Томсон, ნაჩვ. გრ., 241—274 გვ.
2. Paul, ნაჩვ. თავი მესამე.
3. ი. ყიფშიძე, გრამ. მინგრელ. ენ. 1914 6—9  
და 106—126 გვ.

(ქართული და მეგრული ენიდან სიტყვიერადაც მრავალი მა-გალითი მომაწოდა).

4. Богородицкий, 79 გვ. და სხვ.
5. Grammont, La dissimilation consonantique dans les langues indo-européennes et dans les langues romanes, 1895.
6. Jespersen, Zur Lautgesetzfrage, 1889.
7. Wundt, Gibt es Lautgesetze, Halle. 1900

8. Wundt, Über den Begriff des Gesetzes, mit Rücksicht auf die Frage der Ausnahmslosigkeit der Lautgesetze (Philosoph. Sfud. III)
9. Pipping, Zur Theorie der Analogiebildung, Helsinki, 1906.
10. Щерба, ნაჩვ. გრ. 2 გვ. და შემდეგი...

